

902.7

675

СОВЕТСКАЯ АРХИТЕКТУРА
СОВЕТСКОГО СОЮЗА

Д. ЕМЕЛЬЯНЕНКО

ЦЕНТРАЛНАЯ БИБЛИОГРАФИЧЕСКАЯ
СЕРВИСНАЯ СТАНЦИЯ
ПРИ ЦИФРОВОЙ
БИБЛИОГРАФИИ



ეთნოგრაფიულ და ანთროპოლოგიურ მე
ცნოერებათა VII მსოფლიო კონგრესისათვის

К VII международному конгрессу
этнографических и антропологических наук

Au VII éme Congrès International des
Sciences Ethnologique et Anthropologiques



Институт истории им. И. А. Джавахишвили
Государственный музей Грузии им. С. Н. Джанашвили

А. К. СОХАДЗЕ

ИЗ ИСТОРИИ
ДРЕВНЕЙШИХ
ВЕРОВАНИЙ ГРУЗИН
И БОРЬБЫ С ИХ
ПЕРЕЖИТКАМИ

ИЗДАТЕЛЬСТВО
«САБЧОТА САКАРТВЕЛО»
ТБИЛИСИ — 1964

102.1
675
საქართველოს მწერლების
ინსტიტუტის
სახალხო სახელმწიფო მუზეუმი

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისეტორის ინსტიტუტის
ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

ა. სოხაძე.

კუთვალი უკადაგ
სახელმწიფო აკადე
მიკართული მუზე
უმარის სახელმწიფო



გამოცემის
„საბჭოთა საკართველო“
თბილისი — 1964

ისტორიის შეცნიერებათა კანდიდატის აქაკი სოხაძის ნაშრომი „ქართველთა უძველესი სარწმუნოებისა და მის გადმონაშთებთან ბრძოლის ისტორიიდან“ მიზნად ისხავს ეთნოგრაფიულ-ისტორიული შესწავლის საფუძველზე გამოავლინს ქართველთა წარმართულ რელიგიისა და მისი დღემდე მოღწეული გადმონაშთების ზოგიერთი თავისებურება, მიუთითოს ამ გადმონაშთებისაგან მორწმუნება ვანთავისუფლების გზებზე.

ნაშრომში მრავალი ფაქტის დეტალური ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია ქართველი ხალხის რელიგიურიამდელი სოფლის მეურნეობისა და მისი მძახველი რელიგიური წესჩვეულებების ერთმანეთთან შესაბამისობის ზოგადი ხასიათი და სპეციფიკა. საგანგებოდ განხილულია საქართველოში დღემდე შემორჩენილი გადმონაშთები წარმართული რელიგიისა; ზოგიერთ ქრისტიანულ წესჩვეულებასთან ერთად ნაჩვენებია მათი მავნებლობა და ადამიანთა შეგნებიდან ცრუ რწმენათა აღმოფხერის შეცნერული საშუალებები.

შ მ ს ა ვ ა ლ ი

საქართველო—მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის უძველესი ქვეყანაა. მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანეს დარგებში ქართველი ხალხის მდიდარი წარსული აისახა არა მარტო უშუალო მწარმოებელთა სათანადო შრომით ჩვევებსა და საწარმოო გამოცდილებაში, არამედ გარკვეულ წესჩვეულებებსა და იდეებშიც.

ამ წესჩვეულებებისა—და იდეების ნაწილი განეკუთვნება რელიგიის—კულტისა და რელიგიური იდეოლოგიის სფეროს. ამის მიუხედავად მათი შესწავლა არა მარტო იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ ნათელვყოთ ქართველთა უძველესი სარწმუნოების რაობა, არამედ შევიცნოთ მათი წარსული სამეურნეო ყოფისა და სოციალური კითარებისათვის დამახასიათებელი რიგი თავისებურება და ფარული მხარე. ამის ნათელსაყოფად მრავალთაგან ერთ სავულისხმო ფაქტს მოვიყვანთ.

ზემო სვანეთში დღეობა/ლიფანალს (ლი ი ფ ა ნ ა ლ ი || ლ ი ფ ა ნ ა ლ ი), რომელიც ამ კუთხეში იანვრის 5 (ძვ. სტ.) მოდიოდა, ხოლო ქვემო სვანეთში — დღეობა ბემბულს ანუ ბოსლობას (ყველიერის წინა შვიდეულის შაბათ დღეს დღესასწაულობდნენ) უფროსი მანდილოსნები ნაცარ-მტუტით ან პურის ფქვილის ხსნარით ხატავდნენ სხვადასხვა ობიექტებს! ჯვარს, არჩეს, ჯიხეს, ხარს, ძროხას, თხას და სხვ. ამ მხატვრობას მაგიურ-რელიგიური დანიშნულება ჰქონდა და სრულდებოდა გომურის ტიხრის ფასადზე, სახლის კედლებსა და კარებებზე, სასმისებზე, ჯამ-ჭურჭელზე და სხვ. მკვლევარმა

1 ვ. ბარდაველი ძე. ქართული (სვანური) საწესო გრაფიული ხელოვნების ნიმუშები, თბილისი, 1953, გვ. 7.



ვ. ბარდაველიძე მ ყოველმხრივ შეისწავლა სერგეი მარკოვის ლი მხატვრობის 218 ნიმუში და დაადგინა, რომ მათგან 120 ცხოველთა გამოსახულებაა. ამ სამყაროდან ხატავდნენ გარკვეულ ცხოველებს, რომელთა შორის ზოგი — მეტი და ზოგი ნაკლები ყურადღებით სარგებლობდა. საერთო რიცხვში ტაბულებზე¹ ასახულია: 22 ხარი, 14 ძროხა, 15 თხა, 11 ჭიხვი, 11 ცხვარი, 9 ღორი (უმრავლესობა გოჭებიანი ნეზვი), 9 ცხენი და 9 ცხენი მხედრითურთ, 3 არჩვი, 2 სახედარი, 2 ძალი, 2 კატა, 2 თაგვი, 1 ირემი, 1 დათვი; ამას გარდა შინაური ფრინველებიდან — 4 ქათამი (მათგან ერთი წიწილებითურთ) და 1 ბატი. მგვარად, ტაბულებზე უმეტესად წარმოდგენილია შინაური ცხოველები, მათ შორის პირველ რიგში ხარი და ძროხა, შემდეგ კი თხა, ცხვარი, ცხენი, გარეული ცხოველებიდან კი ჭიხვი.

შინაური ცხოველების გვერდით ყურადღების ცენტრშია ხორბლის კულტურის ამსახველი ობიექტები — პურის მარცვლის და ფქვილის საცავი კიდობანი (მოცემულია 15 ნახატით), საფუარის ჭურჭელი, გობი, ცხრილი, რიტუალური კვერების საჭრეთი, თვით რიტუალური კვერები და მისთ. ამასთან ერთად მცენარის გამოსახულების 17 შემთხვევა მოგვეპოვება².

ამ საესებით სანდო და მეტად მნიშვნელოვანი მასალის საფუძველზე ირკვევა, რომ სვანების საწესო ხელოვნება, რომელიც ნატურალისტური ხასიათის მატარებელია, ასახავდა უპირატესად მათ მეურნეობას (მეცხოველეობა-მეფრინველეობა, მემინდვრეობა, მონადირეობა). ის გარემოება, რომ ზემოხსენებულ ტაბულებზე მეტწილად მოცემულია შინაური ცხოველებისა და ხორბლის კულტურის ამსახველი ობიექტების სურათები, მოწმობს, რომ სვანეთში მეურნეობის ძირითად დარგებს, ცხოვრების მთავარ სახსარს, წარმოადგენდა მესაქონლეობა და მიწათმოქმედება, რომელიც ამ კუთხეში შერჩყმული სახით იყო წარმოდგენილი. შინაური ფრინველების მოშენება და ნადირობა მეურნეობის ძირითად დარგებში გაწეული შრო-

¹ ტაბულები იხ. ვ. ბარდაველიძის დასახ. ნაშრომში.

² იქვე, გვ. 17.

მის შემავსებელ საქმიანობას წარმოადგენდა. ისიც ორკვერცხა, /
რომ შინაური ცხოველებიდან ყველაზე მეტი ყურადღებით მიმდინარეობდა
ხარი სარგებლობდა, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ იგი, რო-
გორც საუღლე, რაც მთავარია, სახვნელი იარაღის გამწვევი
პირუტყვი, შინაურ ცხოველთაგან მთავარ როლს ასრულებდა
სვანების მეურნეობაში.

ხარის შემდეგ ტაბულებზე ყველაზე დიდი რაოდენობით
წარმოდგენილია ძროხა და თხა!, ეს იმ განსაკუთრებული
მნიშვნელობით უნდა აიხსნას, რაც მეწველ საქონელს ენიჭე-
ბოდა მთის ზოლის სამეურნეო ყოფაში.

შერწყმულ მეურნეობაში მესაქონლეობის და მიწათმოქმე-
დების ურთიერთობისა და თანაფარდობის შესახებაც ტაბუ-
ლები გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს. მათზე ასახული იმ
ობიექტების განხილვა, რომლებიც მიწათმოქმედებასთან არიან
დაკავშირებული (კიდობანი, საფუარის ჰურჭელი, გობი,
ცხრილი, რიტუალური პურები და მათი საჭვრეთი, შესაწირა-
ვი კვერებით გაწყობილი გობი, რომელიც მლოცველ კაცს
უჭირავს, სახვნელი იარაღი, უღელი, ხარები; შინაური ფრინ-
ველი და სხვ.) ცხადყოფს, რომ სვანეთში, ისევე როგორც
საქართველოს სხვა კუთხებში, მეურნეობის უმნიშვნელოვა-
ნებს, წარმმართველ დარგს წარმოადგენდა მიწათმოქმე-
დება. ამას მოცემული მასალის მიხედვით, უწინარეს ყოვლისა,
უდაოდ ხდის ის გარემოება, რომ მიწათმოქმედებასთან და-
კავშირებული ზემოხსენებული ობიექტები სახეობათა რაოდე-
ნობით აღმატება მათთან ერთად ტაბულებზე გამოსახულ იმ
ობიექტებს (ძროხა, თხა, ცხვარი, ლორი, ცხენი, სახედარი, ის-
გენტაფი, ბაგა), რომლებიც მესაქონლეობას ასახავს. საგუ-
ლისამოა ისიც, რომ ტაბულებზე ასახული შინაური ცხოვე-
ლების და ფრინველების საერთო რაოდენობიდან მესამედე
მეტს შეადგენს ის ეგზემპლარები, რომელთა ყოლა-მოშენება
მოითხოვს მარცვლის დიდი რაოდენობით წარმოებას.

I თხას სვანები, იმის გამო, რომ ტყიან გარემოში ადვილი შესანახია
ზაფხულშიც და ზამთარშიც (ნეკერით იკვებება), შედარებით დიდი რაო-
დენობით იყენებლნენ, რაც მკვეთრად ზრდიდა ოჯახში ჩაის პროდუქტე-
ბისა, ხორცისა და ტყავის რაოდენობას.

სვანების ძველ ყოფაში მიწათმოქმედების როლისა და
მისი მესაქონლეობასთან თავისებური ურთიერთობის ურთიერთობა
ვალისწინებლად განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა. ტა-
ბიკებგაწყობილი სახვნელი იარაღის სქემატური გამოსახულე-
ბა. მას წან — ხარი ეწოდება, მაგრამ ხარის გამოსახულე-
ბას არ ჰგავს.

როგორც ამ გამოსახულების სახელწოდება — წან, ისე
მისი ერთი ნაწილი — წყვილი ტაბიკი, რომელიც უღლის შე-
სატყვისად უნდა მივიჩნიოთ, გვარწმუნებს, რომ მიწათმოქმე-
დი ხარს განკუნებულად კი არ გაიაზრებდა, არამედ სახვნელ
იარაღთან დაკავშირებით, რომელიც მიწათმოქმედების ხა-
ნაში ყველაზე ხშირად ხართან იყო დაკავშირებული². უღ-
ლის გამოსახულება, როგორც ეს სხვა მონაცემებიდანაც ირ-
კვევა, ქართველთა-საწესო ხელოვნებაში მუშა საუღლე სა-
ქონლის სიმბოლოდ იყო მიჩნეული, ხოლო უდლიანი სახვნე-
ლის გამოსახულება წყვილ „მხვნელ ხარს“ აღნიშნავდა მისი
მთავარი ნიშნის, მთავარი ფუნქციის შესატყვისად. სახვნელ
იარაღთან შეკავშირებული უღლი, რომელიც გამოსახულე-
ბაზე წყვილი ტაბიკის მეშვეობით შემოკლებულადაა წარმოდ-
კენილი, იმაზე მიუთითებდა სახელდობრ, რომ სახვნელ
იარაღს ეწევა საუღლე საქონელი — ხარი და რომ ამ ცხოვე-
ლის არსებით (განმსაზღვრელ) ნიშანს წარმოადგენს უნარი
სახვნელის მეშვეობით მიწის მოხვნისა.

ამრიგად, ეს ნახატი განსახიერებდა არა ხარს საზოგადოდ,
არამედ, თუ შეიძლება ითქვას, გუთნური მიწათმოქმედების
ხანის ხარს, რომელიც მხვნელ-მთესველის ცნობიერებაში თავ-
დაპირველად, როგორც ჩანს, იყო ხარი სახვნელი იარაღი-
თურთ. ხარისა და სახვნელი იარაღის ერთიანობის, გაუთიშვე-
ლობის იდეა დროთა ვითარებაში იმდენად შეუსისხლხორცე-
ბია ქართველი მიწათმოქმედის გონებას, რომ მისი ლეგენდა-
რული წარმოდგენების მიხედვით პირველი სახვნელი იარაღი,
რომელიც თითქოს ღმერთმა ადამიანს ზეციდან მოუვლინა,

¹ ვ. ბარდაველიძე. დასახ. ნაშრ., ტაბ. XXII, სურ. 3.

² იქვე, გვ. 158—159.

გვესახება მასში შებმული მძღვრი ხარებითურთ, რომელიც
სპილენძის! ჩლიქებით მიწას ბრდლვნიან და რომელთ შეიტყოფის
(აპეურის შებმა) და სახვნელ იარაღში შებმა სვანური ლეგენ-
დის მიხედვით მთვარის ლფთაებას — ჯგ ს რა გ-ს მოწე-
რება².

უდათა, ხარის ამგვარი გაგება ქართველ ტომებში შეიძ-
ლება გაჩენილიყო მას შემდეგ, როცა ამ ცხოველის ძალით
მოქმედი სახვნელი იარაღით მიწის დამუშავებაზე დამყარე-
ბული მიწათმოქმედება შეიქმნა და იგი მათი არსებობის ქვა-
კუთხედი, მთელი სამეურნეო მოღვაწეობის მარეგულირებელი
ფაქტორი გახდა. სწორედ ეს გარემოება უნდა გაითვალისწი-
ნოს კარგად ეთნოგრაფია და ისტორიკოსმა, როცა იგი მსჯე-
ლობს სვანეთის თუ საქართველოს სხვა კუთხების წარსულ
სამეურნეო ვითარებაში მესაქონლეობისა და მიწათმოქმედე-
ბის ურთიერთობა-თანაფარდობის შესახებ. რა თქმა უნდა,
მეურნეობას ამა თუ იმ დარგის პროდუქციის სიჭარე ყველგან

1 ბერძნულ ლეგენდაში ცეცხლშემინავი სპილენძის ჩლიქებიანი ხარე-
ბის მოხსენიება, რომელიც კოლხთა მეფეს იეტს ჰყოლია, შემთხვევით
არ უნდა იყოს, ისევე როგორც ამავე ლეგენდაში აეტიავე კუთვნილი
ჰეფესტოსის მიერ გაკეთებული ანდამატის სახვნელი იარაღისა და სკვი-
თურ ლეგენდაში, აგრეთვე კოლხებთან დაკავშირებული, ციდან ჩამოვარდ-
ნილი სახვნელის დასახელება. სავარაუდოა, ეს ფაქტი მარტო იმაზე კი არ
მიუთითებს, რომ კოლხები ჩინებული მელითონები იყვნენ, არამედ იმა-
ზეც, რომ ძველი ქართველები ლითონებს მათი ფერისა, ბრწყინვალებისა
და სხვა ნიშანთა მიხედვით ციურ სამყაროსთან — მნათობებთან აევში-
რებდნენ. ამას სხვა მრავალთაგან სპილენძის მეორე ქართული სახელიც
„თითბერი“ || „თუთ-ფერი“, რაც მთვარის (მეგრ. თუთა) ფერის მაღალ
ნიშანებს, ცხადყოფს. თუ თითბერი მთვარესთან იყო ასოცირებული, ოქ-
როს, ჩვეულებრივ, ქართველი მზესთან ავაეშირებდა, აგრეთვე ამ ლითო-
ნის ფერის გამოისმით, რაც ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით
იქვემდებარებული მტკიცდება. ტყვია შესაძლებელია ასოცირებული იყოს
ცის ფერთან და ცასთან და ა. შ. ამგვარი ვითარება შეიძლება გვაძლევ-
დეს იმის უფლებას, რომ პირველი, ლეგენდარული „მხვნელი ხარების“
სპილენძის ჩლიქიანებად წარმოდგენა მათი მთვარის ლფთაებასთან ორგა-
ნული კავშირით აქსნათ.

2 ვ. ბარდაველიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 157—158.



და ყოველთვის არ წარმოადგენს მისი პრიორიტეტის მაჩვენებელია
ბეჭედ, როგორც ეს ზოგიერთ ეკონომისტს და ეთნოგრაფს
ჰვონია.

მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების ამსახველ საკულ-
ტო წესჩვეულებათა შემცველი ქართული ხალხური დღეობე-
ბიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო ბოსლობა (ზა-
ბათს, ყველიერამდე ერთი კვირით აღრე დღესასწაულობდნენ),
რომელიც რაჭაში, ლეჩხუმში, სვანეთში, გურიაში და სამეგ-
რელოში¹ ეწყობოდა საქონლის მფარველი ღვთაების სახელო-
ბაზე. ეს დღეობა „სვანეთში რამდენიმე სახელწოდებით იყო
ცნობილი: ქვემო სვანეთის თემებიდან ლენტეხში მას ორი სა-
ხელი ერქვა — ბოსლობა და ბამბლუ, ჩოლორსა და
ლაშხეთში კი ბერ ბლუ ეწყოდებოდა, ზემო სვანეთის კალისა
და უშგულის თემებში მეტწილად მას ბამბლუ ს ეძახდნენ,
თუმცა ზოგჯერ პარალელურად მოიხსენიებდნენ სახელწოდე-
ბით ლიღმესარი; ზემო სვანეთის დანარჩენ თემებში
ბოსლობა ამ უკანასკნელ სახელს (ბზ ლიღმესარი, ბქვ
ლიღმესარი) ატარებდა².

ბოსლობის სახით წარმოდგენილი იყო
რთული კომპლექსი არქაული წესჩვეულე-
ბებისა, რომლებიც ასახავდა უმთავრე-
სად მიწათმოქმედებასთან შერწყმულ
მსხვილფეხა რქოსანი საქონლის შეურ-
ნეობას. ეს გარემოება გვიკარნახებს, რომ მისი გენეზისი
ქართველთა ცივილიზაციის საწყის ეპოქას დავუკავშიროთ,
ვინაიდან საქონელი საზოგადოდ და მასთან დაკავშირებული
გუთნური მიწათმოქმედება ძველი ცივილიზაციის ყველაზე;
არსებით მონაპოვარს წარმოადგენს. სწორედ ამ მონაპოვარმა,
მეტალურგიასთან ერთად, დაუდვა სათავე მის არსებობას და:
განსაზღვრა მისი განვითარების გეზი. ფრიად საგულისხმოა
ის ფაქტიც, რომ მიწათმოქმედებასთან შერწყმული მსხვილ-

1 ს. მაკალათიას ცნობით, „ბოსლობა სამეგრელოში ნაალდგომე-
ვის პირველი კვირის ხუთშაბათს იცოდნენ“ (იხ. „სამეგრ. ისტ. და უმო-
გრაფია“, თბ., 1941, გვ. 316).

2 ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრ. 83. 99.



ფეხა რქოსანი საქონლის მეურნეობა ბოსლობის რეტროფლენი
ში ასახულია იმ თავისებურებათ შესაბამისად, რეტროფლენი
მრავალი ათასი წლის წინა ხანიდან წინა აზის უძველესი
მოსახლეობისა (მასში იგულისხმება კოლხურ-იბერული ელე-
მენტიც) და კავკასიაში ბინადარ ქართველ ტომთა ეკონომიკურ
ყოფაში ვადასტურებთ.

ამ ხალხთა მეურნეობის მახასიათებელ და უმნიშვნელო-
ვანეს მონაპოვარს, როგორც ეს თანამედროვე მეცნიერების
მონაცემების საფუძველზე ირკვევა, კულტურის შემდეგი
ხუთი ელემენტი შეადგენს: 1. მსხვილფეხა საქონელი, 2. სახვ-
ნელი იარაღი, 3. მიწის დამუშავების შედეგად მიღებული
ხორბლეული, 4. ვაზის კულტურა და 5. ლითონის, რაც მთავა-
რია, რკინის დამუშავება, რომელიც დღეობის რიტუალში შე-
დარებით მკრთალადა ასახული.

ბოსლობის სტრუქტურაში სწორედ ამ ელემენტების
ორგანული კავშირი იგრძნობა. ეს გარემოება უფლებას გვაძ-
ლევს დავასკვნათ, რომ ხსენებული დღეობის სახით მოცემუ-
ლი გვაქვს ადგილობრივი მიწის მეურნეობისათვის დამახასია-
თებელი ნიშნების შესაბამისად გაფორმებული საქონლის
(განსაკუთრებით მსხვილფეხა რქოსანი საქონლის) კულტის
ამსახველი დღეობა. თუ რამდენად თავისებურად იყო გაგე-
ბული ბოსლობის რიტუალში მსხვილფეხა რქოსანი საქონ-
ლის დამოკიდებულება მიწის მეურნეობასთან, ამის საუკე-
თხოსო ილუსტრაციას იძლევა თუნდაც ის ფაქტი, რომ ხარს
ერთ-ერთ რაჭულ „საბოსლობო განატეხზე“ უღელგამობმული
სახვნელის გამოსახულება ონიშნავდა, მაშისადამე, იგი (ხარი)
გააზრებული იყო მიწის მეურნეობისათვის დამახასიათებელი
ნიშნის მიხედვით. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს არა პირ-
ველყოფილი მეჯოგის, არამედ საქმაოდ დაწინაურებული მი-
წამოქმედის თვალსაზრისთან, რომელიც ხარს პირველყოფ-
ლისა უყურებს როგორც სახვნელის გამწევ მუშა საქონელს და
არა როგორც სახორცე პირუტყვს. ეს მაგალითი თვალსაჩინო
ნიმუშია იმისა, თუ როგორ ყალიბდებოდა ადამიანის მსოფლ-
შედველობა და იცვლებოდა წარმოდგენები მეურნეობის ვი-
თარების შესაბამისად. ბოსლობის გულდასმითი ანალიზი



მრავალი ასეთი საგულისხმო დასკვნის გამოტანის შესატრანსლიტერაცია
ლობას იძლევა.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად ისიც უნდა აღინიშ-
ნოს, რომ „ბოსლობა“ ვიწროდ გაგებულ რელიგიურ ელემენ-
ტებთან ერთად (შესატირავები, ლოცვა-ვედრება) მრავალ მაგი-
ურ ელემენტსაც მოიცავს, რაც ამ დღეობის არქაულობის მაჩ-
ვენებელია. მაგიური ელემენტებიდან პირველ რიგში აღსანიშ-
ნავია: ომობა, შესატირავების საქონლის თავზე შემოვლება,
ღვინის სმა, „განატეხის“ შეჭმა ბოსელში, საქონლის ჩეხების
ქონით გაპოხვა და წყალში დასველებული ქატოს სახეზე და
გულმკერდზე მიყრა. სხვათაშორის Carl Meinhof-ს ამგვარი
აქტების შესახებ ჩვენთვის მეტად საგულისხმო შეხედულება
აქვს გამოთქმული. მისი აზრით, ომობა, სხურება, მსხვერპლის
შეჭმა და საგანგებო სასმელები მისტერიებს განეკუთვნება.
ეს მისტერიებით — აღნიშნავს შემდგომ Meinhof-ი, საქონლის
გაშენებასთანაა დაკავშირებული და ამიტომ ამ კულტს თავ-
დაპირველად ფესვები გადგმული ჰქონდა წინააზიაში, იმ
კულტურულ წრეში, სადაც მსხვილფეხა საქონლის გაშენება
წარმოიშვაო.

ბოსლობა ყურადღებას იპყრობს არა მარტო იმით, იგი
მიწათმოქმედებასთან შერწყმულ მსხვილფეხა საქონლის მე-
ურნეობის ამსახველ უძველეს დღეობას წარმოადგენს, არა-
მედ იმითაც, რომ ქართველთა წარმართული რელიგიის ძირი-
თად საწყისებთან — მზის, ცეცხლის, მთვარის, წყლისა და
დედამიწის კულტებთან არის ორგანულად დაკავშირებული.

აღნიშნული ფაქტები უკვე ცხადყოფს, რომ ბოსლო-
ბის სახით მოცემული გვაქვს ქართველთა უძველესი მსოფლ-
მხედველობის მამქანურებელი და უაღრესად მდიდარი შინა-
არსის მქონე რელიგიური დღეობა. გადაჭარბებული არ იქნა-
ბა თუ ვიტვით, რომ მას ისტორიულად ისეთივე დიდმნიშვ-
ნელოვანი ადგილი უკავია საქონლის კულტის ამსახველ დღე-

¹ Carl Meinhof. Die Religionen der Africaner in ihrem Zusammenhang mit dem Wirtschaftsleben. Oslo, 1926, გვ. 82—83.

ობებს შორის, როგორც, მაგალითად, რაჭულ სახვნელ იარაღი
 ხის სახვნელებს შორის.

როგორც „ბოსლობის“, ისე სხვა რელიგიური დღეობების
 და წესჩვეულებების შესწავლის მნიშვნელობას, რა თქმა
 უნდა, მხოლოდ თეორიული ინტერესი არ განსაზღვრავს.
 მათი შესწავლის უმნიშვნელოვანეს ამოცანას სოციალისტურ
 საზოგადოებაში, კომუნიზმის მშენებლობის თანამედროვე
 ეტაპზე წარმოადგენს ათეისტების სრულყოფილი თეორიული
 შეიარაღება, რომელიც საშუალებას მოგვცემს მაქსიმალურად
 დავაჩაროთ ადამიანთა შეგნებიდან რელიგიური გადმონაშ-
 თების აღმოფხვრა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის - პროგრამაში,
 რომელიც პარტიის XXII ყრილობამ მიიღო, ნათქვამია:
 „საჭიროა სისტემატურად ვეწეოდეთ ფართო მეცნიერულ-
 ათეისტურ პროპაგანდას, მოთმინებით განვმარტავდეთ რელი-
 გიურ რწმენათა უსაფუძვლობას, რომლებიც წარსულში წარ-
 მოშვა იმ ნიადაგზე, რომ ადამიანები დაბეჩავებული იყვნენ
 ბუნების სტრუქტური ძალებით და სოციალური ჩაგრით, არ
 ღცოდნენ ბუნებრივი და საზოგადოებრივი მოვლენების ჭეშ-
 მარიტი მიზეზები. ამასთან უნდა დავეყრდნოთ თანამედროვე
 მეცნიერების მიღწევებს, რომელიც სულ უფრო სრულად გა-
 დავგიშლის სამყაროს სურათს, ზრდის ადამიანის ბატონობას
 ბუნებაზე და ადგილს არ უტოვებს რელიგიის ფანტასტიკურ
 ჩამახვას ზებუნებრივი ძალების შესახებ“.

ვითვალისწინებთ რა ზემოაღნიშნულ ვითარებას, ნაშრომ-
 ში საგანგებოდ შევეხებით ქართველთა უძველესი რელიგიის
 ამჟამად არსებულ გადმონაშთებს და მათი აღმოფხვრის მეც-
 ნიერულ მეთოდებს.

თავი პირველი

გოსლობის დანიშნულება

ბოსლობა უპირატესად მსხვილფეხა ჩქო-
 სანი საქონლის — ხარებისა და ძროხების
 გამრავლებისა და კეთილდღეობისათვის
 განკუთვნილი დღეობა იყო¹. მას გარდა მის მიზან-
 დასახულობას შეადგენდა სხვა შინაური ცხოველე-
 ბის, შინაური ფრინველების დამათი მომვლე-
 ლიადამიანის გამრავლება და კეთილდღეო-
 ბა, ყანავენახების დასათიბების მოსავლია-
 ნობის გადიდება და დაცვა. ეს გარემოება ცხად-
 ყოფს, რომ ბოსლობა ფართო დანიშნულების საოჯახო
 დღეობა იყო, რომელიც აერთიანებდა ქართველი გლეხის
 რთული მეურნეობის ამსახველი ნაირი სახის წესჩვეულებებს.

დღეობაში, მისი ამ ფართო დანიშნულების შესაბამისად,
 სოფლის მეურნეობა ასახული იყო ტოტალურად. მის ფუნქციას
 შეადგენდა როგორც მიწათმოქმედების, ისე მესაქონლეობა-
 მეფრინველეობის წარმატება, თუმცა მასში ყურადღება გან-
 საკუთრებით გამიახვილებული იყო შინაური ცხოველების მი-
 მართ, რაც გვაფიქრებინებს, რომ დღეობა თავდაპირველად
 მარტოოდენ მესაქონლეობის წარმატებას ემსახურებოდა.

ასეთივე ფუნქციის და ფართო დანიშნულების ხალხური
 დღეობების ჯგუფს განეკუთვნება: ბარბალობა, ანალ-

¹ ა. კ. სოხაძე. ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან
 (ჩაჭული ბოსლობა), ხელნაშ. 1955, თავი III, მინივე. Из истории
 хозяйственного быта грузинского народа (рачинское бослоба), Тбили-
 си, 1955, автореферат, гл. 11, 15.



წელი წადი, ყევნობა — ბერიკაობა და სტაციონარული მურყვამობა (ლიმურყვამალ), ანუ კოშკობა.

ამ დღეობების გარდა დაწესებული იყო სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების და მხარეების ამსახველი, მეტნაკლებად შემოსაზღვრული დანიშნულების მქონე დღეობები: დადშარე-ცაშ — „დედლების ხუთშაბათი“ (მის დანიშნულებას ძროხების გამრავლება და წველის ბარაქის გადიდება შეადგენდა), ფურრე ჭიჭმ — „ფურების მარხვა“ (წველის ბარაქისათვის ჰქონდათ სვანებს განკუთვნილი), ლიდბაშ, ჩომელსაც სვანები „ფურრე უიჭმ“-ის უკანასკნელ დღეს, შაბათს იხდიდნენ (განკუთვნილი იყო მეწველი საქონლის გამრავლებისა და წველის ბარაქისათვის), თოთობ (წველის ბარაქისათვის იყო განკუთვნილი), ლიფკუშარი (ძროხებისა და თხების გაშრობის საწინააღმდეგოდ), ფურების ხატში (მდებარეობდა თიანეთის რ. სოფ. უებოტაში) შესრულებული ცერემონიები (ამ ხატს განსაკუთრებით ეველრებოდნენ ძროხების განაყოფიერება-გამრავლებასა და წველის ბარაქიანობას), მგელთუჭმე (ცხვარ-ძროხის ნადირისაგან დასაცავად იყო დაწესებული), დიდი ღმერთის სახელზე შეწირული ხარებისათვის განკუთვნილი სვანები — „ხარის ლესკობა“, ბ) კანჩა ლესკობა — „ხარების ლესკობა“, გ) ფუსდა ჭანი ლითჭარი — „უფლის ხარის დაბადების დღეობა“, დ) ფუსნა ლიტაბლიერ — „შეწირული ხარის (ფუსნას) ტაბლობა“, ე) ჭიის ხუთბ, ანუ ლიუსნური — „უსხობა“, „უსხის დღეობა“, ვ) ჭიის ხუთბ S ლი — „უსხის თმობის დღე“ და სხვა მისთ., ღუნობა, ანუ ლიღუნური — „ხბოობა“, „ხბოს დღეობა“, თეღობა.

¹ ყევნობა-ბერიკაობას ზოგი აგრარულ დღეობათა ციკლს განაკუთვნებს, მაგრამ იგი უფრო ფართო დანიშნულების დღეობათა ჯგუფში უნდა შევიდეს, ვინაიდან დადგნილია, რომ „ყევნობა“, იმგვარადვე როგორც „მურყენობა“ და „საქმისად“-ს ჩვეულება „სექსობრივი განაყოფიერების, შეალიერებისა და საერთოდ მოსავლიანობის მფარველი დეთაების... თაყვანის-ცემისა და დღესასწაულის ნაშთია“ (ივ. ჭავახიშვილი. ქართველის ერის ისტორია, წ. I, თბილისი, 1960, გვ. 75).



რობა (რაჭის ზოგიერთ სოფელში ცხენების მისალოც დოკუმენტი ითვლებოდა), ღორების პარასკევი (იგივე „ღორის შილოცვა“ — განკუთვნილი იყო ღორების გამრავლებისათვის), ძაღლი პარასკევი (იმართებოდა რაჭაში გოჭ-ქათმის მომრავლებისა და სახადისაგან დასაცავად. ლეჩხუმში მისი მსგავსი რიტუალი სრულდებოდა კი პარასკევს), გოჭი ხუჩაფათი || გოჭის ხუთშაბათი (ამ დღეს იკვლებოდა გოჭი და ყვერული, უფრო ქათმების მომრავლება-მფარველობისათვის ეწყობოდა; მას უგრევე მარიაშენობა ეწყოდებოდა), ქათმის ფერხვა — „ქათმების წვევა“ (ეწყობოდა ქათმების გამრავლებისა და სისალისათვის), ბუკობა (ეწყობოდა გურიაში ფუტკრებისათვის), ჯერა-გუნა (სრულდებოდა სამეგრელოში ომალლებას, სკების გამრავლების, სისალისა და კარგი თაფლის უხვად მიღებისათვის), ლილაშუნე — „თესლობა“ (დაწესებული იყო ხენა-თესვის წარმატებით ჩატარებისა და კარგი მოსავლის მიღებისათვის), „ლალის“ დალოცვის დღე (იმართებოდა გურიაში მოსავლის აღების შემდეგ), კორკოტობა (აგრარული დღეობა, ეწყობოდა ზამთარში), ისპანახობა (განსაკუთრებით საზეიმო ხასიათს ატარებდა ძველ თბილისში), ჭადობა, ანუ ფეტვობა (დაწესებული იყო ფეტვის უხვი მოსავლისათვის), ლაზარობა || გონჯაობა || დიდებაზე დავლა (იმართებოდა გვალვისა და ხანგრძლივი წვიმის აღსაკვეთად), კონინჯრობა — „კონის ჯვრობა“ (ხანგრძლივი ავდრის, განსაკუთრებით სეტყვის წინააღმდეგ), ელიობა (დაწესებული იყო უმთავრესად ამინდის რეგულირებისათვის), წიფეთელიობა (ეწყობოდა 20 კვირიკობისთვეს ამბროლაურის რაიონის ს. ბარეულში, დაკავშირებული იყო ელიას სახელთან, რომელიც ამინდის საქმეს განავებდა), თავშეყრა დამასტეს ხატში (ეს „ხატი“ მდებარეობს მათურხევასა და არაგვის შესართავთან. გვალვის ან ავდრობის დროს ფშავის ხევის თემები საერთო ხარჯით გაიღებდნენ ერთ კურატსა და ერთ ცხვარს და ამ ხატში თავს მოიყრიდნენ. თუ კურატი არ იქნებოდა, მაშინ ფშავის ხევის თითოეულ სოფელს ერთი ხაჭლავი უნდა მიეყვანა. ხატში ხევისბერი დამასტეს შმ. გიორგის



შეევედრებოდა, თუ გვალვა იყო, ცის ნამის მოცემას, ავტორის გვალვა ბისას კი ტაროსიან ამინდს¹), ნაკვეთი დღე განკუთვნილი ამინდის რეგულირებისათვის (სოფელი ან თემი აწესებდა ჯეკილის ამოსვლის შემდეგ, რომ ყანა სეტყვას, გვალვას და ნიაღვარს არ გაეფუჭებია), მეღვარეობის უქმე მე (მარიამ მობისათვის ერთ-ერთ დღეს ფშაველები უქმად ინახავდნენ და წმ. ელიას ევედრებოდნენ, რომ დაპურებული ყანა სეტყვამ და ნიაღვარმა არ გაანადგუროსო), მექარეობი (უქმობდნენ იმიტომ, რომ დამწიფებული ყანა ქარს არ გაეფუჭებია), გამოთავა ქართლში იცოდნენ თაგვების ოჯახიდან და ყანებიდან გასადევნად, თაგვ-ჩიტუქმე (ფშავში დიდმარხევის ჰირველ ორშაბათს ეწყობოდა ოჯახის და მოსავლის თაგვჩიტებისაგან დასაცავად, „თაგვ-ჩიტო გალალვისათვის“), თაგვ-მარიობი (თაგვების საჭინაალმდეგოდ იყო დაწესებული გურიაში), ჩიტ-მარიობი (ჩიტებისაგან ნათესების დასაცავად ეწყობოდა აგრეთვე გურიაში), ჩიტ-ა-ფაფობა (გარეული ფრინველებისაგან ჰირნახულის დასაცავად), მეღლიობა — მეღლა-კვერიობა (მელის, ტურის, მგლის, ქორის, ძერის და სხვ. მტაცებელთა გულის მოსაგებად ასრულებდნენ) და მრავალი სხვ.

ამ დღეობათაგან ზოგი საქართველოს ყველა, ხოლო ზოგიც რამდენიმე ან ერთ რომელიმე კუთხეში ეწყობოდა.

სოფლის მეურნეობის ამსახველი რიტუალები ამ დღეობათა გარდა შედიოდა ზოგიერთ სხვა დღეობათა შედგენილობაშიაც ან მათგან დამოუკიდებლადაც სრულდებოდა საჭიროების მიხედვით. ასე მაგალითად, ფშაველები, როცა მინდვრად გუთანს ჰირველად გაიტანდნენ, ხარს წითელი ძაფით ნაცარ ან ნახშირგამოკრულ ჩვარს კუდზე შეაბამდნენ და კისერზე ბალანსაც შეკრეჭდნენ. ყანაში ხმიადიც მიჰქონდათ და მიწის მოხვნის დაწყებამდე გუთნის დედა კარგი მოსავლისათვის დედამიწის ძფარველ ანგელოზს შეევედრებოდა, ხმიადს გუთანზე გატეხდნენ და აქვე შეჭამდნენ. შემდეგ სათესლედან ერთ მუჭა თესლს აიღებდნენ, მას ხატის მამულის თესლში გაურევდნენ და ყანის

1 ს. მაკალათია. ფშავი, 1934, გვ. 169.

2 ა. სოხაძე



მოთესვა-მოხვნასაც შეუდგებოდნენ. ხვნა-თესვას რომ მეურნეობის
ბოდნენ, ყანაში გრძელ ჭოხს ჩაარჭობდნენ, მას თავზე გრძელი
ბალახის თავთავს უკეთებდნენ, რომ ასეთი თავთავიანი ჭირნა-
ხული ამოსულიყო!

სოფლის მეურნეობის ამსახველი ყველა ამგვარი რიტუა-
ლისა და დღეობების სიმრავლე და ხასიათი ყოველთვის შესა-
ტყვისებელი იყო ამ მეურნეობის სირთულესა და საქართვე-
ლოს სხვადასხვა კუთხეში მისი წარმოების თავისებურებებთან.

ქართველმა ხალხმა თავის მრავალათასწლოვანი არსებობის
მანძილზე ჩვენი სამშობლოს მეტად ნაირსახოვანი ბუნებრივი
პირობების შესაბამისად შექმნა და გაავითარა ისეთი სოფლის
მეურნეობა, რომელსაც თავისი სირთულის მიხედვით მსოფ-
ლიოში ანალოგი იშვიათად მოეპოვება. ეს მეურნეობა გარკ-
ვეული ხანიდან დაწყებული შეიცავდა და ამჟამადაც შეიცავს
მისთვის დამახასიათებელ ყველა ძირითად დარგს რიგ დამხმა-
რე დარგებთან ერთად — მემინდვრეობა, მევენახეობა-მეღვი-
ნეობა, მებოსტნეობა-მებაღეობა, მეხილეობა, ტექნიკურ კულ-
ტურათა (სელი, თამბაქო და სხვ.) მეურნეობა, მესაქონლეობა,
მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა და სხვ. სა-
ქართველოს „მადლიან“ მიწაზე გლეხობას უხვად მოჰყავდა:
პური, ქერი, სვილი, ჭვავი (როგორც მინდვრის სარე-
ველა მცენარე), ფეტვი, ღომი, „ქვრიმა“, „ძურწა-
ფეტვი“, სიმინდი, ცერცვი, ბარდა, მუხუდო,
ოსპი, ცულისპირა, ძაბა, სოია, ღობიო, კარტო-
ფილი, მზესუმზირა, გოგრა, ყოველგვარი
ბოსტნეული და ბაღჩეული (ნესვი, საზამთრო, კიტრი),
სელი, კანაფი, ბამბა, თამბაქო, უამრავი ჯიშის
ყურძენი და ხილი: ვაშლი, მსხალი, კომში, ლელვი, ატა-
მი, ჭერამი და გარგარი, ნუში, ტყემალი, ჭლიავი (შავი ჭლიავი,
თეთრი ჭლიავი, ონტორო, კორკიმელი და სხვ.), კვირინჩხი,
ლოლონაშო, ბროწეული, ბალი და ალუბალი, თუთა, შინდი, კა-
კალი, თხილი, წაბლი, ფშატი, ხურმა, ხურტქმელი, ზეთის ხი-
ლი, უნაბი, თუთუბო, თამელი და სხვ. შინაური ცხოველებიდან

I ს. მაკალათია. ფშავი, 1934, გვ. 168.

საქართველოში გავრცელებული იყო და არის: ხარი,
ძროხა, კამეჩი, ცხენი, ჭორი, ვირი, ცხვრისა
თხა, ღორი, კურდღელი, ძაღლი და კატა, ხოლო
შინაური ფრინველებიდან: ქათამი, ბატი, იხვი, ინდაუ-
რი და ციცარი.

• იმის ნათელსაყოფად თუ რაოდენ რთული, ფაქიზი და
მრავალმხრივი იყო სოფლის მეურნეობა საქართველოში, საქ-
მარისია გავითვალისწინოთ, რომ ხორბლეულის 16 ცნობილი
სახიდან აქ წარმოდგენილია 11, ხოლო კულტურული ვაზის
ადგილობრივი ჯიშები დღევანდელი გაანგარიშებით 500 ერ-
თეულს აღემატება. ამასთან თითოეული ამ ჯიშთაგან თავისე-
ბურ მოვლა-პატრიონობას მოითხოვს. ასევე უნდა ითქვას სა-
ქართველოში ძველად და ამჟამად გავრცელებული სხვა
კულტურული მცენარეების, შინაური ცხოველების და მათი
ჯიშების შესახებ, რაც ქართველი გლეხის უამისოდაც რთულ
სამეურნეო მოღვაწეობას კიდევ უფრო ართულებდა, ამრა-
ვალმხრივებდა, მაგრამ განუწყვეტლივ ამდიდრებდა მის გა-
მოცდილებას და პოზიტიური ცოდნის მარაგს სოფლის მეურ-
ნეობის დარგებში; ამასთან აღსანიშნავია, რომ მეურნეობის
მრავალმხრივობა ქართველს არსებობისათვის ბრძოლას ძალ-
ზე უადვილებდა, რაც კარგად ჩანს ჩვენი ხალხის შემდეგი
შეხედულებიდანაც: „თუ პური არ მოვა — ღვინო დაგვიხს-
ნის გაჭირვებისაგან, თუ არც ღვინო მოვა — ხილის მოსავალი
გვიშველის, თუ არც ეს იქნება — სხვა რომელიმე მცენარე,
პირუტყვი, საქონელი, აბრეშუმის ჭია, ფუტკარი ან კიდევ
სხვა რამ მაინც შეგვიწყობს ხელს და იოლად წაგვიყვანს“-ო.

ქართველი გლეხის სოფლის მეურნეობისა და მასთან და-
კავშირებული საქმიანობის ეს სირთულე თავის უკუფენას
პპოვებდა როგორც ჭეშმარიტი, ისე ფანტასტიკური, რელი-
გიური აზროვნების სისტემაში, იწვევდა მის შესაბამის გარ-
თულებას. ამიტომ არ უნდა გავვიკირდეს, რომ ზემოთ და-
სახელებული დღეობებისა და წესჩვეულებების დიფერენცია-
ცია მეტ-ნაკლებად თანხვედრილი იყო ადგილობრივი სოფ-

¹ ხალოსნობის შესახებ, მეურნე № 5, 1890.

ზოგიერთ ქართულ ხალხურ რელიგიურ დღეობებში, რო-
გორც ზემოთ აღნიშნეთ, სოფლის მეურნეობა მთლიანად
იყო ასახული, ხოლო დანარჩენ სასოფლო-სამეურნეო დღეო-
ბებში კი სოფლის მეურნეობის ესა თუ ის დარგი მთლიანად ან
ნაწილობრივ აისახებოდა, მაგალითად, სვანური დღეობა ლი-
ლაშუნე ("თესლობა"), რომელიც დიდმარხვის მეორე შვი-
დეულის შაბათ დღეს ემთხვეოდა გამანაყოფიერებელი ხარის
და ძროხის კულტთან შერწყმული საგაზაფხულო დღეობა იყო;
ასახავდა ადგილობრივი მიწათმოქმედების, კერძოდ, მემინდვ-
რეობის, თითქმის ყველა მხარეს მეტ-ნაკლები სტატუსი.
იგი უწინარეს ყოვლისა დაკავშირებული იყო თესლეულთან
და თესვის პროცესთან, რაც დღეობის სახელწოდებიდანაც
(ლიში — თესლი, ლილიში — დათესვა, ლილაშუ-
ნე — თესლობა) კარგად ჩანს.

ამ დღეს დიასახლისი პირველად მოხდიდა კიდობნებსა და
გოდრებს, სადაც საოცელე მარცვლეული ინახებოდა და ამ
მარაგიდან ოჯახის წევრებისათვის სამყოფ კორკოტს მოხარ-
შავდა. კორკოტი ხორბლისა იყო, რომელსაც შერეული ჰქონ-
და ცოტ-ცოტა ქერი, ცერცვი, მუხუდო და ოსპი. როგორც
ვხედავთ, ამ რიტუალში მთავარი ყურადღება გამახვილებული
იყო ხორბლეულზე, მაგრამ ყურადღების გარეშე არც სხვა
მარცვლეული რჩებოდა. ამავე დღეს ცხვებოდა მარცვლეუ-
ლის მოყვანასთან დაკავშირებული ობიექტების სახის მქონე
რიტუალური კვერები, რომელსაც „ქალო“ ერქვა და რომელზედაც
გამოცხობის შემდეგ აწყობდნენ ხარების, სახნისის, თოხის და
სხვა სამეურნეო იარაღის სახის კვერებს. შეწირვის შემდგომ
ამ კვერებს ხვნა-თესვაში მონაწილე მამაკაცები შეექცეო-

¹ გ. ბარდავილიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 121.

დაც ასევე იქცეოდნენ ზემოსვანეთის მულახის თემში შუალედული სახის რიტუალურ კვერებს მოსავლიანობის ღმერთს შესწირავდნენ და თან ევედრებოდნენ თესლეულის ნაყოფიერება და გაზაფხულ-ზაფხულში ნათესისათვის მარგებელი შეზავებული დარ-ავდარი მოგვანიჭეო².

მეცნიერული თვალსაზრისით მეტად საინტერესო რიტუალური კვერები იყო მოპოვებული ვ. ბარდაველის მიერ ბალს ქვემოთ ცხუმარის თემში, რომელიც დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყონებას „ყოველ ოჯახში ცხვებოდა შემდეგი სახისა და სახელწოდების რიტუალური კვერები: კუეცნემ შდა — პურის თავთავი, ჭიმნიშვდა — ქერის თავთავი, ფეტჩიშ შდა — ფეტვის თავთავი, ცხრილ-ცხრილი, ჯარ-გობი, რომელშიც მოთავსებული იყო კუეცნემ ჭიც — პურის ცომი ფილებაში. ძევლად სსენებულ თემში დღეობა „ლილაშ უდა ფეტჭაშ ჭიც — ფეტვის ცომი, ლაკნი კანარ — მხვნელი ხარები და ლაჭალი კანარ — მფარცხავი ხარები ... ამის შემდეგ გამომცხარ კვერებს ტაბაკზე (ტაბაგ) გააწყობდნენ გარკვეული წესით: ჭერ ‘ხარებს’ დააყენებდნენ, — ‘მხვნელ ხარებს’ სახვნელში „შეაბამდნენ“, ‘მფარცხავ ხარებს’ — ფარცხში. ასე გაწყობილ ხარ-საჭურველს იქთიქიდან (მარჯვენა და მარცხენა მხრიდან (“ძროხებს” „წამოუწვენდნენ“ და გვერდებზე „პურეულის თავთავებსა“ და ‘გობსაცერს’ მიუწყობდნენ). ასე გაწყობილ ტაბაკს ოჯახის უფროსი ხელში დაიჭირდა, მაღლა ასწევდა და პურეულის ღვთაება ლამარიას, რომელსაც ამ დღეს ლამარია ლილაშუნეს სახელით მოიხსენიებდნენ, შესწირავდა პურის კარგი მოსავლისათვის ლოცვავედრებით“³.

ლილაშუნესაგან განსხვავებით ისეთი ვიწრო და-

¹ არს. ონიანი. ქვემო სვანური ხალხური დღეობები, 1934 წ. ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილება.

² დარ. მარგიანი. სვანური ხალხური დღეობები მულახის თემში, 1936 წ. ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილება.

³ ვ. ბარდაველის დასახ. ნაშრ. გვ. 121 — 123.



ნიშნულების დღეობა, როგორიც იყო, მაგალითად, ასახულის
დასახელებული ჭ ა დ ო ბ ა, ასახავდა მემინდვრეობის ერთ
დარგს — მეფეტვეობას და არა სვანეთის მემინდვრეობის-
ყველა დარგს და ყველა მხარეს. ასევე ვიწრო შინაარსის მქონე
იყო, მაგალითად, რაჭული დღეობა „ღორების პარასკევი“, რო-
მელიც მესაქონლეობას კი არ ასახავდა მთლიანად, არამედ
მის ერთ დარგს — მელორეობას.

იყო ისეთი დღეობებიც, რომლებიც სოფლის მეურნეობისა
და მასთან დაკავშირებული საქმიანობის ცალკეულ მხარეებს-
თუ მომენტებს (მოსავლის გვალვისა, ხანგრძლივი წვიმისა,
სეტყვისა, ელჭექისა, ნიაღვრისა და ქარისაგან დაცვა, მეწვე-
ლი საქონლის გაშრობის მიზეზების მოსპობა, მოზარდი საქონ-
ლის — ხბოებისა და გოჭების მოვლა-პატრონობა და სხვა)
ასახავდა.

საქართველოს ყოველ კუთხეში, როგორც ზემოთ აღნიშ-
ნეთ, სოფლის მეურნეობის ამსახველი დღეობების გარდა, არ-
სებობდა ამავე მეურნეობის ამსახველი უამრავი რიტუალები,
რომლებიც არასაუქმო დღეებში სრულდებოდა საჭიროების მი-
ხედვით. ყოველი ასეთი რიტუალი თავის სიმარტივით და ვიწრო
დანიშნულებით განსხვავდებოდა დღეობისაგან, რომელიც
რიტუალების მეტ-ნაკლებად რთულ კომპლექსს წარმოადგენდა.
იგი ხშირად ერთი აქტისაგან შედგებოდა, გაუნაწევრებელი და
დანიშნულების მხრივ მაქსიმალურად შემოსაზღვრული იყო.
მივუთითებთ რამდენიმე მათვანზე.

კახელები, იმისათვის რომ პურის მარცვალი მსხვილი გამო-
სულიყო, სათესლე ხორბალში ნიგვზის კაქლებს ჩაურევდნენ (ფიქსირებულია ჩვენს მიერ 1954 წელს). მაშიასადამე, მათ სჭე-
როდათ, რომ კაკალს შეუძლია პურის მარცვლის გამსხვილება
მასთან შეხების მეშვეობით, რაც მიმბაცველობითი და კონტა-
გიოზური მაგის პრინციპებზე დაფუძნებული თვალსაზრისი-
დან გამომდინარეობს.

ს. ჩუმლაყში (გურჯაანის რაიონი) ადგილობრივ მოსახლეო-
ბას სწამდა, რომ შუბლზე „ხარალის“ (თუთის ხის კანი) წაკვ-
რა იწვევს აბრეშუმის პარკის გამაგრებას. ამიტომ აბრეშუმის
ჭია რომ ორ-სამ პარკს, ე. ი. „ნიშნს“, გაიკეთებდა, „მეჭიავე“


ქალი შუბლს აუცილებლად „ხარალით“ წაიკრავდა (ფიქსირებული ბულია 1954 წელს).

როგორც ვხედავთ, ორსავე შემთხვევაში სრულდებოდა მარტივი (შეუდგენელი) ჯადოქრული აქტი (სათესლე ხორბალში კაკლების ჩაყრა და შუბლზე „ხარალის“ წაკვრა). ამის შესაბამისად ფრიად შემოსაზღვრული იყო მათი დანიშნულებაც (მსხვილმარცვლიანი ხორბლის მოსავლისა და საღი, კარგად შეკრული აბრეშუმის პარკების მიღება).

იმერეთში ალაგ-ალაგ დღემდე შემონახულია ფეტიშისტური რწმენის ნიადაგზე აღმოცენებული უძველესი ჩვეულება ძროხის რქაზე ნალის შებმისა, რაც მორწმუნე მანდილოსანთა აზრით, ცხოველს „გათვალვისაგან“ („ავი თვალისაგან“) იცავს.

„გათვალვის“ რწმენასთან დაკავშირებით რაჭველები ვენახის ღობის სარჩე, კარიბჭის მახლობლად, გახვრეტილ ქვას ჩამოაცობდნენ ხოლმე, რაც იმისათვის სრულდებოდა, რომ ვენახი „გვარწერილად“ ყოფილიყო, არავის „გაეთვალა“, არავის გაექურდა, არ დაესკრუვა და ა. შ.

რაჭველებს აგრეთვე სწამდათ, რომ „გათვალული“ ხარი კანკალებს და კბილები ენძრევა. ასეთ ხარს წილმის ცეცხლზე სამჯერ გადაატარებდნენ და ულოცავდნენ. შემდეგ „ნალოც ქალალდს“ (ქალალდი შელოცვის ტექსტით) რქაზე შეაბამდნენ და იგი განკურნებულად ითვლებოდა. ამ რიტუალში ყურადღებას იპყრობს ცეცხლთან დაკავშირებული მაგიური მოქმედება, რომელიც ცეცხლის ავი ძალებისა და მათგან გამოწვეული მავნე შედევების მძლავრ გამანადგურებელ ძალად აღიარებაზეა დაფუძნებული.

ცეცხლის ამგვარი გაგებით უნდა აიხსნას შემდეგი ჩვეულებაც: ს. ნიკოლწმინდაში ახლადშობილ გოჭებს დიდ ქვაბში ჩასვამდნენ. შემდეგ ქვაბს ცეცხლზე შემოდგამდნენ. და იქამდე ახურებდნენ, სანამ გოჭები არ შეწუხდებოდნენ — ხტუნვასა და ჭყივილს არ დაიწყებდნენ. აღვილობრივი მოსახლეობის რწმენით, ამიერიდან გოჭები ტანმრთელი იქნებოდნენ, მათ სახადი ან სხვა ავი ძალა ვერაფერს დააკლებდა.

ქვემო ბოდებეში ჩაწერილი ცნობის თანახმად დოლიანობის (იწყებოდა თებერვლის პირველ რიცხვებში და გრძელდებოდა

სამი კვირა) დროს, ის, ვინც ცხვარს პატრონობდა, ხელაშემომავალი არ იბანდა („ასეთი იყო ადათონ“), ოთხშაბათს და შაბათს შარ-ხულობდა. ამ აღკვეთას მეცხვარეები დოლის უზარალოდ ჩა-ტარებისათვის იცავდნენ.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ტყეში დარჩენილი სა-ქონლის, ნადირისაგან დასაცავად ჯადოქრული რიტუალი სრულდებოდა, რომელიც ნიკორწმინდული ვარიანტის მიხედ-ვით შემდეგში მდგომარეობდა: სკამს „დაბორკავდნენ“ — ფე-ხებზე ბაწარს შემოუჭერდნენ და მასზე დაალაგებდნენ ქვასა-ნაყს, სარკეს, ძაფით კბილებშეკრულ სავარცხელს და თასმით პირშეკრულ მაკრატელს. „ასე იქნებოდა ერთი ღამე, სანამ სა-ქონელი მოვიდოდა“. ამ მოქმედებასთან ერთად ლოცვასაც იტყოდნენ:

ორენია, ორენია,
სამი წლისა სამებია;
იოვანე მოღალაღობს
მეუფისა კარსა;
მეუფე, შენ ჩამოაგდე

კიბორჩხალი ზღვასა;
ნადირ კბილი შეუკარი,
შეუკარი, შეუბეჭდე,
ჩეენ საქონელზე
ნუ გაარყევიებ პირსა².

ამ მაგიური მოქმედების შესრულებისას სკამის ფეხები მიჩ-ნეული იყო ნადირის ფეხებად, მაკრატლის დანები — ყბებად, ხოლო სავარცხლის კბილები — ნადირის კბილებად. ამის შე-საბამისად სკამის ფეხების „დაბორკვა“ ნადირის „დაბორკ-ვის“ — ფეხების გაუნძრევლობის (შეკვრის) გამომწვევ მოქმე-დებად მიაჩნდათ, ხოლო მაკრატლის თასმით „პირის შეკვრა“ (გაკრჭვა) ნადირის „პირის შეკვრის“, ხოლო სავარცხლის კბი-ლების „შეკვრა“ — მისი „კბილების შეკვრის“, ანუ გაუნძრევ-ლობის გამომწვევ მიზეზად.

ნაწილი ამ რიტუალებისა, დღეობების მსგავსად, სრულდე-ბოდა სეზონურად, სამეურნეო საქმიანობისა და წლის დროთა შესაბამისად, თუმცა მათთვის დღეები დაწესებული არ იყო კალენდარული რიგის მიხედვით. მაგალითად, რაჭის მთიანეთში

1 ა. სოხაძე. კახეთში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალები, 1954 წ., ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილება.

2 ა. სოხაძე. მასალები რაჭის ეთნოგრაფიისათვის (ხელნაწერი), 1940, გვ. 24 — 25.



ის რიტუალი, რომელიც მინდვრის სამუშაოზე პირველად გვხვდა
სვლისას სრულდებოდა¹, ყოველთვის ხვნა-თესვის სეზონში
იყო დაკავშირებული და, მაშასადამე, ამ სეზონში იყო მოქცეუ-
ლი, თუმცა ამისათვის (რიტუალის შესრულებისათვის) წრნას-
წარ განსაზღვრული დრო, რომელიმე დღის სახით, დაწესებუ-
ლი არ იყო, ვინაიდან ყველა ოჯახი ხვნა-თესვას ერთსა და იმავე
დღეს არ იწყებდა და არც ამთავრებდა.

სოფლის მეურნეობის ამსახველი სხვა რიტუალები სრულ-
დებოდა სხვადასხვა დროს, საჭიროების მიხედვით, ვინაიდან
მოვლენები (შემთხვევები), რომლებიც ამ რიტუალების შეს-
რულების აუცილებლობას იწვევდნენ (საქონლის ტყეში დარ-
ჩენა, დაავადება, გვალვა და ა. შ.) თავს იჩენდა აგრეთვე სხვა-
დასხვა დროს.

განხილული მაგალითებიდან ცხადად ჩანს, რომ როგორც
სოფლის მეურნეობის ამსახველ დღეობებში შემავალი, ისე
მათგან დამოუკიდებელი ამავე ხასიათის რიტუალები მოიცავ-
და ამ დარგთან დაკავშირებული გლეხის სამეურნეო მოვა-
წეობის ყოველ სფეროს, რაც მძლავრ დამამუხრუჭებელ ზეგავ-
ლენას ახდენდა მის ეკონომიკურ და სულიერ განვითარებაზე, იწ-
ვევდა მძიმე შრომით მოპოვებული დოვლათის შემცირებას, აკ-
ნინებდა ამ დოვლათის უშუალო მწარმოებელთა მიერ ბუნებასა
და საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების სწორად შემეცნების
უნარს. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ქართველი გლეხი თავის

¹ იგი შემდეგში მდგომარეობდა: სანამ ბოსლიდან ხარებს გამოიყვანდ-
ნენ, ბოსლის კარგბაზან ახალწლის ნარჩენ მუგზაულს აანთებდნენ. ოჯახის
უფროსი ხელში „განატეხით“, რომელზედაც კოვზით საფუარი იყო მო-
თავსებული, ბოსლში შევიდოდა და ხარებს ამ ანთებულ მუგზაულზე
გადმოატარებდა და ბეჭედ საფუარს ჯერულად ამოსცხებდა, შემდეგ ხარებს
ყანაში წაიყვანდა. „განატეხიდან“ გულს მრგვალად ამოქრიდა და ხარს
მარჯვენა რქაზე ჩამოჰქიდებდა. ამასთანავე იყეობდნენ პურის „ლულუა“-ს
(გრძლად ამრგვალებდნენ), რომელსაც მიწაში ჩაფლავდნენ და იტყოდნენ:
„ლმერთო, ამისთანა თავთავი გაუკეთე ჩვენს ნახნავსო“. აკერებდნენ პუ-
რის ბურთულებსაც; მალა ისვრიდნენ და თან ამბობდნენ: „ამ სიმაღლე
გაიზარდოს და ამოდენა ჭირნახული დადგესო, ამის ქვემო ნისლი ნუ წა-
მოვა, თორემ ყანებს მოგვინისლავსო“ (ს. მაკალათია. მთის რაჭა, თბილისი,
1940, გვ. 64).

სამეურნეო საქმიანობაში მხოლოდ რელიგიური მოტივებით
ხელმძღვანელობდა და ბუნებასთან ბრძოლაში წარმატებისა
იმდეს მარტოოდენ მაგიურ-რელიგიური რიტუალების შესრუ-
ლებაზე იმყარებდა.

ეს რიტუალები, თუმცა ადამიანთა საწარმოო მოღვაწეობის
წიაღში ჩაისახა და აღმოცენდა, მაგრამ მათი სახით წარმოდგე-
ნილი კულტი იყო ამ მოღვაწეობის ცრუ, არაფრის მომცემი და-
ნამატი, ცხოვრების მძლავრ ხეზე ამოსული უნაყოფო ყვავილი.
სწორედ ამ თავისებურების გამო არ შეეძლო რელიგიურ
პრაქტიკას გადამწყვეტი როლი ეთამაშნა მეურნეობის სფერო-
ში, მიუხედავად იმისა, რომ მათი არსი დოვლათის უშუალო
მწარმოებელთა მიერ შევნებული არ იყო.

უველაზე მეტად მაგიურ-რელიგიური წესჩვეულებები
მრავლდებოდა და ვითარდებოდა ადამიანის სამეურნეო მოღვა-
წეობის ისეთ სფეროებში, სადაც იგი განსაკუთრებით გრძნობ.
და თავის დამოკიდებულებას ბუნების სტიქიური ძალებისადმი,
სადაც მისი სუსტი ტექნიკა არ იძლეოდა წარმატების რწმენის
განმტკიცების საშუალებას. თავისთავად ცხადია, რომ წარმოე-
ბითი ძალების ზრდა-განვითარების, ბუნებასთან ბრძოლაში
ადამიანის გაძლიერების შესაბამისად მაგიურ-რელიგიური რი-
ტუალები სულ უფრო იკვეცებოდნენ. ამ პროცესის შესაბამი-
სად ევროპის, აზიისა და ამერიკის კულტურულ ხალხებში მრა-
ვალი აგრძარული და სხვა ხასიათის სამეურნეო მაგიური წეს-
ჩვეულებები უკვე XIX საუკუნეში მოისპო თითქმის!

თუმცა ქართველ გლეხს მრავალ საუკუნეთა განმავლობაში
დაუგროვდა მეურნეობის რაციონალური წარმოებინათვის გა-
მოსადეგი ცოდნის დიდი მარაგი, მაგრამ XIX და XX საუკუ-
ნეშიც კი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე იგი ხშირად
იყენებდა სოფლის მეურნეობაში მაგიურ-რელიგიურ რიტუა-
ლებს რაციონალურ საშუალებებთან (ნიადაგის კარგად დამუ-
შავება, მძიმე მიწების ლრმად მოხვნა ნესტის შენარჩუნების
მიზნით, ზომიერი მორწყვა, ყანის გამარგვლა, მიწის დასვენე-

1 Основы научного атеизма, под ред. И. П. Цамеряна, Москва, 1961, гл. 121.

ծա լա ցածոնեցրեծա, շանիս ցանեցլա թվուցիւրագ և տացու քառականաց
 պյոմոծա, ցենանիս ցադաձարցա, սոցլուս մեղրնեօնծաշո ցթոփյնց
 ծուլո օահալընիս ցանմչոնցեցուցա և ցամրացլուցա, թռուալունց-
 լո ամոնցու Շոնաթար ցանսաթլուրա, սայոնլուս յարցո մոցլա-
 վաթրոնօնծա, ზրունցա չոթու ցանմչոնցեցուցա և ա. թ.) ցրուաց.
 յս օմու լինդա անեսնաս, հռմ օմ եանան յարտցել ցլուես ար
 չվոնքա եսենցեծուլ մեղրնեօնծաստան დայացմուրեցուլ ծունցօնիս
 թրացալ մոցլենանց ս՛որհո թարմուցցենա և ույց հրուցուս
 Ծցցունցամու ոյու, եռլու ս՛ազլա-ցանսատլուցա և անալո Ծյժնոյուս
 լանցրցա, հռմելու ամ մոցլենաս առմոցեցրուցա, սոցլուգ-
 ցյես մելուաց օյուցեցա, օմթրոննուցելո լիցարցուսս սուրուալուրո
 Ծյոնծունցօնիս ցամո. ցարոնմո հրուցուսս ար թռուալոնիս,
 արամեց մուսս մայսոմալուրո ցամթկուցեցուսատցուս օմթրուցա, ցոնա-
 ցան ոցո ցարունուլո օդյուռուցուսս յազյուտեցու ոյու, եռլու
 հրուսուլո թարտլմաճուցեցուլուրո յէլլուսոա, հռմլուս Մշմաջցեն-
 լոնծամու օմենանց սայարտցելուս յէլլուսոաց Մշմաջուացա, ամ օդյու-
 ռուցուսս տացլաճուլո դամներցազո և ցանմամթկուցեցու որ-
 ցանոնիչացու ոյու.

սոցլուս մեղրնեօնծուսատցուս սայուրո ամա ու օմ րապոննա-
 լուրո սամյալուցօնիս լիյոնլոնծա, ու մուսս ցամուցենցօնիս Մշմա-
 ջուցելունծա, եմուրաց ամուլուցեցա յարտցել ցլուեռծաս ցամուցեն-
 ծինա օրապոննալուրո, մացուր-հրուցուրո սամյալուցանո. սանո-
 մուշու Մշմաջուցեա մովուտուտու ցալլուտա և սահրիցազո Ծյուլուս
 նայլուցուտու ցամռիցուր մացուր հոգուրալուցեցա.

մյուլեցարո թ. ց ց ց Ց օ ց յ յարտլուն ցարլուցելուլո
 թռունցացուս Ծյեցօնիս ցանենուցուսս Մշմոննաց: „Սայուննեցօնտ
 սայուրծուրուր և մուգմոզո ზրունցուս սացանմա — սահրիցազմա
 Ծյալմա և տցուտ հրիցա սուսեմամ թրացալո ցամուցուլուցա և
 թռումուտու հցեցա Մշմաջունցօնա մովուսմոյմել ցլուես. պայլա յս հցեցա,
 ցամուցուլուցա և դայցուրցենա սածկուտա մեցնուրեցօնիս մոյր Մշ-
 մաջուցելունցա և ծցուրո թատցանո յուրէմուր ցամուցենցօնիս Յնուցեցօն
 սուրուալուս թռուր մովուտմոյմեցեցամուն“¹. մացրամ թռունցացուս, հռմե-

1 թ. ց ց ց Ց օ ց յ. սահրիցազո մովուտմոյմեցեցա սայարտցելուն հութո-
 րուլ-յունոցրուցուրուն Մշմաջլուս պատուս, ոծուալուս, 1961, թ. 40.



ლიც გვალვის საწინააღმდეგო ყველაზე რაციონალურში ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა „ძველს ვითარებაში... არასოდეს არ ჰქონია ფართო მასშტაბი. წყლის ბუნებრივი რესურსების ფართოდ გამოყენების შეუძლებლობა იყო / მიზეზი სარწყავი წყლის ნაკლებობისა. „თვალით აწონილი წყალი“ სრულიად ვერ აკმაყოფილებდა ველობის მიწათმოქმედებას, ამიტომ ძველთაგანვე მეურნეობისათვის აქ ატმოსფერული ნალექებით ჩწყვას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა. ასეთი რწყვა კი, ცხადია, შემთხვევითობაზე იყო დამყარებული, ივი „ღმერთს ეკითხებოდა“. აი, მაგალითად, რას ამბობენ ხურვა-ლელები: „მთელი გაზაფხული გავწვალდებოდით, მოვხნამდით, დავთესამდით და ერთი ისლა გვევალებოდა რო დაგვეფარცხა, ამის მერე ჩვენს ნათესებს ღმერთს მივაბარებდით, რო იმას შეენახა და ეპატრონა. ჩვენ არა შევვეძლო რა, ხვთის ამარა ვიყავითო“ ამ გარემოებით უნდა აიხსნას ის, რომ შიდა ქართლის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, ისევე როგორც საქართველოს სხვა სამიწათმოქმედო კუთხეების ეთნოგრაფიულ ყოფაშიც, გვალვის საწინააღმდეგო რაციონალური, ე. ი. ტექნიკურ-სამეურნეო საშუალებების პარალელურად დამოწმებულია ირაციონალური, ე. ი. რელიგიური, საშუალებების ფართოდ გამოყენება წარსულში”¹.

გვალვის საწინააღმდეგო ირაციონალური საშუალებებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ე. წ. გუთნით წყლის მოხვენის მაგიური რიტუალი, რომელსაც წინ უსწრებდა უფრო ფართოდ გავრცელებული წესი ლაზარობა და გონჯაობა. ეს უკანასკნელი წესი ქვემორაჭული ვარიანტის მიხედვით შემდეგში მდგომარეობდა: გვალვის დროს რამდენიმე ახალგაზრდა კაცი შეამხანაგდებოდა. მათგან ერთს „გონჯაღ“ აირჩევდნენ, რომელსაც გააშიშვლებდნენ (მუხლებამდე აძრეკაპიწებული ქვედა საცვლის გარდა არაფერი უნდა სცმოდა) და სულ შავად შემურავდნენ; ხელში გრძელ ეკალს, რომელსაც საკულტო, ანუ „წმინდა“ ხის მნიშვნელობა ჰქონდა, მისცემდნენ. ასე მოკაზმული „გონჯას“ მესვეურობით რიტუა-

¹ ე. გეგე შიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 52.

ლის მონაწილეები კარდაკარ ჩამოივლიდნენ; ეზოში შესცდითხა
კი სიმღერას წამოიწყებდნენ:

გონგა მოდგა კარსა,
აბრიალებს თვალსა,
რილოსა და ცხრილოსა
ღმერთი მოგვცემს წვიმასა.

ამ დროს სახლის პატრონი ან ოჯახის სხვა რომელიმე წევ-
რი „გონგას“ უკნიდან წამოეპარებოდა და დიდი ჰურჭლით
წყალს შეასხამდა. „გონგა“ თავს იცავდა ეკლიანი წნელით,
ვისაც მიეწოდა ყველას ურტყამდა. ამ პირს ყოველი ოჯახი
ასაჩუქრებდა ყველით, ქათმით, ჰირნახულით და სხვ.¹

ამ რიტუალის უმნიშვნელოვანესი ელემენტია შავად შე-
მურულ გონგაზე, რომელიც თავის ფერით საწვიმრად გამზა-
დებულ ღრუბლებს განასახიერებდა, წყლის მისხმა, რომელიც
იმიტაციური მაგიის გამოვლინებას წარმოადგენს. ამ ჯადოქრუ-
ლი მოქმედების მეშვეობით ცრუმორწმუნე მოსახლეობა ლა-
მობდა ზეგავლენა მოეხდინა ღრუბლებზე იმისათვის, რომ მათ
წვიმა მოვალინათ.

ამგვარი რიტუალების მრავალი ნიმუში ჩვენ იმიტომ განვი-
ხილეთ, რომ ცხადგვეყო ქართველთა უძველესი რელიგიური
პრაქტიკისა და მსოფლმხედველობის კავშირი მათ მეურნეო-
ბასთან, განსაკუთრებით კი სოფლის მეურნეობასთან. ძირითა-
დი დასკვნა, რომელიც სენებული რიტუალების ანალიზიდან
გამომდინარეობს, მდგომარეობს იმაში, რომ მეურნეობა ს-
ხასიათი (რა, როგორ, რაგვარ ბუნებრივ გარემოსა და სო-
ციალურ ვითარებაში იწარმოება) სავსებით განსაზღვრავდა
მეურნეობასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოადგენებსა და
მათზე დაფუძნებული მაგიური პრაქტიკის (საკულტო მოქმე-
დებების) ხასიათსა და სპეციფიკას. რა თქმა უნდა, ეს იმას არ
ნიშნავს, რომ ჩვენ ვულგარული მატერიალიზმის პოზიციაზე
ვდგავართ და იმის დასაბუთება გვსურს, რომ აზროვნება წარ-
მოების პროცესთან, მეურნეობასთან ისეა შეკავშირებული,

¹ ფიქსირებულია ჩვენს მიერ ს. მიქარწმინდაში 16/VIII, 1940 წელს
74 წლის კონდრატი მარკოზის ძე სოხიძის მონათხობის მიხედვით.

როგორც, მაგალითად, შეგრძნების და აღქმის პროცესზე მათ გამომწვევ საგნებთან და მოვლენებთან. აზროვნება საერთოდ და, კერძოდ, რელიგიური აზროვნება, გარე სინამდვილის გაშუალებულ ასახვას წარმოადგენს. ამ პრინციპის შესატყვისად სამეურნეო ხასიათის რიტუალებსა და მასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოადგენებში მეურნეობა და სამეურნეო ყოფა აისახება გაშუალებულად, რომელშიც მრავალი შემთხვევითი და აუცილებელი ფაქტორი მონაწილეობს. რაში მდგომარეობს ეს გაშუალება, შევეცდებით ცხადვყოთ ნაშრომის ბოლო ნაწილში.

სოფლის მეურნეობის ამსახველი რიტუალების და დღეობების წარმოშობისა და განვითარების ისტორიული პროცესი ამ მეურნეობის წარმოშობისა და განვითარების შესაბამისად მიმდინარეობდა. უეჭველია, მათი რიცხვის ზრდა და გართულება გაპირობებული იყო ხსენებული მეურნეობის გართულებისა და ღიფერენციაციის მრავალათასწლოვანი პროცესით, რომელიც საქართველოში მესამე ათასწლეულიდან, ახალი ქვის ხანაში დაიწყო (ქველი ქვის ხანა საქართველოში მესამე ათასწლეულამდე, ე. ი. დაახლოებით ამ 5.000 წლის წინათ დამთავრდა). ამ ხანაში შეიქმნა პირველყოფილი მიწათმოქმედება, რომელიც შეგროვებითი მეურნეობის ნიადაგზე განვითარდა. მიწის დასამუშავებლად იყენებდნენ რქის წერაქვებსა და თოხებისებურ იარაღებს, ქვის თოხებსა და სხვ. უძველეს მიწათმოქმედებას და მისი პროცესზე დამუშავებას ემსახურებოდა აგრეთვე ნამგლის პირის გასამართავი დაკბილული კაუის პატარა იარაღები, ქვის ხელსაფქვეები და სხვ. მეთევზეობაც საკმაოდ განვითარებული ყოფილა.

ახალი ქვის ხანაშივე დაიწყო ცხოველების მოშინაურება და საფუძველი ჩაიყარა მესაქონლეობას; საქართველოს იმდროინდელ სადგომებში ირქეოლოგებმა იღმოაჩინეს მოშინაურებული ხარის, ძროხის, ცხვრის, თხისა და ძალის ძვლები.

რადგან მიწათმოქმედების წარმოქმნა წინ უსწრებს ცხოვე-



ლების მოშინაურებას, უნდა ვიფიქროთ, რომ ჯერ აგრარული უკანასკნელი არის არტური და დღეობები წარმოიშვა, უფრო ზუსტად, მთები ერთი ჯგუფი, რომელთა შედეგენილობაში, ბუნებრივია, შევი-დოდა მცენარეთა უძველესი კულტის მრავალი ელემენტი, ზოლო შემდეგ მესაქონლეობისა და მეფრინველეობის ამსახ-ხველი რიტუალები და დღეობები. ამასთან როგორც აგრარულ, ისე მესაქონლეობის ამსახველ დღეობებს მონოგენური წარმო-შობა უნდა ახასიათებდეს, ვინაიდან მეურნეობის ორივე ეს დარგი თავდაპირველად არ იყო დიფერენცირებულად წარმო-დგენილი.

სოფლის მეურნეობის ახალ-ახალი დარგების (ხორბლისა და ქერის წარმოება, მეფეტვეობა, პარკოსანი კულტურების წარ-მოება, მებოსტნეობა, მევენახეობა-მეღვინეობა, მებახჩეობა, მებაღეობა, მსხვილფეხა საქონლის მეურნეობა, მეცხვარეობა, მეთხეობა, მეღორეობა, მეფრინველეობა, სელისა და კანაფის წარმოება, მებამბეობა, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა და სხვ.) წარმოშობა იწვევდა ამ მეურნეობის ამსახველი ახალ-ახალი დღეობების გაჩენას. ამ დღეობათა ევოლუცია და ცვლი-ლებები საბოლოო ჯამში შეპირობებული იყო სოფლის მეურ-ნეობასა, სოციალურ ვითარებასა და რელიგიის სფეროში მო-მხდარი ცვლილებებით, რაც მრავალთაგან დღეობა „ბოსლო-ბის“ შესწავლის შედეგებიდანაც კარგად იჩქვევა.

ამ დღეობის ელემენტების ღრმა შესწავლამ ჩვენ იმ ურყევ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ თავდაპირველად მის (დღეობის) მიზანდასახულობას მარტოდენ მსხვილფეხა რქოსანი საქონ-ლის გამრავლება და მფარველობა შეადგენდა. შემდგომში იგი როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა საქონლის და ნაწილო-ბრივ მეფრინველეობის ამსახველ დღეობად გარდაქმნილა და მისი ფუნქციებიც ამის შესაბამისად გაფართოებულა.

მას შემდეგ, რაც გამოვინებულ იქნა ხარის ძალით მოქმე-დი სახვნელი იარაღი და ხარმა მიიღო „მხვნელი ხარის“ მნიშვ-ნელობა, ბოსლობის დანიშნულება კიდევ უფრო გაფართოვდე-ბოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამიერიდან ეს დღეობა ეწყობოდა როგორც საქონლის გამრავლებისა და კეთილდღეობის, ისე



ხვნა-თესვის წარმატებისა და უხვი მოსავლის მიღებაზე მართვა
ნით.

ეს გარემოება უმთავრესად გამოწვეული უნდა ყოფილიყო
იმით, რომ მესაქონლეობა „მხვნელი ხარისა“ და სახვნელი
იარაღის გამოყენების მეოხებით მტკიცედ დაუკავშირდა მიწათ-
მოქმედებას, მოხდა პირველის მეორესთან ორგანული შერწყ-
მა. თუ აქამდე მეურნეობის ეს დარგები ერთმანეთისაგან
გათიშულად ვითარდებოდა და ამასთანავე მიწათმოქმედების
მესვეურს დედაკაცი წარმოადგენდა, ხოლო მესაქონლეობი-
სას—მამაკაცი, ეხლა მდგომარეობა რაღიკალურად შეიცვალა:
• მოხდა ამ დარგების შეჯვარება. ხარისა და სახვნელი იარაღის
მეურნეობაში გამოყენებით მოისპო ის მიზეზი, რომელიც მათ
გათიშვას იწვევდა და შეუძლებელს ხდიდა ამ დარგების ერთი-
ანი „გლეხური“ მეურნეობის ფარგლებში მოქცევას. ამასთან
აღსანიშნავია, რომ მხვნელი ხარისა და სახვნელი იარაღის გა-
მოყენებამ მამაკაცი როგორც მესაქონლეობის, ისე მიწათმო-
მედების ერთადერთ შეუზღუდველ ხელმძღვანელად და
სრულ ბატონ-პატრონად აქცია. ამან საბოლოოდ გამოაცალა
საფუძველი დედაკაცის უფლებას და იგი მამაკაცის მონად-
აქცია საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ სფეროში. ეს გარე-
მოება კაცობრიობის და, კერძოდ, ქართველი ხალხის ისტორია-
ში წარმოადგენს გრანდიოზული მნიშვნელობის მოვლენას,
სრულ რევოლუციას, რომელიც თავდაყირა აყენებდა ტრადი-
ციულ შეხედულებებს როგორც რეალურ საგნებზე და ლვთაე-
ბებზე, ისე მათთან დაკავშირებულ დღეობებზე და, კერძოდ,
ბოსლობაზე. თუ წინათ ამ დღეობას აწყობდნენ იმისათვის, რომ
საქონელი მოემრავლებინათ და დაცვათ იგი ყოველგვარი სა-
ფრთხისაგან, ახლა აუცილებელი გახდა დღეობის ცერემონია-
ლი მიწათმოქმედებასთანაც დაეკავშირებინათ ხვნა-თესვის
წარმატებისა და უხვი მოსავლის მიღების მიზნით, ვინაიდან ეს
ორი მიზანი მიწათმოქმედს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად
არ შეეძლო გაეაზრებინა მესაქონლეობისა და მიწათმოქმედე-
ბის შეჩრდილობის, მათი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად
წარმოდგენის შეუძლებლობის გამო.

დღეობის მნიშვნელობის გაფართოებას ისიც უწყობდა

ხელს, რომ მესაქონლეობის წარმატებას, მას შემდეგ, რაც სახვ-
 ნელი და ხარი იქნა გამოყენებული მეურნეობაში, მიწათმოქმე-
 დების წარმატება განსაზღვრავდა. საქონლისა და შინაური
 ფრინველების საქვების უდიდეს მაჩაგს ჩალის, ბზის, ნაწილო-
 ბრივ თივის, ბარდის, გოგრის, ჭაჭის¹, მარცვლეულის, ქაჭის
 და სხვათა სახით მხოლოდ მიწათმოქმედება იძლეოდა. მაშასა-
 დამე, მიწის მოხვნაზე დამყარებული მეურნეობის პირობებში,
 თუ ადამიანი იზრუნებდა საქონლის კეთილდღეობაზე, მას უხვი-
 ჭირნახულის მიღებისთვისაც უნდა ეზრუნა.

¹ რაჭაში გამხმარ ჭაჭას სიმინდში ურევდნენ და ფქვავდნენ, ჭაჭანარევა
 სიმინდის ფქვილი ღორის საუკეთესო საკვებია.

თავი მომზადებული

საგოსლოგო ცერემონიის დროს გამოყენებული
რიტუალური დანიზულების საგნები და მათი პავშირი
ჩართვები გლეხის მეურნეობასთან

ბოსლობაში დამოწმებული რელიგიური აქტების შესასრულებლად გამოყენებული იყო რიტუალური საგნები და სიტყვები. მათგან უპირატესი მნიშვნელობა ჰქონდა რიტუალურ საგნებს, ვინაიდან ხსენებულ აქტებთან დაკავშირებული მიზნის განხორციელების თვალსაზრისით ისინი უფრო რეალურ და ეფექტურ საშუალებებად ითვლებოდა, ვიდრე სიტყვები, რომლებიც მაგიური ფორმულებისა და ლოცვა-ვედრების მასალად იყო გამოყენებული.

ხსენებულ საგნებს განეკუთვნებოდა: სხვადასხვა დანიშნულებისა და სახელწოდების რიტუალური პურები, „საბოსლობო გოჭის“ ხორცი (შემწვარი), მოხარშული ლორი (შებოლლილი ლორის ხორცი), ლორის ქონი, ქათმის კვერცხები, სანთელ-საკმეველი, ნაკვერცხლები, ქვასანაყი, წყალში დასველებული ქატო, ჰურის ფქვილის ხსნარი და ნაცარმტუტე.

რიტუალური პურებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა „განატეხებალ“ წოდებული დიდი ზომის პურები. რაჭის რიგ სოფლებში (მეტწილად ქვემო რაჭაში) ორი ან სამი საბოსლობო განატეხი ცხვებოდა¹. ამ განატე-

¹ ა. სოხაძე. ქართველთა სამეურნეო ყოფის ისტორიიდან (რაჭული ბოსლობა), ხელნაწ., 1955, გვ. 46, 50, 52, 55, 57, 59.

ხებს, ისე როგორც სხვა რიტუალურ პურებს, რეკველი დიასახლისი ტრადიციული წესის შესაბამისად ხორბლის გამტკიცული ფქვილისაგან ამზადებდა. ყოველი „საბოსლობო განატეხის“ („ხმიადის“) ერთ-ერთ აუცილებელ ატრიბუტს ის შეადგენდა, რომ გულსავსე, ანუ „სართვიანი“ იყო. სართავად გამოყენებული იყო ლორის ქონით შეზავებული „მოტუკული“ ლობით (ზოგჯერ კანგაცლილი) ან ყველი. ამის მიხედვით განატები ხი „ლობიანად“ (ზემო რაჭის მთიანეთში „ლობუად“) ან „ყველიანად“ იწოდებოდა.

თუ ოჯახში სამ განატებს გამოაცხობდნენ, ერთი მათგანი ხარების მისალოცი იყო. და ხარის განატები (|| ხარების განატები), ეწოდებოდა, მეორე კი ძროხების მისალოცად ითვლებოდა და ძროხის განატები (|| ძროხების განატები) ერქვა, მესამე ვენახის მისალოცად იყო განკუთვნილი.

ხარის განატებზე გამოსახული იყო ულელგამობ-მული სახვნელი (ამ გამოსახულებას ჯერ ცომიდან გააკეთებდნენ და შემდეგ განატეხის ზედაპირზე დააკრავდნენ) ან მხოლოდ ულელი, ძროხის განატებზე — ძროხის ჯიქანი („ტუა“). ორივე განატეხი მრგვალი იყო. ვენახის ანუ გაზების მოსალოც განატებს კი გარეგნულად მტევნებიანი მოხრილი ვაზის ტოტის მოყვანილობა ჰქონდა. მამაკაცებს ეს „განატეხი“ ვენახში მიჰქონდათ.

რაჭის ზოგიერთ სოფელში ერთ საბოსლობო „განატეხს“ აცხობდნენ, სხვა პურებთან ერთად, ან მრავალ უნიშნო პურთაგან ერთს „განატეხად“ შესახელებდნენ. ნ. მინდელის ცნობით, ს. სორქი ბოსლობა დღეს შეკეცილებს აცხობდნენ. ერთ შეკეცილს, რომელიც ბოსელში მიჰქონდათ, „განატეხი“ ეწოდებოდა!. ს. ხვანჭკარაში ბოსლობას სართვიან პურებს აცხობდნენ. მათგან ერთი ჯვარსახიანი განატეხზე ჩაასობდნენ ანთებულ სანთელს, ზედვე გოჭის ბეჭი, ჭიქით ღვინო. ეს ყველაფერი გობზე უნდა დაედოთ და უფროსი ოჯა-

¹ Н. Миндели. Селение Сори, СМОМПК, вып. XIX, отд. I, 25. 127.



ხის კაცი წაიღებდა ამ გობს ბოსელში და თავზე შემოტავისა ლებდა ყველა საქონელს¹. ნ. რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი ს ცნობი-თაც სოფ. გლოლასა, ლებსა, ჭიორასა და უწერაში ბოსლობა დღისათვის დიასახლისი „აცხობდა საგანგებო „განატეხს“ და რამდენიმე „ლობუანს“ იმის კვალობაზე, რამდენი სული ხარი და ძროხა ჰყავდა. „„განატეხი“, ანუ „ხმიალი“ ჯვარდასმული. ანუ ჯვარსახიანი იყო. „განატეხისათვის“ „წმინდა“, ანუ გამტ-კიცული პურის ფქვილს ხმარობდნენ. იგი ვარცლში იზილებოდა. „განატეხის“ გამკეთებელი ვარცლში რომ წმინდა პურის ფქვილს ჩაყრიდა და ხელს კარგად დაიბანდა, შემდეგ „საქონ-ლის ბედზედ, ფქვილში ხელს აურევდა და დაილოცებოდა: „ღმერთო მრავლე ჩვენი საქონელი, ააშორე ავადმყოფობა, წყალში დახრჩობა“ და სხვ.²

ბოსლობის ერთი ვარიანტის მიხედვით ამ დღისათვის, საგანგებოდ გაფორმებული ლობიანი განატე ხების ნაცვ-ლად „გამოაცხობდნენ ხაჭაპურს, ქადებს“, რომლებიც ბავ-შვებს კვერცხთან ერთად მიჰქონდათ ბოსელშით³. ტერეზია კობახიძე-სოხაძის ცნობით, ს. ნიკორწმინდაში ხსენებულ დღეს „ბოსელში მიგვქონდა ერთი ან ორი ქონიანი პური, ცოტაოდენი ლვინო და ერთი კვერცხი. ამ პურებს ბოსელში კვამდითო“⁴. ეთნოგრაფ გ. ჩაჩაშვილის ცნობით, ონელ ებრაელთა ოჯახებში „ბოსლობა დღეს დიასახლისი ქა-დებს დააცხობდა“, რომელიც აუცილებლად ერბოიანი იქნებოდა და ორა ღორის ქონით ნაკეთები, ვინაიდან მორწმუნე ებრაელი ღორის ხორცს არ სჭამს. „ქადებზე ოჯახის უფროსი მამაკაცი სანთლებს დაანთებდა; ბოსელში შეიტანდა და ოთხ-უთხივ მოატარებდა. თან საქონელს დალოცავდა: კარგი წე-ლიწადი გექნეთო, ბევრი მოიწველეთო, კარგად წაიყვანეთ და მოიყვანეთ პატრონებიო“⁵.

1 ფ. გარდაფხაძე. რაჭული ხალხური დღეობები (ხელნაწერი), 1938, გვ. 36, ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილება.

2 ა. სოხაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 38.

3 ესომ. ახალი წელი და ბოსლობა რაჭაში, „ივერია“, 1890, № 2.

4 ა. სოხაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 45.

5 იქვე, გვ. 43.



საბოსლობო რიტუალურ პურებს განეკუთვნებოდა აგრეთვე ამ დღისათვის გამომცხვარი ლობიოსგულიანი ცხიმიანი ბაჭულები, რომელიც ზემო რაჭის მთიან სოფ-ლებში იცოდნენ. ბაჭული ეთნოგრაფ ნ. რეხვიანიშვილის განმარტებით, სართვის მიხედვით შეიძლება ყოფილიყო: „ფხლოვანი“, „ლობუანი“, „ცერ-ცოვანი“, „ქონუანი“ ან ერბოიანი. ს. მაკალათიას აღნიშნული აქვს, რომ მთის რაჭაში „ბოსლობა“ დღეს „აცხობენ კაცის სულხე ბაჭულებს. შეღამებისას უფროსი აიღებს ორ ბაჭულას, კვერცხებს და ბოსლისაკენ გამართება... აქვე შეექცევიან ბაჭულებს და თან ლოცულობენო“¹.

სოფ. ღებში ბოსლობა საღამოს დიასახლისი აცხობდა ოჯახის ყოველ სულხე თითო ლობიოსგულიან ბაჭულას და ამას გარდა ბოსელში მისალოცავად სამ ბაჭულას და ერთ ბასილი ჭიჭყნიან². კვერის ეს სახელწოდება გვაფიქრებინებს, რომ იგი წმ. ბასილის, რომელიც ქრისტიანობის ხანაში ბოსელად || ბოსლად წოდებულ საქონლის გამამრავ-ლებელ და მფარველ ღვთაებას ჩანაცელებია, შესაწირავი იყო და ზედაპირი „მოჭიჭყნილი“, მონაოჭიებული ჰქონდა. მკვლე-ვარი ვ. ბარდაველი ეწოდებოდა მას „ჭიჭყნია“. მთლიანად სახელ-წოდება ბასილი ჭიჭყნია კი ბასილის (წმ. ბასილის) დაჭრელებულ კვერს ნიშნავს. წმ. ბასილის ხსენება, მის სახელ-ზე მიმართული ლოცვა-ვედრება და მისი სახელობის ე. წ. ბა-სილა-კვერები ქართველ ხალხში მოცემულია დღეობა ახალ-წელიწადს, რომელიც ქრისტიანულ სამყაროში წმ. ბასილის მოსახენებელ დღედ ითვლებოდა. ის გარემოება, რომ ბასილი ჭიჭყნიას სახით წმ. ბასილის სახელი და მისთვის განეკუთვნილი კვერი ბოსლობაში მოწმდება, წარმართულის

¹ ს. მაკალათია. მთის რაჭა, თბილისი, 1930, გვ. 62—63.

² მალ. გობეჭიშვილი. რაჭული ხალხური დღეობები, 1936 — 1937 წწ., ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილება.

ქრისტიანულთან სინკრეტიზმის მაჩვენებელია. ღვთაება ბოსე¹
ლის დღეობაში, როგორც ვხედავთ, ქრისტიანული შეკრილა და ამ ქართულ-წარმართული ღვთაების კულტის
თანაზიარი გამხდარია. ეს უნდა მომხდარიყო უეკველია ქრის-
ტიანული წმინდანის სახელის ბასილის მსგავსების ნიადაგზე
წარმართული ღვთაების სახელთან ბოსელი².

ლეჩხუმური ბოსლობის ერთი ვარიანტის მიხედვით ბოს-
ლობა დღეს დიასახლისი ერთ პატარა საოჯახო ტაბ-
ლასა და სამ ცერცვიან ტაბლას გამოაცხობდა.
ცერცვიანი ტაბლები ხარების სალოცავი იყო³.

სამეგრელოში ამ დღისათვის „შინაურ საქონელზე ორ-ორ
კვერს აცხობდნენ. კვერზე იყო ამა თუ იმ ცხოველის რაიმე
ნიშანი. საღამო უამს ოჯახის უფროსი ამ გამომცხვარ კვერს
ხონჩაზე დააწყობდა და ბოსელში შევიდოდა. ამ ხონჩას და-
დგამდა და ღმერთს შეევედრებოდა საქონლის გამრავლებაზე
და იტყოდა — რამდენი ბალანიც ჩემს საქონელს ასხია, იმ-
დენი საქონელი მომეციო, შემდეგ საქონელს სათითაოდ
ხელს გადაუსვამდა და კვერსაც შეაჭმევდა“⁴.

საგულისხმოა, რომ გურულები „საბოსლობო განატეხს“
მამალაძის ცნობის თანახმად, სიმინდის ფქვილისაგან
აცხობდნენ, რომელშიც ჩართული იყო ღორის ქონის ნაჭ-
რები⁵.

„საბოსლობო“ შესაწირავებიდან რიტუალური პურების
შემდეგ ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით საბოსლობო
გოჭი იქცევს. ირკვევა, რომ იგი საქონლის ღვთაების სა-
განგებო შესაწირავს წარმოადგენდა. ამ ღვთაებისათვის
ბოსლობა დღეს გოჭის შეწირვა რაჭაში, როგორც დღეო-
ბის ხვანჭეარული გარიანტიდან ირკვევა, საყოველთაო მოვ-
ლენა უნდა ყოფილიყო.

საგულისხმოა, რომ გოჭი რაჭაში საახალწლოდაც იკვლე-

1 3. ბარდაველიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 98.

2 ფ. გარდაფხაძე. ლეჩხუმური ხალხური დღეობები (ხელნაწერი),
1937 წ., გვ. 36, ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილება.

3 ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილი-
სი, 1941, გვ. 316.

4 Т. Мамаладзе. Народные обычаи и поверья гурийцев,
СМОМПК, 1893, вып. XVII, отд. II, стр. 44.

ბოლა, რაც სხვა მონაცემებთან ერთად ამ დღეობათა ახლო ნა
თესაობის შესახებ მეტყველებს. მაგრამ საახალწლოდ უპირატესა
ტესად ლორს, ანუ ზრდადამთავრებულ ცხოველს ჰქლავდნენ,
„საბოსლობოდ“ კი მხოლოდ გოჭს, რაც შემთხვევით მოვლე-
ნას არ უნდა წარმოადგენდეს. მას პირველ რიგში კავშირი
უნდა ჰქონდეს „გოჭის ხუთშაბათის“ სახელით ცნობილ მეტად
საინტერესო დღეობასთან, რომელიც „ბოსლობის“ კვირის
ხუთშაბათს ეწყობოდა და გოჭების გამრავლებისა და კეთილ-
დღეობისათვის იყო განკუთვნილი.

ამ ფაქტის გათვალისწინების შემდეგ საეჭვო არ უნდა იყოს,
რომ „საბოსლობო“ გოჭის მსხვერპლად შეწირვა უპირატესად
გოჭების გამრავლებისა და დაცვის მიზნით ხდებოდა. რაჭაში
თუ „ბოსლობა“ დღეს გოჭი არ დაიკვლებოდა, მაშინ საქონლის
ღვთაებას ლორის შაშხი, ანუ „ლორი“¹ მიეძღვნებოდა. ეს ფაქტი
რიგ სხვა ფაქტებთან ერთად მოწმობს, რომ ლორის საკულტო
მნიშვნელობა რაჭაში ძალზე დიდი იყო. ამ ვითარებაზე განსა-
კუთრებით ის საგულისხმო გარემოება მიგვითითებს, რომ ლო-
რების გამრავლება-განაყოფიერებისა და დაცვის მიზნით რა-
ჭაში ორი დიდმნიშვნელოვანი დღეობა არსებობდა: გოჭის
ხუთშაბათი და ღორჩების მილოცვის დღე, რომელიც აგრეთვე ბოსლობის კვირაში ეწყობოდა.
ცნობილია ისიც, რომ რაჭაში და საქართველოს რიგ სხვა
კუთხეებში საახალწლოდ ლორი ან გოჭი აუცილებლად უნდა
დაკლულიყო. ლორის თავი ჩიჩილაკთან, ყველიან განატეხთან
და ლვინოსთან ერთად უმნიშვნელოვანები შესაწირავი იყო,
რომელიც რაჭაში ყოველ ოჯახს უნდა ჰქონოდა ახალწელი-
წადს. ლობგანიძე წერს: კალანდა დღეს „შეშას მოიტანს
თუ არა გლეხი, მაშინვე დაჰკლავს და გაასუფთავებს ლორს,
რომელიც მთელი ერთი წელიწადი დამწყვდეული ჰყვანდა და
აქმევდა სიმინდს. თუ ღარიბია გლეხი და არ შეუძლიან მთე-
ლი წელიწადი ლორის სუქება, იმან ლორის თავი მაინც უნდა
იყიდოს ან იშოვნოს სადმეო“².

1 ა. სოხაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 27, 30, 261.

2 ო. ლობგანიძე. სოფ. ლები, „ივერია“, 1901, № 65.

რაჭაში „საბოსლობო“ შესაწირავებიდან ერთ-ერთ უმნიშვ
შვენელოვანეს შესაწირავს ღვინო წარმოადგენდა¹. შესაწირავი
ღვინოს „ზედაშე“², ანუ „საზედაშე ღვინო“ ეწოდებოდა.

ღვინო „ბოსლობა“ დღეს საქონლისა და დედამიწის ღვთა-
ებებს მიეძღვნებოდა. ამ ჩვეულებას ასრულებდნენ როგორც
ვენახიან, ისე უვენახო სოფლებში. საზედაშე ღვინო შეიძლება
ყოფილიყო წითელიც და ოეთრიც³. 6. თოფურია წერს:
„ქართველი გლეხი უურძნის ახალი საუკეთესო მოსავლიდან
პირველ ნაწურ ღვინოს, ქართლში და კახეთში ზედაშის სა-
ხელწოდებით ცნობილს, იმერეთში და რაჭაში სალოცვილოდ

1 ა. სოხაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 27—69, 262.

2 საბა ორბელიანის განმარტებითაც „ზედაშე შესაწირავი
ღვინოა“ (იხ. „სიტუვის კონა“, 1948, გვ. 126).

3 ეთნოგრაფი 6. თოფურია თავის მრავალმხრივ საყურადღებო
ნაშრომში „ღვინის ზედაშეები“ (იხ. მასალები საქართველოს ეთნოგრა-
ფიისათვის, XII—XIII, თბილისი, გვ. 158) აღნიშნავს: „წინათ ზედაშედ
უფრო თეთრ ღვინოს ირჩევდნენ“, რაც საკურავა. მორჩმუნეს, თუ იგი
საზედაში ღვინის შერჩევისას იხელმძღვანელებდა ქრისტიანული დოგ-
მით, რომლის თანახმად ზიარების საიდუმლოებაში პური და ღვინო
გარდაქმნება ნამდვილ ღვთაებრივ სუბსტანციად — ქრისტეს კეშმარიტ
სხეულად და სისხლად, მას უპირატესობა წითელი ღვინისათვის უნდა
მიენიჭებია, რადგან იგი უფრო ემსგავსება სისხლს, ვიდრე თეთრი ღვი-
ნო. ამ თავისებურებების გამო, კეშმარიტი ქრისტიანის აზრით, საერ-
თოდ ღვინოსთან დაკავშირებული საკულტო წესრეზულებების (ზიარება,
ღვინის შეწირვა და სხვ.) შესრულებისას უმჯობესია და ზოგჯერ აუცი-
ლებელი წითელი ღვინის ხმარება: „თეთრ ღვინოს მისი ნახევარი ფასიკ
არ გაჩნია“ ქრისტიანულ კულტმასტურებაში. საკულესით დოგმითან გა-
მომდინარე ამ შეხედულების გამო, ქრისტიანობის ბატონობის უამს სა-
ქართველოს ბარში, საღაც ეს სარწმუნოება მძლავრად იყო ფეხმოკიდე-
ბული, შეუძლებელია მოსახლეობას ქრისტიანულისაგან განსხვავებული
თვალსაზრისი შეემუშავებინა თეთრი ღვინის საკულტო მნიშვნელობის
შესახებ და „უფრო“ იგი შეერჩით საზედაშედ. თუ ასე ხდებოდა და
ახლა არ ხდება, ავტორს ამის ახსნაც უნდა მოეცა.

გმორიცხული არ არის, რომ ვინმეს ქრისტიანობის უამს, თუ ქრის-
ტიანობამდე, შესაწირავიდ, ანუ საზედაშედ წითელს თეთრი ღვინო ემჯო-
ბინებია, მაგრამ მას არ უნდა ჰქონდა რწმენა, რომ შეწირული, ანუ
„ნაკურთხი“ ღვინო იგივეა, რაც იმ ღვთაების სისხლი, რომელსაც იგი
ეწიარება. ჩვეულებრივ ქართველი ქრისტიანი საზედაშედ იყენებდა
თეთრ ღვინოს მაშინ, როცა წითელი ღვინო არ ჰქონდა.

თუ არ ვცდები, გაუგებრობას იწვევს წინადადება „ყურძნის ახალი მოსავლიდან ნაწური ღვინო“. ყველა ღვინო ხომ ყურძნის ახალი მოსავლიდანაა ნაწური? არა მგონია, ძველა (წრეა წლის) ყურძნიდან ღვინის მიღება ვინმეს განეზრახოს. ისიც ცნობილია, რომ ზაფხულში და ზამთარში ღვინოს არ აყენებენ. ამის მიუხედავად ავტორი აცხადებს: „საზედაშე ღვინოს შემოდგომით აყენებენ“².

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რაჭაში და იმერეთში „სალო-ცვილოდ“ წოდებულ ღვინოს „ზედაშეც“ („საზედაშე“) ეწოდებოდა. ასე რომ, ეს ტერმინი შესაწირავი ღვინის აღსანიშნავად მარტო ქართლსა და კახეთში როდი უხმარიათ.

ზედაშედ წოდებული ღვინო შემოდგომითვე გადაენახათ და დანიშნულ დღეს ეხმარიათ. მაგრამ ყოველდღიურად სახარჯო ღვინოს ზედაშედ გამოყენებაც იშვიათი არ იყო საქართველოში. საუკეთესო ზედაშე შესაწირავი თავი ღვინო იყო საგანგებოდ გადანახული, მაგრამ თუ გლეხს იგი არ ჰქონდა, „ჩვეულებრივ“ (დღენიადაგ სახარჯო), თუმცა უზადო, ღვინოსაც ზედაშედ აქცევდა, შესაწირავად მიპქონდა.

6. თოფურია საგსებით მართებულად შენიშნავს, რომ „შესაწირავი ღვინის ხარისხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ხალხის რწმენით, ცუდი ხარისხის ღვინის შეწირვა ღვთაების უკმაყოფილებას იწვევს“³. ავტორის დაკვირვებით, „ქართველი გლეხი ყურძნის მოსავლის საუკეთესო ნაწილიდან პირველ ნაწურ ღვინოს ხატს სწირავდა ბარაქისათვის, დოკლათისათვის, რომ ღმერთი მისი „მფარველი“ ყოფილიყო, მისთვის კარგი „თვალი დაეჭირა“, „ქარგი ზედამხედველობა“ გაეწია. ამა თუ იმ ავადმყოფობას ხატის დამიზეზებით ხსნიდა და ამიტომ განკურნების მიზნით ხატს შეუთქვამდა“. ამ რწმენის წინამძღვარად მკვლევარს შემდეგი გარემოება მიაჩნია:

¹ 6. თოფურია. დასახ. ნაშრ., მას. საქ. ეთნოგრ., XII—XIII, თბ., გვ. 158.

² აქვე, გვ. 158.

³ აქვე.

„შველად ქართველს ღრმად სწამდა, რომ რიტუალურ საგნებს/ შესაწირავს ღვთაებებზე ზემოქმედების შედეგად შეუძლია გამოიწვიონ მისი სასარგებლო მოვლენები: ბარაქიანობა, დოვლათიანობა, ჭირნახულის უხვი მოსავალი“¹. სამწუხაროა, რომ ნაშრომში არ არის მითითებული წყარო, საიდანაც ეს დებულება იქნა ამოღებული².

„ბოსლობა“ დღეს „ღრუბელთა ბატონისა“ და „მიწათა ანგელოზისათვის“ შესაწირავი საზედაშე ღვინო ვენახში ხელადით მიპქონდათ. მისი შეწირვა ოჯახის უფროსი კაცის მეშვეობით ხდებოდა. როგორც ამ ცერემონიის, ისე შთლიანად ბოსლობის რიტუალის მთავარი ხელმძღვანელი და მთავარი მონაწილე ოჯახის უფროსი კაცი იყო³.

ამ მოვლენის შესახებ ათიოდე წლის წინათ ვწერდით:

1 ნ. თოფურია. დასახ. ნაშრ., მასალ. საქ. ეთნოგრ., XII—XIII, თბ., გვ. 158.

2 წყაროში ნათქვამია: „რაჭველს ღრმად სწამდა, რომ რიტუალურ საგნებს უშუალოდ ან სათანადო ღვთაებებზე ზემოქმედების შედეგად შეუძლიათ გამოიწვიონ მისოვის სასარგებლო მოვლენები: საქონლისა და შინაური ურინველების გამრავლება, ღვინისა და ჭირნახულის უხვი მთავალი, წველადობის ზრდა და ა. შ.“ (ა. სოხა გართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან (რაჭული ბოსლობა), ხელნაწ., 1955, გვ. 233).

როგორც ვხედავთ, ეს დებულება ავტორს შეკვეცილი საბით გამოკიცენებია, რაც გამოითქმულ აზრს ნაწილობრივ ამახინჯებს: „რიტუალური საგნები“ უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე „შესაწირავები“. ამას გარდა ყველა რიტუალური საგანი არ იყო ღვთაებებზე ზემოქმედებისათვის განკუთნილი, ვინაიდან ამ საგანთავან ზოგიერთი (მაგალითად, „საბოსლობო“ რიტუალში გამოყენებული ქათმის კეერცხი ან სალესი ქვა, რომელსაც პირუტყვს ტანზე გადაუსვამდნენ მისი გასუქების მიზნით) სასარგებლო მოვლენის გამომწვევ უშუალო მიზეზად ითვლებოდა და მათ მეტილად მხოლოდ ჯადოქრულ რიტუალებში იყენებდნენ; ამიტომ იყო ნათქვამი, რომ „რიტუალურ საგნებს უშუალოდ ან... ღვთაებებზე ზემოქმედების შედეგად შეუძლიათ გამოიწვიონ... სასარგებლო მოვლენები“.

3 ზოგიერთი ისეთი ცნობაც მოგვეპოვება, რომელიც ამის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს, მაგრამ ეს ცნობები ბოსლობის ისეთ ვარიანტებში დავამოწმეთ, რომელთა მიზედვით დღეობა საქმაოდ შეჩყვნილი სანით გამოიყურება.

„განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს ის
 დიდი როლი და მნიშვნელობა, რომ ეს მნიშვნელობა
 „საბოსლობო“ ცერემონიალში ოჯახის უფ-
 როს კაცს, ანუ მამასახლისს მიეწერებოდა. ის, როგორც ვი-
 ცით, იყო ამ ცერემონიალის მთავარი ხელმძღვანელი და მთავარი ხელმძღვანელი და მთავარი შემსრულებელი. ეს ჩვე-
 ულება მკაფიოოდ ავლენდა პატრიარქალური
 წყობრლების პრინციპსა და ტრადიციებს,
 რომელიც პატრიარქს, ანუ ოჯახის მამას
 პრიორიტეტს ანიჭებდა, როგორც ოჯახის
 სამეურნეო საქმიანობასა და საზოგადო-
 ებრივ საქმიანობაში, ისე კულტის სფერო-
 ში. პატრიარქალური ოჯახის სტრუქტურის თავისებურებით
 უნდა აიხსნას ის ფაქტიც, რომ მამასახლისის შემდეგ „ბოსლო-
 ბის“ ცერემონიის მთავარ ხელმძღვანელად და მონაწილედ
 დიასახლისი გამოდიოდა, რომელიც ოჯახის ფარგლებში შემა-
 ვალ ქალთა კოლექტივის ხელმძღვანელად, წარმმართველ ძა-
 ლად ითვლებოდა”¹.

ამ შეხედულების, რომელიც ხახს უსვამს მამაკაცის პრიო-
 რიტეტეს ზოგიერთი რიტუალის შესრულებაში, გამამართლებე-
 ლი ფაქტები ნ. თოფურიასაც აქვს დამოწმებული სა-
 ზედაშე ქვევრთან მოწყობილ ლოცვა-რიტუალებში. იგი წერს:
 „განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის,
 რომ ქართველი ხალხის ყოფაში ზედაშების მოვლა-პატ-
 რონობა უფროს კაცს ევალებოდა. საზედაშე ქვევრ-
 თან მოწყობილ ლოცვა-რიტუალებში ქალი მონაწილეობას
 ვერ მიიღებდა. წინააღმდეგ შემოხვევაში, ხალხის რწმენით,
 ავად გახდებოდა. საზედაშე ქვევრის მოვლა-პატ-
 რონობაში და მის ლოცვა-რიტუალებში
 მთავარ ხელმძღვანელად და მონაწილედ
 მამაკაცი გამოდიოდა. ქალის მონაწილეობა აღკვე-

1 ა. სოხაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 437. ეს შეხედულება დაზუსტებას
 მოითხოვს, ურომმლისოდაც იგი შეიძლება ღრმა შეცდომების წყარო
 გახდეს.

თილი იყო. ეს წესჩვეულება ყველა ქართველ ტომის ძველ ყოფილ განკუთხებაში მოწმდება. ვენახისადმი შეწირულ კვერს ქალიგენიანი ჟამდაო”¹.

ავტორის აზრით „ამ ჩვეულების გავრცელების ფართო არეალი იმის მაჩვენებელია, რომ ეს წესჩვეულება ყველა ქართველი ტომისათვის საერთო უნდა ყოფილიყო.

ქალის ასეთი უუფლებობა ღვინოსთან დაკავშირებულ რელიგიურ წეს-ჩვეულებებში ერთი შეხედვით შესაძლებელია იმით ყოფილიყო გამოწვეული, რომ ქართველი ხალხის საერთო შეხედულებით ქალი უწმინდურ არსებად ითვლებოდა. ამდენად ღვინის ზედაშესთან, როგორც წმინდა შესაწირავს საგანთან, მოწყობილ ლოცვა-რიტუალის მონაწილედ შეიძლება ქალი არ გამხდარიყო. მაგრამ ქართველთა ყოფაში ქალი მონაწილეობას იღებდა სხვა წმინდა საქმეებში, წმინდა შესაწირავი საგნების დამამზადებლად და შემწირვლებად ქალები ითვლებოდნენ.

მევენახეობა-მეღვინეობის საქმიანობაში მკაფიოდ ვლინდება მამაკაცის პრიორიტეტი. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ ვაზისადმი შეწირული კვერების შეჭმა მხოლოდ მამაკაცებს შეეძლოთ.

ეს ფაქტი შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ პრაქტიკული ცხოვრებით მევენახეობა-მეღვინეობის საქმიანობასთან მამაკაცი იყო დაკავშირებული. მამაკაცია გამძლოლი ამ მეურნეობისა, რომ მამაკაცი სათავეში უდგას მევენახეობის კულტურას”².

ეს ვარაუდი მართებულად გამოიყურება, მაგრამ საცხებით

1 ნ. თოფურია. დასახ. ნაშრ., მას. საქ. ეთნოგრ., XII—XIII, თბ., გვ. 167—168. ფ. გარდაფხაძის მიერ ჩაწერილი ცნობით, რაჭაშა თედორება დღეს შენაწირი ღვინის მონარჩენს, რომელსაც სამ განატეხთან ერთად ბეღელში ინახავდნენ, მეორე დღეს მამაკაცები შეექცეოდნენ. ქალებს ეკრძალებოდათ მამულისა და კალო-კვერის განატეხების შეჭმაც (ფ. გარდაფხაძე, რაჭულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, ხელნაწ.).

2 იქვე, გვ. 168.



ყალბი და ეროვნული სიმაყის შემბლალველია დებულებითი კალი უწმინდურ „ქართველი ხალხის საერთო შეხედულებით ქალი უწმინდურ არსებად ითვლებოდა“. რელიგიას რომ თავი დავანებოთ და ამ დებულებას მხოლოდ ეთიქური საზომით მივუდგეთ, მაშინაც კი მისი უსაფუძვლობა აშკარა გახდება. მარტო ის გარემოება, რომ არც ერთი ჰკუათმყოფელი ქალი, მისი აღამიანური ღირსების მიუხედავად, არ ისურვებდა ეწოდებინათ მისთვის „უწმინდური“, შეუძლებელს ხდიდა ქალის „უწმინდურობის“ კონცეპცია რომელიმე, თუნდაც უკიდურესად ბნელი მსოფლმხედველობის მატარებელ ხალხში საერთო შეხედულებად ქცეულიყო. საერთო შეხედულება ხომ იმას ნიშნავს, რომ მას ყველა იზიარებს: ქალიც და კაციც, ბრძენიც და რევენიც, განათლებულიც და გაუნათლებელიც, ურწმუნოც და მორწმუნეც. თუ ასეთი ნიშნის მატარებელი იყო ქართველ ხალხში შეხედულება, რომ „ქალი უწმინდურია“, მაშინ არც ერთი ქართველი, მით უფრო მორწმუნე, ქალს „წმინდას“ არ შეარქმევდა და და გაუგებარი იქნებოდა, მაგალითად, იაკობ ხუცესმა რატომ უწოდა თავის მოთხრობის გმირ-ქალს — შუშანიკს „წმინდა“ ან რუსთაველმა რად შეასხა ქებათა ქება თინათინს და ნესტანს, როგორ შეეძლო ქართველ მამაკაცს უდიდესი მოკრძალება, რომელსაც იგი ქალის მიმართ იჩენდა, შეეთავსებინა ამ არსების უწმინდურობის მცნებასთან.

შეუძლებელია რელიგიურ სამოსელში გახვეულ ამ ბიწიერ მცნებას, რომელიც უპირატესად სოციალურმა უკუღმართობამ, მამაკაცის მიერ ქალის უფლებათა შეზღუდვამ წარმოშვა, მტკიცე დასაყრდენი და საყოველთაო აღიარება მოეპოვებია ქართველ მოსახლეობაში, რომელიც მუდამ განალიდებდა ქალის მნიშვნელობას, მის როლს საოჯახო ყოფაში, შრომისა და ბრძოლის ასპარეზზე. აი რას წერდა ამის თაობაზე ჩვენი დიდუბული მგოსანი, ბრძენი ი. ჭავჭავაძე:

„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადიაო, უთქვამს რუსთაველს. ლომი, ლომია, ერთია, — ძუ იყოს, თუნდაც ხვადიო, ამბობს დღესაც გლეხეაცი. მართალია, სწორია, ერთია, ამასა ჰმოწმობს ჩვენი ქართული ენაც და ენა ხომ ერთობ იმისთანა რამ არის, რომ მარტო იმას ამოიძახებს

ხოლმე, რასაც კაცი ჩასძახებს. ქართველი დედასაც კაცად პედის და ამიტომ „დედა-კაცს“ ეძახის, როგორც მამას — „მამა-კაცს“. განსხვავება მარტო იმაშია, რომ ოქვენ ერთის სქესისანი ხართ და ჩვენ მეორისანი, ოქვენ დედობით ხართ კაცნი და ჩვენ მამობით. არსება კი ერთია, ორნივ კაცნი ვართ, ორნივ ღვთის სახისა და მსგავსებისანი. ასე შეუნახავს დიდი ღირსება დედისა ჩვენს ენას. არა გვვონია, რომელსამე სხვა ენაში დედაცა და მამაც ერთნაირად კაცად წოდებული იყოს.

აშკარაა, კაცობა დედათა ისეთივე საპატიო და დიდი სახელია ქართველის აზრით, როგორც კაცობა ერთობ აღამიანისა. დედაც კაციაო, გვეუბნება ჩვენი ენა, და მამაცაო....

ქართველებისათვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლ ენასაც „დედა-ენას“ ეძახის, უფროსს ქალაქს — „დედა-ქალაქს“, მკვიდრს და დიდ ბოძს სახლისას — „დედა-ბოძს“, უდიდესსა და უმაგრესს ბურჯს — „დედა-ბურჯს“, სამთავრო აზრს — „დედა-აზრს“. გუთნის გამგებელ მამაკაცსაც კი — „გუთნისდედას“. რამოდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამოდენად გამრავალვარებული, გაპატიოსნებული, გაძლიერებული, გაღონიერებული და თავმოსაწონებელი!... სიდიდე, სიმაგრე და სიმკვიდრეც-კი აღნიშნულია დედობით!“¹

ცხადია, ასეთი შეხედულების გვერდით აზრი, რომ დედათა სქესი ქართველებს უწმინდურ არსებად მიაჩნდათ, ვირიცოცხლებს.

ამ აზრის სრულ სიყალბეს ავლენს ის შეუსაბამობაც, რომელსაც ადგილი აქვს ნ. თოფური იას ზემოთ მოტანილ მსჯელობაში. ამ მსჯელობის მიხედვით ქალი საზედაშე ქვევრის მოვლა-პატრონობაში და მის ლოცვა-რიტუალებში მონაწილეობას ვერ მიიღებდა, „რაც ერთი შეხედვით შესაძლებელია იმით ყოფილიყო გამოწვეული“, რომ ქართველების რწმენით ქალი უწმინდურ არსებად ითვლებოდა, მაგრამ სხვა წმინდა საქმეებში ქალი მონაწილეობას იღებდა. მაშასადამე,

¹ ი. ჭავჭავაძე გ. პატარა საუბარი, ფელეტონები — ილია, აკაკი, ვაჟა, თბილისი, 1960, გვ. 5—7.

ავტორის აზრით, უწმინდურ არსებას წმინდა საქმეებში მოჰყოფა წილეობა ყოველთვის არ ეკრძალება. მაგრამ ეს აბსურდია. არსად, არასოდეს ასეთი რამ არ მომხდარა და არც შეიძლება მომხდარიყო, იმის გამო, რომ მორწმუნეთა აზრით უწმინდური ყოველივე წმინდას აუწმინდურებდა, ბილწავდა შეხებით, სუნთქვით, მეტყველებით, წმინდა ობიექტებთან სიახლოვით. ამიტომ მას არ ჰქონდა უფლება დაემზადებინა წმინდა საგნები (გამოეცხო შესაწირავი პურები, ამოელო ან შეეწირა სახედაშე ღვინო ან სხვა შესაწირავი და სხვ.), მონაწილეობა მიეღო რიტუალებში, უფრო მეტიც: ფეხს ვერ დაადგამდა „ხატის“ ტერიტორიაზე სანამ არ განიწმინდებოდა.

როგორც ქართველთა, ისე სხვა ხალხთა ყოფაში დამოწმებული უამრავი ფაქტი გვარწმუნებს, რომ წარმოდგენა ქალის თუ კაცის უწმინდურობაზე შეზღუდული იყო და შედარებით ხსიათს ატარებდა.

ხალხის რწმენით, ადამიანის სხეულისა და გარემოს გაუწმინდურებას, მოწამელას იწვევდა ავი ძალები და მავნე ნივთიერებანი, რომელთა ზეგავლენისაგან სავსებით არავინ იყო თავისუფალი. ამიტომ ხანგამოშვებით, განსაკუთრებით სადღეობო რიტუალების შესრულების წინ, საჭირო იყო სხეულის განწმენდა ცეცხლის, წყლის, სასაქმებელთა მიღების, მარხულობის და სხვ. საშუალებით. ქალს ეს პროცედურა განსაზღვრულ ასაკამდე უფრო ხშირად უნდა ჩაეტარებია, ვინაიდან გარაუდობდნენ, რომ მენსტრუაციისა და მშობიარობის გამო მისი სხეული უფრო ხშირად უწმინდურდებოდა, ვიდრე მამაკაცისა. ამის მიზეზად ხალხი ზოგიერთ სხვა მოვლენასაც მიიჩნევდა. ამ მიზეზების გათვალისწინებას იმ უდაო დასკვნამდე მიყვავართ, რომ რელიგიურად გაგებული უწმინდურება არ ითვლებოდა ქალის მუდმივ, განუშორებელ ნიშნად. წინა-აღმდეგ შემთხვევაში განწმენდის წესების შესრულებას ქალთა წრეში აზრი არ ექნებოდა.

ქალი რომ ქართველი ხალხის მიერ უწმინდურ არსებად არ იყო მიჩნეული, იმის ყველაზე ცხადი საბუთი ისაა, რომ ქურუმთა მოვალეობას ქალებიც ასრულებდნენ საქართველოში. მაგალითად, ფშაველებსა და მთიულებს „ფურების ხატში“ ხე-

ვისბერებად, რომლებიც უწმინდეს ადამიანებად ითვლებოდნენ, ხანდაზმული ქალები ეყენათ და მათ ქადაგის მითითებით ირჩევდნენ¹. მსგავსი შემთხვევები დამოწმებულია მრავალ სხვა ხალხთა ყოფაშიც. მაგალითად, რომში ვესტას ტაძარს ემსახურებოდნენ ქურუმი ქალები (virginis vestales), რომლებიც უდიდესი ივტორიტეტით სარგებლობდნენ.

არათუ წარმართულ, არამედ არც ერთ მონეთეისტურ რელიგიაში ქალი უწმინდურად გამოცხადებული არაა, თუმცა აღიარებულია, რომ იგი ღირსებით მამაკაცზე დაბლა დგას (ყურანი, 2, 238). ქმრები მაღლა დგანან ცოლებზე, ვინაიდან ღმერთმა მიანიჭა პირველთ უპირატესობა მეორეთა მიმართო — ნათქვამია ყურანში (4, 38). მუჭამედის განსაზღვრით, დედაკაცი ნახევარი მამაკაცის ტოლფასია, არც მეტი და არც ნაკლები. ამის კვალობაზე მემკვიდრეობის გაყოფისას „მამაკაცის წილი უდრის ორი ქალის წილს“ (4, 175), „ვაჟის წილი უდრის ორი ქალიშვილის წილს“ (4, 12 და შემ.).; სასამართლოში ორი მოწმე დედაკაცი ერთი მოწმე მამაკაცის ბადალია (2, 282) და ა. შ.

ეს მოჩვენებითი განსხვავება ადამიანურ ღირსებაში, რომელსაც მუსულმანთა რჩული კანონის ძალას ანიჭებს, ქალ ავალდებულებს განსაზღვრული ასაკიდან სიკვდილამდე ჩადრი ატაროს და იყოს მონა-მორჩილი ქმრისა, რომელსაც, ყურანისა და შარიათის კანონების თანხმობით, შეუძლია ჯიუტი ცოლი კარგად მიბეგვოს და სულიც ამოხადოს, თუ იგი ამას საჭიროდ ცნობს. შარიათი ქმარს უფლებას აძლევს გაეყაროს ცოლს როცა სურს, მაგრამ ცოლი ქმარს ამ უკანასა ხმობის გარეშე ვერ გაეყრება.

ასეთი ვითარების მიუხედავად მუსულმანთა სამყაროში ქალები უწმინდურად არასოდეს ჩაუთვლიათ. ასევე ითქმის სხვა რჩულის ამღიარებელთა მიმართაც. მაგალითად, ქრისტიანთა შორის რომ ქალი უწმინდურ არსებად ყოფილიყო მიჩნეული, მათგან არავინ ირწმუნებდა მარიამისაგან უწმინ-

¹ ვ. ბარდაველიძე. ივრის ფშაველებში (დლიური), ენიმეის მოამბე, ტ. XI, გვ. 71—73.

დესი არსების — ლვოის ძის შობის სასწაულს, წმინდან ქალი
თა სახსენებელიც გაწყდებოდა მთელ საქრისტიანოში.



ფორმულა „ქალი უწმინდურია“ უკიდურესი გამოხატულებაა ამ არსებაზე ათვალწუნებულ შეხედულებისა, რომელიც არსებობდა და განაგრძობს არსებობას კლასობრივ საზოგადოებაში მისი უვარვისი ბუნებიდან გამომდინარე აუცილებელი სამარცხვინო შედეგის სახით. როგორც ცნობილია, ამ შეხედულების დანერგვასა და გავრცელებას ხელს უწყობდა რელიგია მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, რის დამამტკიცებელ საბუთებს უხვად შეიცავს მისი ისტორია. ამ საქმიანობაში განსაკუთრებით თავი ისახელა კათოლიკიზმმა, რომელიც სისტემატურად ნერგავდა ეშმაკებისა და კუდიანების არსებობის ჩრდილოსა და ამ არსებათა კერძად უპირატესად ქალებს თვლიდა. 1487 წ. გერმანიაში გამოიცა ორი ინკვიზიტორის — ისტიტორისისა და შპრენგერის ტრაქტატი „კუდიანების ურო“. ეს სამარცხვინო ნაწარმოები დაწვრილებით მოვაითხობს ეშმაკთა მაცდურებაზე, მათთან ქალების თანაცხოვრებაზე, კუდიანებზე და მათი გამოცნობის ხერხებზე. ამ „გამოცნობის“ შედეგს ყოველთვის კუდიანებაში იჭვმიტანილთა კოცონზე დაწვა წარმოადგენდა, რომელიც შემაძრწუნებელი „ზარ-ზეი მით“ ტარდებოდა. ინკვიზიტორების დასახელებული წიგნი, რომელიც ფრიად მოიწონა რომის პაპმა ინოკენტ VIII, დიდხანს იხმარებოდა დასავლეთ ევროპის მრავალ ქვეყანაში ფანატიკოსების სახელმძღვანელოდ, რომლებმაც მრავალი ათეული ქალი „ეშმაკებთან კავშირის“ ბრალდების გამო, კოცონის მსხვერპლი გახადეს.

აზრი ქალთა უწმინდურების შესახებ არა მარტო ფანატიკოსთა უწმინდურ ტვინში იბადებოდა და ვითარდებოდა, არა-მედ ზოგიერთ ფილოსოფოსთა ნააზრევშიც ნახულობდა თავ-შესაფარს. ამის ერთ-ერთ მკაფიო საბუთს იძლევა პითაგორელთა ათი წინააღმდეგობის ცხრილი, რომელიც წარმოდგენილია შემდეგი თანამიმდევრობით: საზღვარი და უსაზღვრო, კენტი და ლუწი, ერთი და მრავალი, მარჯვენა და მარცხენა, მამრობითი და მდედრობითი, უძრავი და მოძრავი, სწორი და მრუ-

დე, სინათლე და სიბნელე, კარგი და ავი, კვადრატი და მოგრძო სამკუთხედი!

როგორც ვხედავთ, ამ ცხრილში, რომელიც დაფუძნებულია ფილოსოფიურ პრინციპთან (ბუნება წინააღმდეგობაზეა აგებული) შეგუებულ არქაულ თვალსაზრისზე (რომ მარცხნაცუდია, მარცხიან საქმესთანაა დაკავშირებული, ავის მომარწვებელია²; რომ ცუდია ბნელიც, რომ იგი ბოროტების წყაროა, სინათლეს და სიკეთეს (ნათელ საქმეს) უპირისპირდება და ა. შ. ამიტომ ამგვარ მოსაზრებათა გამო მარცხნა, ბნელი, მდედრობითი და სხვ. ერთ კატეგორიაში ერთიანდებოდა), მამრობითი სქესი კი შესატყვისება ვარგს, მდედრობითი კი ცუდს³. ამ შესატყვისობიდან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ ქალი, როგორც დედრობითი არსება, ცუდია ამ ფორმულაში, რა თქმა უნდა; თავსდება ყოველგვარი მავნე აზრი, რაც ოდესმე გამოთქმულა ქალის მიმართ: ჭკუათხელი, ყბედი, ჭორიკანა, ჭიუტი, კაბასი, მაცფური, ქმრის მოღალატე, გარყვნილი, კუდიანი, ეშმაკის თანამზრახველი, ერთი სიტყვით, უწმინდური სულითაც და ხორცითაც. მაგრამ აზრს დედაქაცის სიცუდის შესახებ არცერთ ხალხში, არცერთ ფილოსოფიურ სისტემასა და რელიგიაში არ მიუღია და არც შეეძლო მიეღო აბსოლუტური მნიშვნელობა იმ აუცილებელი მკვიდრი ურთიერთობის გამო, რომელსაც ადგილი აქვს ქალსა და კაცს შორის. ადამიანთა კოლექ-

1 ს. დანელია. ანტიური ფილოსოფია სოკრატის წინ, ტფილის, 1926, გვ. 226—227.

2 მარცხნას ამგვარი გაგებით უნდა აიხსნას ჩეენს მიერ 15 წლის წინათ რაქაში დამოწმებული შემდეგი ჩეეულება: თუ დედალი დაიყივლებდა, რაც იშვიათად ხდება და ამიტომ ავს მოასწავებდა, ცრუმორწმუნებდა დისახლისი მას დაიკერდა, ფეხზე თოქს შეაბამდა და თავდალმა დაჰკიდებდა. თუ ქათამი მარჯვნივ შემოტრიალდებოდა, გაუშვებდა, ხოლო თუ მარცხნივ — აუცილებლად დაჰკლავდა, რაც მორწმუნეს მოსალონელი უცედურების თავიდან აშორების უტყუარ საშუალებად მიაწნდა. შესაძლებელია საქართველოში ამ ჩეეულებას ალაგ-ალაგ დღესაც ასრულებენ.

3 პროფ. ს. დანელიას სამართლიანი შენიშვნით, ეს „შეხედულება ადვილად ასახსნელია პატრიარქალური თვალსაზრისით“ (იხ. ს. დანელიას. ნაშრ., გვ. 227).

ტივში მუდმივ მოქმედი ისეთი ფაქტორები, როგორიცაა უღლეობის პრინციპი, რომანტიული, დედაშვილური, ან და მეგობრული სიყვარული, ქალთა და კაცთა თანამშრომელობა ოჯახში და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე. დოვლათის წარმოებასა და შემოქმედების სფეროში, ლტოლება საერთო მიზნისაკენ და სხვ. მძლავრად ზღუდავდა, თუმცა ვერ აღმოფხვრიდა სავსებით, ქალისადმი უარყოფითი დამოკიდებულების ტენდენციას კლასობრივ საზოგადოებაში.

მართალია, საზედაშე ქვევრთან მოწყობილ ლოცვა-რიტუალებში ქალი მონაწილეობას არ იღებდა, მაგრამ ზოგიერთი საკულტო წესის შესრულებისას ღვინის შემწირველი ქალი იყო. მაგალითად, მიცვალებულისათვის სასაფლაოზე ღვინო და სხვა საკურთხი ქალს მიჰქონდა, ის იყო მისი შემწირველი. ს. ზემო ბარეულში „დედალვთისად“ წოდებულ სალოცავში ღვინოს და სხვა შესაწირავებს („საანგელოზო მამალი“, ვერძი და სხვ.) მეტწილად ქალები სწირავდნენ. ეს ჩვეულება ბოლოდრომდე შემორჩა. ამ სამიოდე წლის წინათ „დედალვთისას“ ს. ქვედაშავრიდან მოხუცი მანდილოსანი ეწვია თავის რძლით (ეროვნებით რუსი), რომელმაც საკლავიც (ცხვარი) მოიყვანა და ბარეულში ნაყიდი ღვინოც შესწირა და სუფრაზე რამდენიმე ქალი დაიწვია.

საზედაშე ღვინო გაკუთვნილი იყო როგორც სახატო, ისე საოჯახო დღეობებისათვის. ამ საკითხთან დაკავშირებით ნ. თ ო ფ უ რ ი ა წერს: „ქართლში და რაჭაში... ღვინის ზედა-შეები მხოლოდ სახატო დღეობებს ეწირებოდა და საოჯახო დღეობებში კი ნაკლებად იყო წარმოდგენილი“¹. დაუჯერებელია. თუ ქართლში და რაჭაში „ღვინის ზედაშეები მ ხ ო ლ ო დ ს ა ხ ა ტ ო დ ო ე ო ბ ე ბ ს ე წ ი რ ე ბ თ დ ა“, როგორდა იყო საოჯახო დღეობებში წარმოდგენილი. გაუგებარია რატომ ვერ შეამჩნია ავტორმა ეს აშკარა წინააღმდეგობა.

იყო თუ არა რაჭულ საოჯახო დღეობებში საზედაშე ღვინო ნაკლებად წარმოდგენილი? თუ მივიღებთ მხედველობაში,

¹ ნ. თ ო ფ უ რ ი ა. დასახ. ნაშრ., მასალ. საქ. ეთნოგრ., XVII—XVIII, თბ., გვ. 171.

რომ საზედაშე ღვინო შესაწირავი იყო და ამ დანიშნულებული
იგი გამოყენებული იყო რაჭაში ბოსლობას, თელის მომარტინი
ბარბალობას, ახალწელიწადს და სხვ.¹ საოჯახო დღეობებისა-
თვის, მაშინ ცხადი გახდება, რომ ღვინის ზედაშეები რაჭაში
მარტო სახატო დღეობებს არ ეწირებოდა და იგი საოჯახო
დღეობებში იშვიათად არ იყო წარმოდგენილი.

დასახელებულ ავტორს ზედაშის მოხმარებისა და საოჯა-
ხო დღეობების ხასიათის შესახებ გამოთქმული აქვს შემდეგი
მოსაზრება: „საეკლესიო და სამონასტრო ზედაშის მოხმარება
თავის კარჩაკეტილობით მკაფიოდ განსხვავდება ხალხური საგვარეულო და სასოფ-
ლო ზედაშისაგან. პირველი მეტად ვიწრო, ინდივიდუალურ ინტერესებს ემსახურება,
მეორე კი ფართო კოლექტივის — გვარის, სოფლის წევრების ინტერესებსაც.²

„სამეგრელოში და იმერეთში ზოგიერთი საოჯახო დღეობა,
რომელსაც ღვინის ზედაშეები ეწირებოდა, საგვარო, სატომო
ხასიათისა იყო, რომლის დღესასწაულებში აღრე გვარი, ტომი
ღებულობდა მონაწილეობას, შემდეგში იგი ოჯახში სრულდე-
ბოდა ვიწროდ, ფარულად... ეს საოჯახო დღეო-
ბები, რომლებიც ოდესლაც ფართო კოლექ-
ტივის — გვარის, სოფლის, ტომის ინტერე-
სობის წევრების ინტერესებსაც —

1 თელორობა დღეს ს. ნამანევში ღვინოში ჩაფშვნილი პური ჯიმო
შემოქმნდათ თავლაში როგორც საგვარებო შესაწირავი. ამავე დღეს
რაჭის ზოგიერთ სოფლებში ღვინო ოჯახის უფროს კაცს, ისევე როგორც
ბოსლობას, ევნახში მიქმნდა, რომელსაც ლერწმის ძირში მიასხამდა.
მერე კალოზე წავიდოდა, მის შუაგულში დადგებოდა, ჭიქას ღვინით
ავსებდა და დაილოცებოდა: „ღმერთო, მიეცი კაი ძალა, კაი ღონე
ჩვენ ხარებს, ბევრი პური გაალეწინე ამ კალოზეო“; საცემელთანაც მი-
კვიდოდა, მასში ღვინოს ჩააქცევდა და იტყოდა: „რაც მოვიტანო ამ სა-
ცემელთან, ღმერთის წყალობით გაგვაცეხეინეო“. ახალწელიწადს საახალ-
წლო შესაწირავებით სავსე გობში, რომლითაც რაჭველი ოჯახის უფრო-
სი კაცი ჯალიბს ახალი წლის დადგომას მიუკვევდა, ერთი ხელადა
ღვინო იყო ჩადგმული.

2 ნ. თოფურია. დასახ. ნაშრ., მასალ. საქ. ეთნოგრ., XII—XIII,
თბ., 1963, გვ. 163, 173.



ს ებს ემსახურებოდა, თავის კარჩაკე მუდმივა
ბით განსხვავდება საგვარეულო, სათემო
დღეობების აგან”¹.

ეს შეხედულებაც, რომელიც ნ. თოფურიას წერილში
საკვანძო მნიშვნელობის მქონეა, წარმოდგენილია მისი წინა-
მდღვრის შემცველი ნაშრომის² მიუთითებლად, რაც მკვლე-
ვარს არ შეშვენის; მით უფრო, რომ ეს ნაშრომი გამოქვეყნე-
ბული არაა. ამის მიუხედავად, მოხარული ვართ, რომ ავტო-
რის გამოქვლევამ ჩვენს მიერ გამოთქმულ ზოგიერთ დებუ-
ლებას მეტი საბუთიანობა შესძინა.

ბოსლობის რიტუალში გამოყენებული ღვინო, რო-
მელიც რაჭველებს ბოსელში შეპქონდათ, მიჩნეული იყო მა-
გიური ძალის შემცველ დიდმნიშვნელოვან შესაწირავად. ის
გარემოება, რომ ამ ღვინოს რიტუალის მონაწილენი ბოსელში
სვამდნენ, გვაფიქრებინებს, რომ იგი, ისევე როგორც ხარე-
ბისა და ძროხების მისალოცი განატეხები, გამოყენებული
უნდა ყოფილიყო ბოსლობაში ასახულ ღვთაებასთან ზიარე-
ბის საშუალებად.

ბოსლობაში შესაწირავის მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე
ანთებულ სანთელს და საქმეველს. საქმევლადაც სანთელი იყო
გამოყენებული, რომელსაც ნაკვერცხლებზე დაკმევლნენ
ხოლმე.

რაჭული ბოსლობის რიტუალში გამოყენებული სხვა
საგნებილან ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით ქათმის კვერ-
ცხი იქცევს. ამ დღეობის ვარიანტებიდან ირკვევა, რომ კვერ-

1 ნ. თოფურია, დასახ. ნაშრ., მასალ. საქ. ეთნოგრ., XII—XIII,
თბ., 1963, გვ. 171—172.

2 წყაროში ნათქვამია: ბოსლობა „საოჯახო დღეობა იყო, რომელიც
თავის კარჩაკე ტილობით მყაფიოდ განსხვავდებოდა საგვარეუ-
ლო, სათემო და სასოფლო დღეობებისაგან. პირველი მეტად
ვიწრო, ინდივიდუალური მისწრაფებებით შეზღუ-
დულ მამადმთავრულ ოჯახის ინტერესებს ემსა-
ხურებოდა, მეორე კი ფართო კოლექტივის — საგვა-
რეულოს, სოფლის, თემის წევრების ინტერესებს“
(ა. სოხაძე. დასახ. ნაშრ., 436—437).

კი რაჭველ მოსახლეობას საქონლის გასუქებისა და სისალტეს გამომწვევ საშუალებად მიაჩნდა. მაგიური ფორმულებიდან. რომლებსაც რაჭველი გლეხი კვერცხთან დაკავშირებული ჯადოქრული მოქმედების დროს იყენებდა, ცხადად ჩანს, რომ კვერცხის სიმრგვალე ასოცირებული იყო საქონლის სიმრგვალესთან, ანუ სიმსუქნესთან და მის გამომწვევ მიზეზად იყო მიჩნეული. ასეთივე მნიშვნელობა მიეწერებოდა კვერცხის სითერესს, რომელიც ასოცირებული იყო საქონლის ქონის სითერესთან. არ უნდა ვითიქროთ, რომ კვერცხის „ბოსლობის“ რიტუალში გამოყენების აუცილებლობას განსაზღვრავდა მხოლოდ მისი ფიზიკური თვისებები — სიმრგვალე და სითერესს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ „ბოსლობის“ რიტუალში შეიძლება კვერცხის ნაცვლად გამოყენებიათ ყოველი კვერცხივით მრგვალი და თეთრი საგანი. თუ ეს არ ხდებოდა, იმით უნდა აიხსნას, რომ კვერცხი საქმაოდ მნიშვნელოვანი საკულტო ობიექტი იყო. ამიტომ შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ბავშვი, რომელიც „ბოსლობა“ ღამეს ოჯახის უფროსის მიერ ბოსელში დამალულ კვერცხს იპოვიდა, ბედნიერად ითვლებოდა მთელი წლის განმავლობაში!

კვერცხის გარდა ს ა ბ ო ს ლ ო ბ ო ცერემონიაში მაგიური დანიშნულებით იყენებდნენ ღორის ქონს, ქატოსა და ქვასანაყს². მათი მეოხებით ცრუმორწმუნე რაჭველი საქონელზე და აღამიანზე ახდენდა უშუალო ზემოქმედებას. მაგალითად, ბ ო ს ლ ო ბ ო ს სორული ვარიანტის მიხედვით ღორის ქონს რიტუალის მონაწილენი ხარ-ძროხის რქების და კისრის გასაპოხად ხმარობდნენ. სხვა ვარიანტების მიხედვით ღორის ქონს ბ ო ს ლ ო ბ ო დღეს ყოველ მსხვილფეხა რქოსან საქონელს ზურგზე და გავაზე, ზოგჯერ შუბლზეც უსობდნენ მათი გასუქების მიზნით.

ქაროს რაჭველები ხსენებული დღეობის რიტუალებში იყენებდნენ შინაური ფრინველების გამრავლებისა და ოჯახის წევრების ავი ძალებისაგან უვნებელყოფისათვის — სახადი

1 ა. სოხ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 264.

2 ი ქ ვ ე. გვ. 33, 34, 36, 40—42, 45, 47, 56, 267—268.

არ შეყრდნათ, ან სხვა მხრივ არ დაშიანებულიყვნენ. საეჭვო არ უნდა იყოს, რომ ქატოს ამგვარი დანიშნულებით გამოყენებას განსაზღვრავდა ის შეხედულება, რომელიც ცრუმორწმუნე რაჭველს შემუშავებული პერიოდის შესახებ. მას სწამდა, რომ პურეული (ხორბალი, ქერი, სიმინდი) წმინდა, მაგიური ძალის შემცველი ობიექტია, მაშასადამე, ქატო, როგორც პურეულის ანაცერი, აგრეთვე წმინდა, მაგიური ძალის შემცველ ობიექტია უნდა მიეჩნია და მიეწერა მისთვის გამრავლება-განაყოფიერებისა და ავი ძალებისაგან თავდაცვითა ფუნქცია.

რაც შეეხება ქვასანაყს, იგი „ბოსლობა“ დღეს, ქათმის კვერცხის მსგავსად, გამოყენებული იყო მსხვილფეხა რქოსანი საქონლის გასუქების მიზნით. შეხედულება, რომ ქვასანაყს შეუძლია გაასუქოს საქონელი, ამ საგნის ფიზიკური თვისებების მისტიკურ გააზრებაზეა დაფუძნებული და ჯადოქრული რწმენის გამოვლინებას წარმოადგენს. რაჭველს სწამდა, რომ, ვინაიდან ქვასანაყს გაშანდაკებული ზედაპირი აქვს (რის გამო იგი სალესი ქვის მოვალეობასაც ასრულებს — მასზე დანებულესავენ), შეუძლია თავის ეს თვისება საქონელსაც გადასცეს, ე. ი. გახადოს იგი „სალესივით“ (მოაშოროს სიგამხდრით გამოწვეული ტანის უსწორმასწორობა), გაასუქოს.

საბოსლობო წესჩვეულებათა კომპლექსში პურის ფქვილის ხსნარს და ნაცარმტუტეს მხოლოდ სვანები იყენებდნენ მაგიური მხატვრობისათვის, რომელიც დაკავშირებული იყო ბუნების ძალთა ალორძინებასთან, აგრალურ სამუშაოთა წარმოებასა, საქონლისა და შინაური ფრინველების მეურნეობასთან და ნადირობასთან¹. ამ მხატვრობის ნიმუშების (ჯიხვი, არჩვი, შინაური ცხოველები და ფრინველები, ადამიანი, მცენარე, პურის კიდობანი, რიტუალური პურები და სხვ.) კეთების „მიზანი უთუოდ იმ ობიექტების ალორძინება თუ გამრავლება იყო იმიტატიური მაგის მეშვეობით, რომლებსაც ისინი (სვანები) ამ დროს ხატავდნენ“².

¹ ვ. ბარდაველიძე. ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბილისი, 1957, გვ. 59—161.

² იქვე, გვ. 139—140.



პურის ფქვილის ხსნარისა და ნაცარმტუტეს მაქთყებულება — ნიშნულების ჭრელათა სახატავ-მასალად გამოყენება შემთხვევითი არ იყო, ვინაიდან ფქვილიც და ნაცარიც ქართველ მოსახლეობაში „წმინდა“ საგნებად ითვლებოდა.

ნაცარის სიწმინდე, ისევე როგორც ნახშირისა, პირობადებული იყო იმით, რომ იგი ცეცხლის, რომელიც წარმართ ქართველებს „უწმინდეს“ სტიქიონად მიაჩნდათ, მეშვეობით მიღებული ნივთიერებაა.

სახატავ მასალად შერჩეულ „კერის ჩვეულებრივ ნაცარს ან კერაში დამწვარი გურიზის — საახალწლო შემოსალოცი მრავალკვირტიანი თხილის ტოტების — ნაცარს, სხვაგან კა „წმინდა“ პურის ფქვილს უბრალო წყალში და ან ნაჯურთ წყალში გახსნიდნენ, ხსნარში სალოკ თითს ავლებდნენ და მით ნახატი (ზემოსვანური ლაჭრელე — დაჭრელებული, ქვემოსვანური ჭარდალ — ვარდები) გამოჰყავდათ¹.

საგულისხმოა, რომ ჩვენს მიერ განხილულ რიტუალურ საგნებს უშუალო კავშირი ჰქონდა ქართველი გლეხის საოჯახო ყოფასა და მეურნეობასთან, ისინი თითქმის მარტოოდენ ამ მეურნეობის, ანუ გლეხური წარმოების შედეგად მიღებული პროდუქტები იყო. ამ ფაქტში თვალსაჩინოდ ვლინდება ის დიდმნიშვნელოვანი კანონი, რომლის თანახმად ამა ზუ იმ ხალხში, ამა თუ იმ ეპოქის საზოგადოებრივ კოლექტივში მეურნეობის ამსახველი ცერემონიების დროს გამოყენებული რიტუალური საგნების შერჩევის წესს, ისევე როგორც თვით ამ ცერემონიების ხასიათსა და მიზანდასახულობას, პირველ რიგში და უმთავრესად განსაზღვრავდა არსებული მეურნეობის ხასიათი და წესი. სრულიად ბუნებრივია, რომ ამ კანონის ზემოქმედების შედეგად ქართველი გლეხი ბოსლობის ცერემონიის შესრულებისას რიტუალურ მნიშვნელობის მქონე ისეთ პროდუქტებს იყენებდა (ხორცი, ქონი, კვერცხი, სართვიანი პურები, ფქვილი, ქატო,

¹ ვ. ბარდაველიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 7.

პურის კოროლი, ღვინო, სანთელი), რომელთა გამრავლებასაც იგი ლამობდა. მაშასადამე, ამ შემთხვევაში საშუალებას სავ-სებით ამართლებდა მიზანი!

დღეობებისათვის რიტუალური საგნების შერჩევისა და დამზადების საქმეში, რა თქმა უნდა, ტრადიციაც დიდ როლს თამაშობდა.

მაგალითად, რაჭველი დიასახლისი ს ა ბ ო ს ლ ო ბ ო განა-
 ტეხებს, ისევე როგორც სხვა რიტუალურ პურებს, ტრადი-
 ციული წესის მიხედვით ხორბლის ფქვილისაგან აცხობდა. სი-
 მინდის ფქვილისაგან რიტუალური პურების დამზადება მიღე-
 ბული არ იყო, რაც შემდეგი გარემოებით უნდა აიხსნას: სი-
 მინდის კულტურა საქართველოში მეჩვიდმეტე საუკუნეში
 გაჩნდა, ხორბალი კი ქართველების ოდინდელი კულტურაა. რომელთანაც დაკავშირებული იყო მეტად შორეული წარსუ-
 ლიდან მომდინარე ნაირი სახის რწმენა-წარმოდგენები. ამავე
 გარემოების გამო რაჭაში სიმინდის ფქვილისაგან ჩვეულებრივი
 პურების გამოცხობაც კი სადღეობოდ, საქორწინოდ, საქელე-
 ხოდ (ჭირის სუფრისათვის) და სხვა ამგვარი შემთხვევებისა-
 თვის მიღებული არ იყო².

მართალია, XVIII ს. მეორე ნახევრიდან ამ კუთხის ეკო-
 ნომიურ ყოფაში სიმინდი დიდ როლს თამაშობდა, მაგრამ აქ
 მას საკულტო მნიშვნელობა თითქმის არ მოუპოვებია. ამას
 აღნიშნული მიზეზის გარდა ისიც უწყობდა ხელს, რომ რაჭაში
 ეს კულტურა ისე სწრაფად და ფართოდ არ გავრცელებულა.
 როგორც, მაგალითად, იმერეთში, სამეგრელოსა და გურიაში.
 აქ მარცვლეულთაგან XIX საუკუნეშიც გაბატონებულად პუ-
 რეული კულტურები (ქერის ჩათვლით) ითვლებოდა. თუ რაო-
 დენ ნელი ტემპით ვრცელდებოდა ამ კუთხეში სიმინდის კულ-
 ტურა, ამას ცხადყოფს XIX ს. 80-იანი წლების შემდეგი ცნობა:
 «Даже в Верхней Раче, где кукуруза прежде была сов-
 сем неизвестна, с недавниго времени, в виде опыта нача-
 ли сеять и кукурузу, которая встречается теперь даже в

¹ ა. სოხაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 228—229.

² იქვ, გვ. 234.

сел. Глола. Точно также и в нагорных местах Нижней Фачи, как, например, в Никордцминдском обществе, кукуруза появилась несколько лет тому назад. Впрочем, в этих местах она не всегда вызревает и весьма часто убирается зеленою»¹.

Сообщество ара Марტო რაჭაში, ара Мегад საქართველოს იმ კუთხეებშიც კი, სადაც მან სწრაფად დაიკავა გაბატონებული ადგილი მარცვლეულთა შორის და ძალზე შეზღუდა ან თითქმის აღმოთხვრა პურის საქვებად გამოყენება, კულტის სფეროში დიდი მნიშვნელობა ვერ მოიპოვა, რის გამო ხშირად ერიდებოდნენ სიმინდის (მჭადის) ფქვილისაგან რიტუალური კვერების გამოცხობას. მაგალითად, სამეგრელოში ფუტკრის სალოცავის „ჯგურაგუნა“-სათვის შესაწირავ კვერებს წმინდა ფქვილისაგან ამზადებდნენ. მჭადის ფქვილის კვერები არ შეიძლებოდა, ვინაიდან ხალხს სწამდა, ფუტკარი მჭადივით ფიჭვს გაიკეთებს და თაფლიც ცუდი და უგემური იქნებაო².

ასეთი ვითარების მიუხედავად სიმინდის და სიმინდის ფქვილის საკულტო მნიშვნელობა ქართველთა სარწმუნოებრივ შეგნებაში თანდათან ფართოვდებოდა. ამის დამამტკიცებელი ცნობები არცთუ ისე იშვიათია: რაჭაში მარიობა დღეს შემწვარი ტარო ყურძენთან და ახლადშემოსულ ხილთან ერთად მიცვალებულთათვის განკუთვნილი საკურთხის აუცილებელი ელემენტი იყო. ეთნოგრაფ ა. ლ. რობაჭიძი ს ცნობით, „ს. შაქრიანში, ისე როგორც კახეთის სხვა მრავალ სოფელში, დამოწმდა თაფლიანი ჭადის გამოცხობის პრაქტიკა; იგი მზადდებოდა არა მარტო სადლეთო, არა მედ ჩვეულებრივი ნამცხვარის სახითაც.“

იგივე ითქმის ქართლის შესახებაც, სადაც გოზინაყის

¹ Х. А. Вернишева. Земледелие у государственных крестьян Закавказского края. Свод материалов по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края, т. IV, Тф. 1888, стр. 184.

² ს. მაჭალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი, 1941, გვ. 317—318.

გვერდით, თაფლიანი ნამცხვრის შემზაღება ასევე ფართული იყო გავრცელებული¹.

საგულისხმოა, რომ რაჭველებისაგან განსხვავებით გურულები „საბოსლობო განატეხს“ ტ. მარალაძის ცნობით, სიმინდის ფქვილისაგან აცხობდნენ. ეხება რა იგი გურულ ბოსლობას, აღნიშნავს:

«Особенность этого дня составляет пирог больших размеров, на всю семью, который печется из кукурузной муки и начиняется исключительно кусками соленого свиного сала, спрятанного для этого случая от новогодней свиньи»². ეს განატეხი ჭერ ბოსელში შეჰქონდათ, შემდეგ სახლში და ვახშმად სჭამდნენ.

იგივე გურულები თაგვმარიობას (ეწყობოდა 17 ავგისტოს) ორ რიტუალურ კვერს — კოკორს აცხობდნენ, რომელთაგან ერთი სიმინდის ფქვილისა იყო, მეორე კი ნაცრისა და თაგვების არჩივად ითვლებოდა³. გურიაში ჩიტ მარიობასაც რიტუალურ პურს — მცირე ზომის განატეხს, რომელსაც „ჩიტების ულუფა“ ეწოდებოდა, სიმინდის ფქვილისაგან ამზაღებდნენ⁴.

¹ ალ. რობაჭიძე. მეცუტერეობის ისტორიისათვის, თბილისი, 1960, გვ. 103.

² Т. Мамаладзе. Народные обычай и поверья гурийцев, СМОМПК, 1893, вып. XVII, отд. II, гл. 43. გურიაში კალანდა დღეს შეჰდს არავინ გამოაჩენდა. ულარიბესი გლეხიც კი ამ დღისათვის, რომელთანაც თავის ბედ-ილბალ აკავშირებდა, პურს იმარაგებდა, თუმცა ეს ძალზე უმძიმდა: „ძაან მარჯვეთ ვიყავით, მარინე, წრეულს! ასე ადვილათ უწინ ვერ ვახერხებდით საკილანდო პურლვინ ნოს. აი, წმინდათ ბასილე, თუ გამიმართლო საეტლოის სიტყვა — ბოლო ეამს კაი ცხოვრებაო, რომ მიწერს! აი, ღმერთო, თუ ამ კალანდიდან მოწყებული წალმა შეატრიალო ჩემი. ილბალი! — სთქვა გოგიამ და თვალები იმედიანალ გაუბრწყინდა...

— აგია, მარინე, რომ იტყვიან — გლეხეაცი სიხარულში მოკვდებაო. ერთი ფუთი ყირიმული პური ვიშვენეთ საკალანდოდ და ქვეყანა ჩვენი გვეგონია“ (ეგნატე ნინოშვილი, გოგია უშვილი).

³ იქვე. გვ. 62.

⁴ იქვე. გვ. 59.

საგულისხმოა, რომ სვანეთში რიტუალური პურებიში, ვჩქ
ტაბლებისათვის გარდა ხორბლისა ზოგჯერ ფეტვის ფქვილ-
საც იყენებდნენ. ასე, მაგალითად, ამ კუთხეში „მჭაღობას“
(ჭქადობ), ანუ „ფეტვის კვერობის დღეს აუცილებლად ფეტ-
ვის კვერები ანუ ფეტვის ლემზირები უნდა გამოეცხოთ, ვინაი-
დან ეს დღე ფეტვის მოსავლისათვის იყო განკუთვნილი. ამ
კვერებს დიასახლისი ფეტვის მოსავლის ღვთაებას დან ან ან
ამ დღის წმინდანს შესწირავდა და ეველრებოდა „ფეტვის
მოსავალი გაუმრავლე ოჯახსო“, „საქონელი და კაცი მშვი-
ლობით მიმყოფეო“ (ვ. ბარდაველი ძე. სვანურ ხალხ. დღ-
კალენდ. I).

შესაძლებელია ფეტვისა და ფეტვაირთა ფქვილისაგან რი-
ტუალური კვერების გამოცხობა ერთ დროს, ზოგიერთ უქმე-
დლეობებთან დაკავშირებით საქართველოში საყოველთაოდ
გავრცელებულ ჩვეულებას წარმოადგენდა, ვინაიდან „უძვე-
ლესი დრობოთგან მთელ საქართველოში ფეტვისა და ფეტვა-
ირთა მოყვანასაც მისდევდნენ. საკვებ მარცვლეულთა შორი-
შაო საპატიო ადგილი ჰქონდათ დათმობილი“!

ბოსლობაში დამოწმებული რიტუალური საგნებიდან
უმეტესი ასახვდა ადგილობრივი სოფლის მეურნეობის სხვა-
დასხვა დარგს მისი სპეციფიკის შესაბამისად. ამ ვითარების
ცხადსაყოფად დღეობის აღწერილობის ვარიანტებიდან ყვე-
ლაზე სრულ მასალას მოიცავს რაჭული ვარიანტები. ამ ვარი-
ანტებიდან ჩანს, რომ რაჭველების მიერ ბოსლობა დღეს
სოფლის მეურნეობის პროდუქტებიდან სარიტუალო დანიშ-
ნულებით გამოყენებული იყო: შემწვარი „საბოსლობო გოჭი“.
მოხარშული ლორი (ლორის შებოლილი შაშხი), ლორის ქონი,
უმი კვერცხები ქათმისა, სართვიანი პურები (განატეხები,
ხმიადები, ბაჭულები), ქატო, პურის „კოროლი“, ღვინო და
სანთელ-საკმეველი.

ამ პროდუქტების წარმოებას რაჭაში განაპირობებდა შემ-
დევი უძველესი დარგები: მეცნოველეობა, მეფრინი

¹ ი. ჭავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგ.
I, თბილისი, 1930, გვ. 364.

ველეობა, მემინდვრეობა, მევენახეობა და
ღვინეობა და მეფუტკრეობა. მათ შესაბამის გვაძლევა
როგორც ეს ბოსლობის ვარიანტებიდან ირკვევა, რაჭველი
გლეხი აწარმოებდა: ხორცს, ქონს, კვერცხს, რძის პროდუქ-
ტებს, მარცვლეულს, ქატოს, ღვინოს, თაფლსა და სანთელს.

ზემოთ დასახელებული საგნების რაობისა და მათი სარი-
ტუალო დანიშნულების გათვალისწინება ღრმა წარმოდგენას
გვაძლევს რაჭაში მათი წარმოების ხალხური წესებისა და იმ
რელიგიური იდეების შესახებ, რომლითაც რაჭველი გლეხი
ხელმძღვანელობდა პრაქტიკის სფეროში.

ამის ცხადსაყოფად რაჭული საბოსლობო განატე-
ნების თავისებურებათა გათვალისწინებაც საკმარისია.

ამ განატენების ერთ ნიშანდობლივ მხარეს ის შეად-
გენდა, რომ სართვიანი პურები იყო, რაც მათ ნაყოფი-
ერების სიმბოლოს მნიშვნელობას ანიჭებდა. ამ ვითარების
გამო მათი შეწირვა ოჯახის ბარაქის, სიუხვის გამომწვევ მი-
ზეზად მიაჩნდათ. სხვათა შორის ამაზე ლეჩხუმელი მორწმუნე
პირდაპირ მიუთითებდა: „ბარბალობას“ უსართვო ანუ გულ-
ცარიელი ტაბლების გამოცხობამ მთელი წლის განმავლობაში
ოჯახის სიცარიელე იცისო¹. მარტო ამ თვალსაზირისის გამოც
კი სართვიანი განატეხი თუ ტაბლა გლეხის წარმოდგენაში
დაკავშირებული იყო მის მიერ წარმოებული მეურნეობის
ყველა დარგთან და ამდენად მისი შეწირვა მთელი წლის მან-
ძილზე ოჯახის სისავსის, მისი ბარაქის ღაუშრეტლობის სა-
წინდრად ითვლებოდა.

რა თქმა უნდა, რაჭული საბოსლობო განატენების
კავშირი გლეხის მეურნეობასთან და მისი მწარმოებლის უტი-
ლიტარულ ზრახვებთან მარტო აღნიშნულით არ ამოიწურე-
ბოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რაჭველები „საბოსლობო
განატეხებს“ ხორბლის ფქვილისაგან ამზაღებდნენ, მათ სარ-
თვად კი ლორის ქონით შეზავებულ მოტუკულ ლობიოს ან

¹ ვ. ბარბარელი დ. ქართველთა უკველესი სარწმუნოების ისტო-
რიიდან (ლოთავება ბარბარ — ბაბარ), თბილისი, 1941, გვ. 37.

შესრულება

ყველს ხმარობდნენ. ამ თავისებურების წყალობით კონტრას-
გულიანი განატე ხი რეალურ კავშირში იყო, ერთი შტრიქით,
ხორბლისა და ლობიოს მოსავალთან, ხოლო, მეორე მხრით,
წვრილფეხა საქონლის მეურნეობასთან — მელორეობასთან.
ყველისგულიანი განატე ხი კი დაკავშირებული იყო მეწ-
ველი საქონლის მეურნეობასთან და ხორბლის კულტურასთან.
იდეაში კი საბოლოო განატე ხები ის კავშირი
სოფლის მეურნეობასთან უფრო მრავალმხრივ იყო, ვინაიდან
ლობიოსა და ხორბლისაგან ნამზად რიტუალურ პურს საერ-
თოდ მარცვლეულის უხვი მოსავლის სიმბოლოს მნიშვნელობა
ჰქონდა, ხოლო ღორის ქონი და ყველი ოჯახში ქონისა და
ყველის სიუხვის, წველადობის ზრდის, ნაყოფიერების, ბარა-
ქის გამომწვევ ობიექტებად მიაჩნდათ. ამიტომ შემთხვევითა
არ იყო, რომ საბოსლობო რიტუალის შესრულებისას ოჯახის
უფროსი კაცი ყოველ შროხას, ხარს და მოზარდ მსხვილფეხა
რქიან საქონელს გასუქების მიზნით ზურგზე ქონს უსვამდა.

თუ განატეხი ჯვარსახიანი იყო, მას თავდაცვითი მნიშვნე-
ლობაც მიეწერებოდა. ამიტომ იყო, რომ ოჯახის უფროსი
კაცი სხვა საბოსლობო შესაწირავებთან ერთად გობზე დადე-
ბულ „ჯვარსახიან განატეხს“ ყველა მსხვილფეხა რქოსან სა-
ქონელს თავზე შემოავლებდა, თან „საქონლის ანგელოზს“
ევედრებოდა: „საქონლის ანგელოზო, ააშორე ჩვენს საქო-
ნელს ყველაფერი გაჭივრება, სახადი და ნადი-
რიო“. თუ საბოლოო განატე ხეზე ჯვარი არ იყო
გამოსახული, მაშინ მას ოჯახის უფროსი საუკეთესო ხარის
თავზე გადაატეხდა და იტყოდა: „გვთარვიდეს ჯვრის ძალით“¹.
ბოსლობის ნამანეურ ვარიანტში ნათქვამია: საბოსლობოდ
„გამოვაცხობდით ხარებისა და ძროხების განატეხს. ძროხის
განატეხზე ჯიქანს დავაკრავდით, ხარებისაზე უდელსა და სახ-
ვნელს. ხარების განატეხს ხარებს შემოვავლებდით, ძროხის
განატეხს ძროხას მივულოცავდითო“².

¹ ა. სონაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 46, 55.

² იქვე გვ. 32.

³ იქვე გვ. 46.



ეს განატეხები სახელწოდებით და მათზე მოყვამეობა
სიმბოლური ნიშნებით, ე. ი. იდეური შინაარსით, ორგანულად
იყვნენ დაკავშირებული მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მე-
ურნეობასთან. ხარის განატეხები გამოსახული უღლი-
ანი სახველი, როგორც ნაშრომის შესავალში აღვნიშნეთ, მუშა
ხარის, ხოლო ძროხის განატეხები გამოსახული ჯი-
ქანი („ტუა“) — ძროხის სიმბოლურ გამოსახულებას წარმო-
ადგენდა. შესაძლებელია ოდესლაც „საბოსლობო განატეხებები“
ძროხის ჯიქნის ნაცვლად მოცემული იყო მისი (ძროხის) სრუ-
ლი გამოსახულება, რომელიც დროთა ვითარებაში სიმბო-
ლურმა გამოსახულებამ შეცვალა, რაც რთული ფორმის გა-
მარტივების, „მხატვრობის“ იოლად შესრულების ტენდენ-
ციით აიხსნება.

ამავე გარემოებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ქართლე-
ლები ძროხისათვის განკუთვნილ საახალწლო „ბედის კვერს“
ძროხის ძუძუს ფორმას აძლევდნენ, მაშასადამე, ძროხის რეა-
ლურ გამოსახულებას მაქსიმალურად ამარტივებდნენ, უკეთ
რომ ვთქვათ, მას ამ ცხოველის მარტივი ნაწილის გამოსახუ-
ლებით იძლეოდნენ.

განატეხები ძროხის ნაცვლად ჯიქნის გამოსახვა მარ-
ტონდენ გამოსახულების გამარტივების, მისი იოლად შესრუ-
ლების ტენდენციით არ შეიძლება აიხსნას, ვინაიდან ჯიქნის
რაჭველი არ გაიაზრებდა მარტონდენ ძროხის ხარისაგან გან-
მასხვავებელ ანატომიურ ნიშნად. უმთავრესი მიზეზი, რომე-
ლიც რაჭველ დიასახლისს „საბოსლობო განატეხებები“
ძროხის ნაცვლად მაინცდამაინც ამ ორგანოს გამოსახვის
აუცილებლობაზე მიუთითებდა, მდგომარეობს იმაში, რომ
იგი (ჯიქნი) აღნიშნავდა ძროხის ყველაზე არსებით სამეურ-
ნეო ფუნქციას — წველადობას, ისევე როგორც „ხარის განა-
ტეხებები“ გამოსახული სახვნელი და უღელი ხარის უმნიშვნე-
ლოვანეს ფუნქციას — სახვნელის გამწევობას!. ამასთა-
ნავე ვიცით, რომ წველის ბარაქის ზრდის უზრუნველყოფა
ბოსლობის რიტუალის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას
შეაღვენდა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ჯიქნის გამოსახულების მეოხებით „განატეხს“ მინიჭებული ჰქონდა იმ სამსხვერპლო ძრავთშესა მნიშვნელობა, რომელიც ოდესლაც საქონლის ღვთაებას ეწირებოდა.

ხარის განატეხი მასზე გამოსახული სახვნელი იარაღის („მხვნელი ხარის“ სიმბოლო) მეშვეობით მხვნელ-მთესველის ცნობიერებაში მტკიცედ უკავშირდებოდა ხვნა-თესვას, მიწის ნაყოფიერებას, მოსავალს.

მევენახეობასა და ღვინის მოსავლიანობასთან ასოცირებუ-ლი იყო ვენახის, ანუ „ვაზების მისალოცი განატეხი“, რომელ-საც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მტევნებიანი ვაზის მოყვა-ნილობა ჰქონდა.

რაჭა-ლეჩხუმში ვენახის, ანუ „მამულის“ განატეხს, რომე-ლიც მტევნის მსგავსი იყო, თედორობასაც აცხობდნენ.

საკითხთან დაკავშირებით ყურადღება უნდა მიექცეს შემ-დეგ ვარემოებასაც: რაჭულ ბოსლობაში გამოყენებული ობი-ექტების უმეტესი ნაწილი (ხორბლის ფქვილი, ქატო, პურის კოროლი, პურისაგან ნაკეთები სახვნელი იარაღისა და უღლის გამოსახულება ვენახის (მამულის) განატეხად წოდებული რი-ტუალური პური, ღვინო, ხელადა, ქვასანაყი, გობი, ბუჭერი და სხვ.) მიწათმოქმედებასთანაა დაკავშირებული.

ეს ფაქტი, ისევე როგორც მთელი შინაარსი რაჭული ბოსლობისა ცხადყოფს, რომ გარკვეული დროიდან რაჭის მოსახლეობის მეურნეობის ქვაკუთხედს მიწათმოქმედება წარ-მოადგენდა, რის გამო ხსენებული დღის ცერემონიალი, იმის მიუხედავად, რომ იგი არსებითად მესაქონლეობის წარმატე-ბას ემსახურებოდა, მეურნეობის ამ დარგს უპირატესად აგრა-რული მეურნეობისათვის დამახასიათებელი თავისებურების შესაბამისად ასახავდა.

რაჭულ ბოსლობაში გამოყენებული რიტუალური საგნები აღნიშნულს გარდა ავლენდნენ რაჭელი გლეხის სა-მეურნეო ყოფის ზოგიერთ კუთხურ თავისებურების.

ერთი ასეთი თავისებურება ის იყო, რომ რაჭაში განსაზღვ-რულ დროიდან (მოსალოდნელია XVIII ს. მეორე ნახევრიდან) საბოსლობო განატეხების, საერთოდ პურის, სართ-

ვად მეტწილად ქონით შეზავებულ ლობიოს ხმარობდნენ ჩატვალია შემთხვევითი არა: „ლობიოს კულტურის საქართველოში გა-ჩენისთანავე ამ მარცვლეულს ქართველი მიწისმოქმედი სწრაფად შესჩვევია: მეურნეს ახალი მცენარის ღირსება კარგად შეუნიშნავს. უკვე XVII ს. პირველ ნახევარში ლობიო სამეგრელოში პარკოსან მარცვლეულთა შორის ყველაზე უფრო გავრცელებული ყოფილა. XVIII ს. პირველი ნახევრისათვის ლობიოს უკვე მთელ საქართველოში ჰქონია მეურნეობაში მნიშვნელოვანი აღგილი მოპოვებული და პარკოსანთა ძეველი წარმომადგენლების გავრცელების არე ამ დროითგან მოყოლებული სულ უფრო და უფრო მცირდება“¹. ამასთან ირკვევა, რომ თუ XVIII საუკუნეში არა, XIX საუკუნის დასაწყისიდან ლობიოს რაჭაში პარკოსან მარცვლეულთა შორის გაბატონებული აღგილი ეკავა და იგი გაცილებით მეტი რაოდენობით მოყავდათ და უფრო მრავალფეროვანი გამოყენება ჰქონდა, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხებში. იგი აქ დროთა ვითარებაში სიმინდთან ერთად ადამიანის ძირითად საკვებად იქცა². სანამ ეს მოხდებოდა, რაჭაში საბოლოო განატენდობოდა და უფრო ცერცვი, ყველი და ხაჭო უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

რაჭველთა სამეურნეო ყოფის კუთხურ თავისებურებას მკაფიოდ ავლენდა ის ფაქტიც, რომ ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან და ამასთან აუცილებელ საბოლოო შესაწირავი წარმოადგენდა რაჭული წესით მომზადებული ლორის შაშხი (|| „ლორი“ || „როლი“), რომელსაც რაჭველები მთელი წლის განმავლობაში ხმარობენ საკვებად და რაჭული საპატიო სუფრის თითქმის განუყრელ ატრიბუტს წარმოადგენს³. ეს ისეთივე ნიშანდობლივი პროდუქტია სოფლად მცხოვრები რაჭველისათვის როგორც, შაგალითად, ღომი და სულგუნი, აგრეთვე სოფლად მოსახლე მეგრელისათვის ან ხინკალი აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებისათვის თავის კუთხის დაბა-სოფლებში.

1 ი. ჯავახიშვილი. ხაქ. ექონ. ისტ., II, გვ. 73.

2 ა. სოხაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 246.

3 იქვე, გვ. 125.

აქვთ უნდა შევნიშნოთ, რომ ლორს რაჭველების ეკონომიკური
ყოფაში განსაკუთრებული მნიშვნელობა. პეტონდა არაგარებული
მრავალმხრივ სასარგებლო ცხოველს. რაჭველი გლეხი ამ ცხო-
ველისადმით დიდ სიყვარულს იჩენდა და ხშირად ძროხაზე მეტ
უპირატესობასაც კი ანიჭებდა. და ანიჭებს, რომ არაფერი
ვოჭვათ ცხვარზე და თხაზე. სხვათაშორის, ეს გარემოება ვა-
ხუ შტრი ბატონი შვილს აც აქვს ხაზგასმით იღნიშნუ-
ლი: „ცხვარი უდუმო, ღორი სიცოცხლე მათი“-ო—
წერს რაჭველების შესახებ. ვა ხუ შტრი ს ამ მითითების სის-
ტორეს, უდაოდ ხდის და — სავსებით ეთანხმება 1886 წ. გამ.
„ივერიაში“ (№ 80) გამოქვეყნებული ერთი კორესპონდენციის
შემდეგი საფულისხმო ცნობა: „რაჭაში გლეხ-კაცებს ერთობ
უყვარსთ სახორცელდებოდა. ქართლი კახე-
თიდგან, და სხვა ადგილებრიდან ყოველ-წლობით ბევრი ღორის
ჯოგები მოჰყავსთ გასასყიდლად. წარსულ ზამთარში, შობის
წინა დღეებში, ერთ პარასკევ დღეს ონში გაიყიდა 1500 ღორის“.

აღნებნულთა ერთად ღორის დიდ სარგებლიანობას რაჭ-
ველი იმაშიც ხედავდა, რომ იგი საუკეთესო ქონის დიდი რაო-
დენობით მომცემი ცხოველია. ღორის ქონს კი მეტად მრავალ-
მხრივი გამოყენება პეტონდა და აქვს რაჭველი მოსახლის ოჯახ-
ში. ქვემო რაჭაში ღორის ქონი თითქმის ერთადერთ ცხიმეულს
წარმოადგენს (გარდა ღორის ქონისა ზოგიერთი საჭმლის
შესახვებლად ხშირად იხმარება ნიგოზი; ნიგოზის ზეთი „ზე-
თიფაფისა“ და კორკოტისათვის იხმარებოდა. მთიან სოფლებ-
ში ერბოსაც ამზადებდნენ, მაგრამ მცირე რაოდენობით).

ღორის ქონს რაჭველი დიასახლისი ხმარობს კვერცხის
მოსატაფად, ღორის, სოკოს, კარტოფილის, ზოგჯერ ხორცე-
ულის და სხვათა მოსახრაკად. ღორის ქონითვე კაზაკს ზოგი-
ერთ საჭმელს ხარშვის ღროს. ეს უკანასკნელი გამოყენებულია
აგრეთვე ქონიანი (ქადიანი) და ღორისათვის იხმარებოდა. მთიან სოფლებ-
ში ერბოსაც ამზადებდნენ, მაგრამ მცირე რაოდენობით დროს.

1 ვახუ შტრი. საქართველოს გეოგრაფია, თბილისი, 1941, გვ. 162.

2 ეთნოგრაფიული თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა, რომ ქვემო
რაჭაში იმის გამო, რომ პურის და კატის სართვად უმეტეს შემთხვევაში

აღსანიშვავია, რომ „განატეხებად“ წოდებული რიტუალურობა
რი პურებიც ხშირ შემთხვევაში ღორის ქონიანი ან ღმირალის ქონით შეზავებული ლობიოსგულიანი პურები იყო.

პრინიშნული ვითარების გამო ღორის ქონს ძელი რაჭე-
ლების ყოფაში მინიჭებული ჰქონდა ოჯახის სიუხვის და ბა-
რაქიანობის სიმბოლოს მნიშვნელობა.

ლობიო გამოყენებული, სართვიანი „ლობიან“ (ლობიოსგულიანი) პურის და ქადა ეწოდება, ხოლო ყველისგულიანს — ყველიანი და ხაჭაჭური ამრიგად, ზოგადი ტერმინი სართვიანი, რომელიც შეიძლება იყოს ლობიანი (ლობიოიანი), ყველიანი („ქადიანი“), ფხლიანი (ზ. ჩაჭ. „ფხლუანი“), ქადიანი (კადპურა) და ა. შ., რაჭაში კერძო ტერმინობრივადაქმნილია, სამეცნიერო ყოფაში გამტკიცებული ჩვეულების — ლობიოს აღმიანის საკვებად ხშირად გამოყენების გამო, რაც, ცხადია, XIX საუკუნეზე აღრე არ შეიძლება მომხდარიყო.

საყურადღებო ისიც, რომ სიტყვები ყველიანი და ხაჭაჭური დღეს ერთხანირი მნიშვნელობით იმმარება, ორივე ყველისგულიან პურის ნიშვნავს, მაგრამ თავიდანვე ასე არ იქნებოდა, რასაც ცხადყოფს თვით ხაჭაჭურის შედგენილობა. ეს სიტყვა კომისიირია, შედგება ხაჭადა და პურისაგან. თავდაპირველად იქნებოდა ხაჭოპური, რაც ნიშნავს ხაჭოან, პურს.

ნ. მინდელის ცნობიდან ირკვევა, რომ ს. სორში (ხემო რაჭა) ხაჭაპურისათვის სწორედ ხაჭო (კვერცხშერეული) იმმარებოდა (Н. М и н д е л и. Селение Сори, СМОМПК, вып. XIX, 1894, გვ. 108). ეს რომ ერთ დროს საქართველოსათვის ზოგადი მოვლენა იყო, მის უცილობელ საბუთად ისიც გამოდგება, რომ ზემო რაჭაში ამებად ხაჭა-პური, ზოგორც ყველიან, ისე ხაჭოან („ხაჭვიანი“) პურისაც ეწოდება (ნ. ა. ბრეგაძე. მემინდვრეობა რაჭა-ლეჩხუმში, თბ. 1963, ხელნაწ., გვ. 207). ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ თავდაპირველად ქართველები „ხაჭაპურის“ სართვად ყველს კი არ იყენებდნენ, არამედ ხაჭოს. დროთა ვითარებაში სახაჭაპურედ ყველის ხაჭოს ნაცვლად სისტემატურ გამოყენებას ტერმინის „ხაჭაპური“ პირვანდელი მნიშვნელობის შეცვლა გამო-უშევევია.

რაც შეეხება ტერმინს ქადიანი, იგი ისევეა ნაწარმოები, როგორც სართვიანი, ყველიანი, ლობიანი (ლობიოიანი), ქონიანი, ხიგვზიანი, ფხლიანი და სხვ. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ ქადა სიტყვაში ქადიანი ალნიშნავს გარკვეული სახის სართვს, რომელიც რაჭული მონაცემების მიხედვით შეიძლება იყოს ქონი (ლორისა), ურბო და ნიგოზი. თუ ქადა სართვია, მაშინ ქადიანი, ანუ ქადა იანი ქადას შემცველი (ერბო, ქონი, ნიგოზი) პურის სახელი ყოფილა, თუმცა ქადა, რომელიც ლიტერატურულ მეტყველებასა და აღმოსაველეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ქადიანის ნაცვ-



ამიტომ არ უნდა გაგვიყვირდეს, რომ ზემორაველი მომზრუალები ღორის ქონით გაპოხილ პაჭიშებს მისი მფლობელის სიმდიდრის, ხოლო გაუპოხავს — სიღარიბის მაჩვენებლად თვლი-დნენ. თუ გლეხს სუფთა პაჭიშები ეცვა, შეიძლება მეზობელს გაეკიცა და ეთქვა: „შენი სიკეთე (სიმდიდრე) შენს პაჭიშებს ეტყობაო“ (ე. ი. ქონწაუსშელი, გაუპოხავია).

ღორის ქონს ადგილობრივი მოსახლეობა ურმის ღერძის საპოხად, რეინის იარაღების უანგისაგან დასაცავად და წამლა-დაც ხმარობს.

ღორის მაჭიყსა და ძვლებს იყენებენ „საკიდელის“ (რძის შესაღებელი სითხე, რომელსაც მცირე რაოდენობით რჩეში გაურევენ ყველის ამოყვანის დროს) შესამზადებლად. ჯაგარს („ჯაო“) ყიდიდნენ ან მისგან ჯაგრისებს მზადებდნენ.

ძველად, ზოგჯერ ღორის გატყავებაც იცოდნენ. ღორის ტყავისაგან ქალამნებს იკერავდნენ, რომელიც ცხიმიანობის გამო არ ხმებოდა ხარის ტყავის ქალამანივით და ზაფხულში კარგი სატარებელი იყო.

რაჭაში ღორის არა მარტო სამეურნეო, არამედ საკულტო მნიშვნელობაც ძალზე დიდი იყო. ამას ცხადყოფს ჩაკულ ხალხურ კალენდარში შემავალი ისეთი დღეობები, როგორიც იყო „ღორების მილოცვის დღე“ და „გოჭის ხუთშაბათი“, ღორის თავთან დაკავშირებული რიტუალი, მაგიური წესჩვეულებები, რომლებიც ამ კუთხეში ღორების გამრავლებისა და შათი სახადისაგან დაცვის მიზნით სრულდებოდა, ღორის ძვლის წვიმის მოსაყვანად გამოყენება ს. ღებში (გვალვის დროს ტბაში აგდებდნენ)¹ და სხვ.

დასახელებულ კუთხეში ღორის განსაკუთრებული სამეურნეო და საკულტო მნიშვნელობით უნდა აიხსნას ის ფაქტიც, რომ საქონლის მფარველ ღვთაებას საგანგებო შესაწირავის სახით საბოსლობო გოჭი მიეძღვნებოდა, ხოლო ღორის ქონს მაგიური დანიშნულებით იყენებდნენ ბოს ლობის რიტუალში.

ლად იხმარება, სართვეს კი არ აღნიშნავს, არამედ სართვეინ (ერბოიან) პურს და იგი ქადაგიანი — ქადიანის შემოქლებითაა მიღებული. მრიგად, ირკვევა, რომ ქადა-დან, რომელიც პირველად განსაზღვრულ სართვეს აღნიშნავდა, ნაწარმოებია ქადაიანი („ქადიანი“), რომლის შემოქლებით კვლავ ქადა-ა მიღებული, მაგრამ შეცვლილი მნიშვნელობითაა გაგებული.

¹ ს. მაკალათი ა. მთის რაჭა, თბილისი, 1930, გვ. 65.

თავი გასახი

მაგიურ-რელიგიური აჯტები

როგორც აღნიშნული გვაქვს, „ბოსლობა“ ფალიური ხასიათის დღეობა იყო. იგი უმთავრესად აღამიანის, ცხოველებისა და მცენარეულის გამრავლება-განაყოფიერებისათვის იყო განკუთვნილი. იმ წესჩვეულებებიდან, რომლებიც ცხადყოფებ დღეობის ამგვარ მიზანდასახულობას, პირველყოვლისა ყურადღებას იპყრობს რაჭაში ოჯახის უფროსი წევრების მიერ ზურგზე მოყიდებული ბავშვების ბოსელში წაყვანა. ეს ჯადოქრული მოქმედება, რომ ფალიური დანიშნულების მქონე იყო, ამას ყველაზე თვალსაჩინოდ ის ფაქტი აღასტურებს, რომ ზურგზე მოყიდებული ბავშვები, როგორც ბოსელში წასვლისას, ისე უკან დაბრუნებისას ხმამაღლა გაიძახოდნენ: „ბოსელ ბოსელ ბუუ!!“ ან „ბოსლა ბოსლა ბუუ!!“ აშკარაა, ამ სიტყვიერ ფორმულაში მოქცეული უკანასკნელი სიტყვა „ბუუ“ აღნიშნავს საქონლის (ხარის და ძროხის) ხმას. ამ მიბაძით, რომელიც სიმპათიური მაგიის აშკარა გამოხატულებას წარმოადგენს, ადგილობრივი მოსახლეობა ქვეცნობიერად საუღლედა მეწველი საქონლის გამრავლებას ლამობდა.

მოსახლეობა ამგვარი მიბაძვის ჩვეულებას, რომელიც აგრეთვე საქონლისა და შინაური ფრინველის გამრავლების საქმეს ქმსახურებოდა, გარდა „ბოსლობისა“, სხვა ქართულ-წირვარობულ დღეობებთან დაკავშირებით ასრულებდა. ასე მაგალითად, მთხრობელ ტუფა ომიაძის გაღმოცემით, სოფ. ნამანევში (ქვემო რაჭა) ოედორობა დღეს, რომელიც ცხენების გამრავლებისა და კეთილდღეობისათვის იყო განკუთვნილი, შემდეგი წესი სრულდებოდა: ბოსელში შეკქონდათ სკამი, რომელზედაც გობს დასდებდნენ, გობზე კი პურჩაფშვილი

ღვინით სავსე თეფში იდგა. თეფშს ერთი კაცი ყარაბულობდა, რომელიც ცხენივით ხვიხვინებდა, წიხლებს ისროდა და ორვის ანებებდა თეფშთან მისვლას. ასეთ წესს თედორობა დღეს მეგრელებიც ასრულებდნენ.

იმერეთში ბარბალობა დღეს ქათმის ფერხვის წესს ასრულებდნენ, რომლის დროსაც, როგორც ეს ქვემოდაა ნაჩვენები, გოდორს; რომლის წინ ღომის ჩხოიანი კვახი ეგდო. გარს უვლიდნენ და წიწილებივით წიაქობდნენ. ადგილობრივ მოსახლეობას სწამდა, რომ ამგვარი მოქმედება, სხვა მაგიურ მოქმედებებთან ერთად, ხელს უწყობს ქათმების გამრავლებას.

ზემოხსნებული სიტყვიერი ფორმულებიდან, რომელთა საშუალებით ჩავველები ქვეცნობიერად ხარებისა და ძროხების გამრავლებას ლამობდნენ, ჩვენთვის განსაკუთრებით ღირებულია მეორე ფორმულა იმ მხრივ, რომ მასში მოხსნებულია სიტყვა „ბოსლა“, რომელიც გურული და ლეჩხუმები „ბოსლობის“. გარიანტების მიხედვით, საქონლის გამამრავლებელ და მთარველ ღვთავებას აღნიშნავს. ეს გარემოება კიდევ უფრო ცხადყოფს, რომ ფორმულის ფალიური დანიშნულება ჰქონდა და იგი გამოყენებული იყო საქონელზე და საქონლის ღვთავებაზე მაგიური ზეგავლენის მოსახდენად.

ამ ფაქტის გაუთვალისწინებლადაც აშეარა უნდა იყოს, რომ ბავშვების როგორც ახალგაზრდა არსებათა „ბოსლობის“ რიტუალში მონაწილეობა ოდესლაც შინაური ცხოველებისა და ადამიანთა სახიცოცხლო და გამანაყოფიერებელი ძალის განახლება-აღორძინების მიზნით ხდებოდა!

1 შესაძლებელია ბავშვები ასოცირებული იყვნენ ახალშობილ არსებებთან და მათი მეოხებით ამ არსებათა გამრავლებას, ლამიბდნენ. ამას სხვათა შორის, ისიც გვაფიქრებინებს; რომ ზოგჯერ ჩამდენიმე ბავშვი ზურგზე მოკიდებული, ხელში იყვანილი და ეისერჩე, ჩამოკიტებული მამასახლისს მიმყაედ ბოსელში. ალბათ ფიქრობდნენ, რაშტენად მეტად დაიტვირთება ოჯახის უფროსი ბავშვებით, იმუდენად მეტს დაიბატება: ბავშვი, ხმო, ბატყანი, გოჭი და ა. შ. საეჭვო არ უნდა იყოს, რომ საბოსლობოდ გოჭის დაკველა და კვერცხების შესაწირავად გომოყვნება ანალოგიურ მოხაზურებასთან, იყო დაკავშირებული და ეს ჩვეულება უმთავრესად გოჭებისა და წიწილების გამრავლების მიზნით ხდებოდა.



განხილული ჩეეულების ფალიურ დანიშნულებზე გვიყვალდებათ, მიუთითებდეს ის ფაქტიც, რომ ადამიანის ზურგზე შოკიდებას, რაქა-ლეჩებუმში „მოკოტრება“ ეწოდება. ამავე დროს „კოტრა“ შინაური ცხოველების გამანაყოფიერებელი და გამაშრავ-ლებელი ღვთაების აღმნიშვნელი რთული ტერმინის „ბოსლა-კოტრა“-ს შემადგენელი ნაწილია.

საგულისხმოა, რომ ლეჩებუმური „ბოსლობის“ ერთ-ერთ საყურადღებო მომენტს აგრეთვე ადამიანის მიერ ადამიანის ზურგზე მოკიდებასთან დაკავშირებული მაგიური მოქმედება წარმოადგენდა, რომელიც დღეობის ფალიურ მიზანდასახუ-ლობას ყველასათვის თვალსაჩინო ფორმაში ავლენდა.

ფ. გარდაფხაძის ცნობით, ლეჩებუმში დიასახლისი „საბო-ლობო“ სამზადისს ნაშუადღევს შეუდგებოდა: „პურს მოცო-მავდა, ცერცვს ჩაადგამდა; ცოტა რომ პური იიწეოდა (აფუვ-დებოდა) სახელდახელოდ ერთ პატარა ტაბლას-მარილიანს გა-მოაცხობდა, ეს ტაბლა ითვლებოდა საოჯახო სალოცავად. მი-რიასთან ნაკვერჩხელებზე სანთელს დააკმევდა, ტაბლას მარჯვ-ნივ შეატრიალებდა და ამგვარად ილოცებოდა: „ღმერთო დეი-ფარე ჩემი ოჯახი ცეცხლისაგან, სახადისაგან, დერფარე ჩემი ქმარშვილი ყოველი მავნებლისაგან“. ამ დროს მამიკაცი (ქმა-რი) მივიდოდა და ეტყოდა: „ბოსლა-კოტრა, მომექოტრე“. ამ ქალს მოიკიდებდა ზურგზე და კერის გარშემო სამჯერ შემოივლიდა“. აჩსენა გვილდიანს გაუგონიაო, — გვზუშებს ვ. გარდაფხაძე — რომ ამ დროს ქალი და კაცი სულ ტიტ-ლიქანა იყვნენო. „ბოსლა-კოტრას“ დროს სახლში არაერთ უნდა ყოფილიყო. ამის შემდეგ ეს ცოლ-ქმარი პატარა საოჯა-ხო ტაბლას შეჭამდნენ. ეს ყველაფერი სამხრობის ტროს უნდა მომხდარიყო“-ო!

თუ არ ვცდებით; პმ ჩეეულებას კავშირი უნდა ჰქონდეს ერთ დროს ქვემო სვანეთში დაცულ „ადრეკილაი“-სა და „მე-ლის ტულუფეია“-ს სახელით ცნობილ არქაულ დღესასწაულ-

¹ ფ. გარდაფხაძე. ლეჩებუმური ხალხური ღლეობები, 1937, გვ. 36, ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილება.

თან, რომელიც ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში სკეპტიკიზმი სობრივი განაყოფიერებისა, შვილიერებისა და საერთო ურთიერთობას სავლიანობის მფარველი ღვთაების თაყვანის ცემის ნაშთადაა აღიარებული¹.

ვ. ბარდაველიძის აზრით ის ვითარება, რომ დღეობის მეორე ვარიანტში მომკოტრებელი მამაკაცი იყო და მოკოტრებული კი ქალი და ორა პირუკუ, რაც ცხოველთა ურთიერთობის ბუნებრივი სახის გამომხატველი იქნებოდა, გვაფიქტებხნებს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს გვიანდროინდელ უკვე გადამახინჯებულ რიტუალურ მოკოტრებასთან².

„ბოსლობის“ ფალიურ მნიშვნელობას სავსებით ნათელყოფს აგრეთვე ლეჩებულმური წესი, რომელიც თათია ბურჩანაძის ცნობით, შემდეგში მდგომარეობდა: ბოსლობას ლეჩებულმში „ვახშმის წინ ყველანი ფეხზე წამოდგებოდნენ და სრულ სიჩრდეს ჩამოაგდებდნენ — აკვინის ბავშვსაც კი არ უნდა ეტირა ამ დროს. ოჯახის უფროსი ცოლ-ქმარი კერასთან მივიღოდა და თავთავის ადგილს დაიჭირდა — კაცი საქაცებო მხარეს კერის წინ, ქალი საქალებო მხარეს, ე. ი. კერის მარჯვნივ მდებარე ადგილას; აქ ისინი დაითოხებდნენ, — ხელებს მიწაზე დააყრდნობდნენ და ქალი დაიწყებდა თავის ადგილიდან ძანილს „კოტ-მოზვერა, კოტ-მეზვერაო“. ამ ძანილზე ოჯახის უფროსი მამაკაცი პოზის შეუცვლელად გაემართებოდა ნელი ნაბიჯით ქალისაკენ და თან გაიძახოდა: „მე ვარ შენი ხარ-მოზვერიო“. ქალთან მიახლოებისას მას ზურგიდან გაუჩერდებოდა, ფალოსს ამოიღებდა, ზედ ხელს უსვამდა და თან ირხეოდა, შემდეგ წინ ქმარი და უკან ცოლი კვლავ მიწაზე დაოთხილები სამჯერ კერას გარს შემოუვლიდნენ მარჯვნიდან მარცხნივ („წალმა“) და ყოველ შემოვლაზე საქალებო ადგილას ზემოაღნიშნულ საქციელს გაიმეორებდნენ. მერე ფეხზე წამოდგებოდნენ, ოჯახის უფროსი კაცი ღვინით სავსე დოქს დაიკერდა, ქალი კი ლობიოსგულიან განატე ხს, რომელსაც

¹ ვ. გავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, 1, თბ., 1951, გვ. 71.

² ვ. ბარდაველიძე. ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. თბილისი, 1953, გვ. 97.

ზედაპირზე ორი ტაბიეთის გამოსახულება ჰქონდა და ორივე ნაკრების ხმამაღლა ლოცულობდნენ, — ღმერთო ბევრი საქონელი ურთიერთობის გვეციო. ლოცვის ამ სიტყვებს იმეორებდნენ დამსწრენი, რომ-ლებიც ფეხზე წამომდგარნი წესის შესრულებას თვალყურს ადევნებდნენ¹.

ამ ვარიანტიდან აშკარად ირკვევა, რომ ოჯახის უფროსი კაცისა და მანდილოსნის მოქმედება სქესობრივი ურთიერთობის რიტუალურ გამოსახულებას წარმოადგენდა.

ლეჩხენური „ბოსლობის“ პირველი ვარიანტის შესახებ 3. ბარდაველი წერს: „დღეობაში განსაკუთრებულ უურადღებას იმსახურებს „მოკოტრების“ რიტუალი. მიუხედავად იმისა, რომ ეს რიტუალი ფრაგმენტალურია და, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ჩვენს დრომდე დამახინებულად არის მოწეული, იგი საშუალებას იძლევა აღდგენილ იქნეს დღეობის მთავარი წესჩვეულების თავდაპირველი სახე. რომელიც არც ერთ ბოსლობის იღწერილობაში, მათ შორის არც ლეჩხენური ბოსლობის ჩემ მიერ არბელში ფიქსირებულ ვარიანტში შემონახული არაა².

ამ ვარიანტში ჩვენს უურადღებას, მოკოტრების ჩვეულებასთან ერთად, რომელიც რეალურად გამოხატავს ცხოველური სახის სექსუალურ ურთიერთობას, ისიც უურადღებას იქცევს, რომ რიტუალის შემსრულებელი ცოლ-ქმარი ძველად სრულიად შიშველი ყოფილან, რაც თვალსაჩინოდ ავლენს ამ რიტუალის ფალიურ ხასიათს.

ცხოველთა ხმის მიბაძვისა და მოკოტრების წესს, რომელთა მეოხებით ცრუმორწმუნე მოსახლეობა ცხოველთა გამრავლებას ლამობდა, ქვემოსვანურ ბოსლობის ვარიანტებშიაც ვაღასტურებთ.

„ქვემო სვანეთის ლენტეხის თემში დღეობა ბოსლობას, სახლის შიგნით გამართული საქონლის ბაგის წინ ბლომად თივას დაყრიდნენ ისეთ სიშორეზე, რომ საქონელი მას ვერ მისწვდომოდა, მაგრამ დაენახა კი. ასეთ ადგილს არჩევდნენ იმისათვის, რომ საქონელს, რომელიც მის თვალთახელვაში მო-

¹ ვ. ბარდაველი ი. დასახ. ნაშრ., გვ. 93.

² იქვე, გვ. 96.



ქცეულ თივას წაეტანებოდა, გომურის ტიხრის თვლილი გამოიყენებოდა
შინაში, გაეყო და ამგვარად თითქოს უშუალო მონაწილეობა
ასლომხილველი კოფილიყო შემდეგი რიტუალისა. ექვს ტაბ-
ლას გობზე მოათავსებდნენ, ოჯახის უფროსი ამ გობს გომუ-
რის ტიხრთან მიიტანდა, ხელებს, გობიანად ზეაღაპყრობდა
და ხმამაღლა წარმოთქვამდა: ოსლო-ბოსლო, კიტი-კიტი,
ბამბლუ ქანარ-ფურალ ხუაუ გუშირი, მიჩა მეჭემ მაროლ, მიჩა
დაბ ი ლაროლ. მი-ჰი-ჰი-ჰი — ოსლო-ბოსლო. კიტი-კიტი,
ბამბლუ, ხარ-ძროხები ბევრი გვყოლოდეს, მისი მიმდევარი
(მიმეოლი) აღიმიანები, მისი ყანა და სათიბები, მი-ჰი-ჰი-ჰი—
დააყოლებდა ბოლოს ცხენის ჭიხვინივით. ამ დროს ოჯახის
სხვა წევრები ზურგზე წამოყიდებული ბავშვებით ან ოჯახის
მომცრო ტანის სრულწლოვანი წევრებით დადიოდნენ გომურის
ტიხრის წინ, მისი სიგრძის გაყოლებაზე და თან ოჯახის უტრო-
სის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს ხმამაღლა გაიძახოდნენ.
ტიხრის სიგრძის ერთ ნაპირს რომ მიაღწევდნენ, შეხტებოდ-
ნენ, შემოტრიალდებოდნენ უკან და კვლავ ტიხრის წინ გაი-
ვლიდნენ იმავე წესით და იმავე სიტყვებით, როგორც პირვე-
ლიდ; ტიხრის მეორე ნაპირთან კვლავ შეხტებოდნენ (მოხრო-
ბელთა თქმით „შეიკუნტრუშებდნენ“), უკან შემოტრიალდე-
ბოდნენ და ასე მრავალჯერ გომურის ტიხრის გასწვრივ მიღი-
მოდიოდნენ. ბოლოს, ოჯახის უფროსი თივაზე გობს წააპირ-
ქვავებდა, ოჯახის წევრები ბავშვებს ძირს თივაზე ჩამოყრიდ-
ნენ, ბავშვები ტაბლებს მისცვიდებოდნენ და დაიტაცებდნენ, ხოლო უფროსები თივას ბაგაში ჩაყრიდნენ და საქონელს ისე
გააძლებდნენ, რომ „იგი თავისი პატრონებით ქმაყოფილი
დარჩენილიყო“. ამ დროს ოჯახის ის წევრი, რომელსაც საქონ-
ლის მოვლა-გამოკვება ებარა, დიდი ზომის ხაჭაპურით საბდ-
ლის წინ ხელაპყრობილი იდგა და სახოებით გაიძახოდა ზემო-
მოყვანილ სიტყვებს, რის შემდგომ ყველიან ტაბლის იქვე შე-
ექცეოდა¹.

სვანური ბოსლობის ვარიანტებში წარმოდგენილი ისტორიანი დანართი მაჩვენებლები, როგორიცაა ზურგზე წამოკი-

¹ ვ. ბარდავილიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 99—100.

ლებული („მოკოტრებული“) ბავშვებით, მომცრო, ტანის მართვა
კაცებით, თუ კრავებით ოჯახის წევრების გომურის ტინრის
წინ კუნტრუში, ლოცვების წარმოთქმა და ჭიხვინი იმავე შოქ-
მედებას განასახიერებდა, რასაც განასახიერებდნენ რაჭულ
ბოსლობაში მოქმედი პირები.

უნდა ვიფიქროთ, რომ კვერცხების ბოსელში წალების
ჩვეულებაც ნაწილობრივ დღეობის ფალიური მიზანდასახუ-
ლობით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი, ვინაიდან კვერცხი
სიცოცხლისა და ცოცხალ არსებათა სიმბოლოს წარმოადგენდა
და იგი ასოცირებული იყო გაჩენის, დაბადების (პირველ
რიგში წიწილების დაბადების, გამოჩეკის) აქტთან:

შინაური ცხოველებისა და განსაკუთრებით შინური ფრინ-
ველების გამრავლების საქმეს ემსახურებოდა აგრეთვე სახ-
ლის კარში მდგომი ახალგაზრდა ქალის მიერ ბოსლობის-
მონაწილეთა გულზე და სახეზე წყალში მოცომილი ქატოს
მიყრის ჩვეულებაც. ამას ადასტურებს ამ მოქმედების დროს
წარმოთქმული სიტყვები: „ამდენი გოჭი, ამდენი ქათამი, ამ-
დენი ბატი, ამდენი ქნდაური“ და ა. შ.

ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში არსებული მრავალი პა-
რალელური მასალის საფუძველზე შეიძლება გვდაწყვეტით
იმქვას, რომ ეს მოქმედება სიმპათიური მაგიის აშკარა გამო-
სახულებას წარმოადგენს. რაჭველი ქალი ქატოს მიყრით და
სიტყვიერი ფორმულით (ამდენი გოჭი, ამდენი ქათამი და სხვა)
ჰქეცნობიერად გოჭების და შინაური ფრინველების გამრავ-
ლებას ლამობდა:

საგულისხმოა, რომ ანალოგიურ მოქმედებას „აქალწელი-
წაღ დღეს, როგორც რაჭის, ისე საქართველოს სხვა კუთხეებ-
ში ოჯახის შინა ან მოწვეული შეკვლეც ასრულებდა, მხოლოდ
იმ განსხვავებით, რომ იგი ოჯხის წევრებს მოცომილ ქატოს
კი არ აყრიდა გულზე და სახეზე, არამედ მუგუზალს ცაცხლ-
ში შეუჩიჩინებდა და რომდენჯერაც ნაპერწყალი გასცვიოდა,
იტყოდა: „ამდენი შვილი, ამდენი ხარი, ამდენი ძროხა, ამდენი
ლორი, ამდენი ქათამი“ და შ. აღვილობრივ შრისტხლეობას
სწამდა, რომ რამდენადაც მეკვლე მეტ ნაპერწყალს გააცვენს



მუგუზალს, იმდენად ბევრი გაჩნდება ოჯახში ადამიანის საქაფესა
ნელი და შინაური ფრინველი.

ქართველი მოსახლეობა ცხოველებისა და, კერძოდ, შინა-
ური ფრინველების გამრავლების მიზნით ქატოსა და ნაპერწკ-
ლების გარდა, იყენებდა: სურო-კურკანტელს, ბზეს, ღომს,
სიმინდს, ქათმის ფრთას და ღორის ძვალს. ასე მაგალითად,
„ბარბალობა დღეს გურულებმა ფერსა დობა ანუ ქათ-
მის ფერს ვა იცოდნენ: მოიწვევდნენ „კაი ფეხის“ მეზო-
ბელს და სახლში ღომის ან სიმინდის მარცვლებსა და სურო-
კურკანტელს მოაყრევინებდნენ. ხალხს ლრმად სწამდა, რომ
„თუ კაი ფეხის კაცმა გინდა ქალმა გიფერხა ქათმი ბარბალო-
ბას, იმ წელიწადს ყოლიფერი კაი და ბევრი იქნება შენსასო“¹.

მსგავს ჩვეულებას რაჭველებიც ბარბალობა დღეს ასრუ-
ლებდნენ. ამის შესახებ დღეობის აღწერილობაში შემდეგს
ვკითხულობთ: „ბარბალობას ოჯახის უფროსი ქალი ადგება
უველაზე აღრე, დაანთებს ცეცხლს, შემდეგ გავა გარეთ და
საბძლიოდან კალთით შინ შეიტანს ბზეს, რომელსაც სახლში
შესვლისთანავე ხელით მიმოაბნევს სოხანეზე და თან იძახის:
„ჩიე, ჩიე, ჩიე, ვარია და ყვინჩილე, ვარია და ყვინჩილე“.
მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლიათ ლოგინიდან წამოდგომა
ოჯახის დანარჩენ წევრებს“².

იმერული ქათმის ფერხვა კი შემდეგი სახისა ყოფილა:
„მწარე კვახს (გოგრას) მოხაპავენ თავს; ჩაყრიან შიგ ღომის
ჩხოს (გაუცეხველ ღომს) და დაამხობენ გოდორს, ან საბუ-
დარს; გოდორზე დადგება ერთი ბავშვი, დაიწყებს წალმა ტრი-
ალს და კრუსუნს; ბავშვს ხელში უჭირავს ქათმის კვერცხი;
კოდრის წინ გდია მიწაზე ღომის ჩხოიანი კვახი, გოდრის გარ-
შემო უვლიან ბავშვები, რომლებიც „ჰუჭულებივით წიაქო-
ბენ“ (წიწილებივით წივიან). ბავშვი სამჯერ მოტრიალდება
კოდორზე, მერე გაიმართება წელში და იტყვის: „ღმერთ.

¹ ვ. ბარბალე ი. ქართველთა უძველესი სარწმუნეობის ის-
ტორიიდან (ლვთაება ბარბარ-ბაბარ), თბილისი, 1941, გვ. 34.

² ვ. გარბაზნაძე რაჭველი დღეობები, ისტორიის ინსტიტუტის
კონვენციის განყოფილება.



ასე გამრავლე ჩვენსას ჭუჭულები და ქათმები". ამის შემთხვევაში და გოდრიდან გადმოხტომა ერთია; დაპერავს ფეხს კვახს და ღომის ჩხო აქეთ-იქით გაიფანტება. მაგრამ თუ ბავშვმა კვახს ფეხი დააცილა, ძლიერ გაუჯავრდებიან"¹. ამ მოქმედების მიზანდასახულობა სავსებით აშკარაა. უდაოდ, მოსახლეობას სწამდა, რომ გაფანტული ღომის მარცვალთა რაოდენობისაგან დამკიდებულია ოჯახში ჭუჭულებისა და ქათმების სიმრავლე.

რაჭაში, როგორც აღნიშნული გვქონდა, ქათმების გამრავლების მიზნით ქათმის ფრთასაც იყენებდნენ. ეს ხდებოდა, სახელობრ, უძლების კვირაში, ხუთშაბათს „ჯიჯიობის“, ანუ „მარიშენობის“ რიტუალის შესრულების დროს, რომელსაც ალ. ბარამიძე შემდეგნაირად აგვიწერს: „ქათმების ლოცვა უძლების კვირაშია. ხუთშაბათს დღეს გამოაცხობენ განატეხს, დააჭრელებენ შეკრული ქათმის ფრთით და იტყვიან: „ჯია, ჯია, ამტელი წიწილები“. როცა გამოცვება, მივლენ საქათმესთან, იწყებენ ლოცვას ქათმების გამრავლებისათვის და განატეხს შესჭამენ იქვე².

აღნიშნული საგნების (ქატოს, ღომის სურო-კურკანტიყლის) გამოყენება შინაური ცხოველების გამრავლებისათვის განკუთვნილ წეს-ჩვეულებათა შესრულების დროს მარტო იმით კი არ იყო შეპირობებული, რომ მათი მეოხებით განხორციელებული მოქმედება სქესობრივი აქტისა და შინაური ცხოველების მასიური გაჩენის შთაბეჭდილებას ქმნიდა, არამედ იმითაც, რომ ეს უკანასკნელი სიწმინდის, ანუ მაგიურ-რელიგიური ატრიბუტების მატარებელ ობიექტებად იყო მიჩნეული³.

¹ დ. ავალ იანი, სოფ. ქვიტირი, აკაკის თვიური კრებული.

² ა. ბარამიძე, ს. ბოსტანა, აკაკის თვიური კრებული, 1899, № 17, განკ. II, გვ. 12 — 13.

³ ქატოს სიწმინდე ასოცირებული იყო პურის სიწმინდესთან, საზოგადოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი მარცვლეული და მისგან მიღებული პროდუქტი წმინდა საგნად იყო მიჩნეული. წმინდათ იყო მიჩნეული ავრეთვე ბზეც, ვითარცა წმინდა მცენარის, პურის ლეროებისაგან მიღებული პროდუქტი. წმინდათ უნდა ყოფილიყო მიჩნეული ქათმის ფრთაც. როგორც საკულტო ფრინველის ნაწილი. განსაუთრებით დიდ მაგიურ ძალას მიაწერდა ქართველი მოსახლეობა ღორის ძვალს, ისე როგორც მის ხორცს, ქონსა და ჭავარს.

„ბოსლობის“ ცერემონიის ფალიურ დანიშნულებული უკუნის უკანასკნელი აქტი მიგვითითებს, რომელიც დღასახლის და მამასახლის შორის გამართული დღა-ლოგის ხაზზ ჩყო წარმოდგენილი. ეს დიალოგი საინტერესოა იმ მხრივ, რომ დიასახლის ყოველ შეკითხვაზე მამასახლის ოჯახის წევრების სურვილის გამომხატველ პასუხს იძლეოდა, ასე მაგალითად, თუ დიასახლისი იტყოდა: „ძროხებმა რა შემოსთვალესო“, მამასახლისი უპასუხებდა: „სახბოე მოამზადეთ და ხბოები ჩვენ ვიცითო“, ან თუ დიასახლისი იტყოდა: „ცხვრებმა რა შემოსთვალესო“, მამასახლისი უპასუხებდა: „საკრავე მოამზადეთ და კრავები ჩვენ ვიცითო“ და ა. შ. მაშასადამე, პასუხი ყოველ შეკითხვაზე წინასწარ მომზადებული იყო. ამგვარი კითხვა-პასუხის, ანუ დიალოგის მეოხებით მოსახლეობა ლამობდა შინაური ცხოველებისა და ადამიანის გამრავლებას, აშკარაა, რომ დიასახლისის შეკითხვაზე გაცემული მამასახლისის ყოველი პასუხი წარმოადგენდა მაგიური დანიშნულების შქონე სიტყვიერ ფორმულას, რომელიც გამოსახავდა სუბიექტის გარკვეულ სურვილს, მის უტილიტარულ მიზნებს: გამრავლებულიყო ოჯახში, ხარი, ძროხა, ცხვარი, ღორი, ქათამი და ა. შ.

„ბოსლობა“ დღეს ადამიანის, საქონლის და შინაური ფრინველის, გამრავლებისა და უხვი მოსავლის მიღების მიზნით რაჭველები გარდა გადოქტრულ მოქმედებათა შესრულებისა. სათანადო ღვთაებებს შესაწირავებს მიუძღვნიდნენ და მიმართვდნენ ლოცვა-ვედრებით.

შესაწირავებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აწყობდნენ გობზე, ცხრილზე ან ხონჩაზე¹. ეს ჩვეულება ნაყოფიერებასა და ოჯახის ბარაქიანობის კულტს ყველასათვის თვალსაჩინო ფორმაში ისახავდა. თავისთვად შესაწირავები: ქონით შეზავებული და გაპოხილი სართვიანი „განატეხები“, ჩვეულებრივი

1 მეგრელებიც „საბოსლობო“ შესაწირავებს ხონჩაზე აწყობდნენ. ეს შესაწირავები მხოლოდ კვერების სახით იყო წარმოდგენილი. ყოველ საქონელზე ორ-ორი კვერი ცხვებოდა. ს. მაკალათია. სამეგ. ისტ. და ეთნოგრ. თბ., 1941, გვ. 316.



სახის შქონე ლობიანი და ქონიანი პურები, ბაჭულები, ფორმაზავა
გოჭი, ხორცი, ღვინო და მით უფრო ამ შესაწირავების და
ტვერთული გობი ან ხონჩა ნაყოფიერების სიმბოლოს: წარმო-
ადგენდა: ადგილობრივ მოსახლეობას სწამდა, რომ ამ შესაწი-
რავების სიუხვისაგანაა დამოკიდებული როგორც ადამიანისა
და შინაური ცხოველების სიმრავლე, ისე ჭირნანულისა და
სხვა პროდუქტების სიუხვე ოჯახში.

თუ გავითვალისწინებთ, რომ „საბოსლობო“ შესაწირავებს
ადგილობრივი მოსახლეობა მსგავს მაგიურ ატრიბუტებს მია-
წერდა და მათ არსებითად ერთი და იგივე დანიშნულების
შქონე „მონათესავე“ საგნებად მიიჩნევდა, მაშინ მით უფრო
აშკარა განდება, თუ რა კონკრეტული მიზანდასახულობა
ჰქონდა იღნიშნული შესაწირავების ერთად თავმოყრის გობზე
ან „საბოსლობო“ ხონჩაზე. შეიძლება გადაწყვეტით ითქვას,
რომ ეს მოქმედება ნაყოფიერებისა და ბარაქიანობის გამო-
მწვევი ძალის გაძლიერების ემსახურებოდა, ვინაიდან ნაგუ-
ლისხმევი იყო, რომ მსგავსი მაგიური ნიშანთვისებების შქონე
საგნებს კონტაქტისა და ახლომდებარეობის მეოხებით უძლი-
ერდებათ დადებითი მაგიური ზემოქმედების ძალა, ხოლო
არამსგავსი, ანუ საწინააღმდეგო ნიშანთვისებების შქონე
საგნებს კი უსუსტდებთ.

მეტად საგულისხმოა, რომ შესაწირავების გობზე ან ხონ-
ჩაზე თავმოყრის ჩვეულება არ წარმოადგენს მარტო „ბოსლო-
ბის“ დამახსიათებელ ატრიბუტს. მას ჩვენ ქართულ-ხალხურ
ახალწელიწალშიაც ვადასტურებთ, როგორც მის ორგანულ
ნაწილს.

იმ საახალწლო შესაწირავებიდან, რომელთაც რაჭველება
გობზე ან ცხრილზე აწყობდნენ ახალწლის წინადღით, აღსა-
ნიშნავია: ღორის თავი, დიდი ყველიანი „განატეხი“, „კაც-
ბასილები“, „ჩიჩილაკი“, ხილი, ტკბილეულება, ვერცხლის
ფულები და სხვა. ყველაფერი ეს ბეღელში შეჰქონდათ და
ერთ ხელადა საუკეთესო ღვინოსაც გვერდზე მიუდგამდნენ!

¹ ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ რაჭველები
საახალწლო ან „საბოსლობო“ შესაწირავებს მაინცადამაიც ცხრილზე,

გურიაში საახალწლო შესაწირავებს — ღორის თავს, ურთ დოქტ ლვინოს და სხვა კალათაში სდებდნენ და მასზე ანთებულ სანთლებს მიაკრავდნენ. ამ სავსე კალათას ათავსებდნენ სახლის იმ ადგილზე, სადაც ახალწელიწად დილას ქალები ლოცვას აღავლენდნენ.

ქართლში საახალწლო შესაწირავებით, ანუ სანოვაგით სავსე ტაბლის „აბრამიანი“ ეწოდებოდა. აი, როგორ აგვიწერს მას ნ. ხიზანაშვილი: „ქერას წინ ხონჩით აბრამიანი სდგას. ხონჩიზედ აწყვია ღორის თავი, მრგვლად მოხარული დედალი, ხელადა ლვინო... ოჯახის უფროსი ყველას პატივობს, თოთოეულს ოჯახიშვილს უზიარებს აბრამიანს, მაგრამ იქნებ არც კი იცი რა არის ეს აბრამიანი?

აბრამიანი გახლავთ სხვადასხვა სანოვაგით შემკული ტაბლა. გლეხს სწამს, რომ საახალწლო ნატვრა შესრულდება, ამიტომ ყველას ულოცავს დღესასწაულს, კაციდან დაწყებული საქონლამდე. მისალოცად საჭიროა კიდევ ტკბილეულობა, ხილეულობა, ბეღის კვერები... წინა დღეს ყველას ბეღის კვერი უნდა გამოუცხონ, საქონელსაც კი. ბეღის კვერი სხვადასხვა სახისაა, მაგალითად, მუშა საქონლისათვის გამოაცხობენ უღლის მსგავს კვერს, ძროხისათვის პურის ძუძუს, მენამგლისათვის ნამგალა-პურს, გუთნისდედისათვის პურის გუთანს. უეჭველად უნდა გამოაცხონ ბასილა, კაცის სახის კვერი და გულზე ჯვარი გამოუსახონ. გასუქებული ტახი ხომ აუცილებლად უნდა დაკლან. „დასაბერებლად“ ჯამ-

გობზე ან ხონჩაზე აწყობდნენ. ალბათ, ფიქრობდნენ, რომ ცხრილზე, ისე როგორც გობზე ან ხონჩაზე, შესაწირავების დაწყობას შეუძლია გამოიწვიოს ის, რომ ერთი წლისგანმავლობაში ცხრილზე მეტი მარცვალი გაიცხრილება, გობზე მეტი ფქვილი მოიცომება, ხონჩაზე მეტი ხორავი დაიდება. მაშასადამე, ამათ გამოყენების რიტუალური წესების შესრულების დროს უშუალო კავშირი უნდა ჰქონდა ოჯახის ბარაქიანობის ზრდის მაგიურ კონცეპციასთან. ალბათ, ადგილობრივი მოსახლეობა აღნიშნულ საგნებს საბოსლობო ან საახალწლო შესაწირავების დამოუკიდებლადაც მიაწერდა ჭირნახულისა და ხორავის გამრავლების უნარს, ვინაიდან მუდამ ცხრილზე მარცვალი იცხრილებოდა, გობზე პური იცომებოდა, ხოლო ხონჩაზე ხორავი ლაგლებოდა.

ში თაფლს ჩაასხამენ და თაფლში კიდევ ყველასათვის თო
თო ლუქმა პურია ამოვლებული. ამ ლუქმით უნდა „დაწერეთ რომ“ ყველა ოჯახიშვილი. წარმოიდგინე, რომ ყველა ეს სა-
ნოვაგე და ბევრი სხვაც ხონჩაზედ აწყვია, ხონჩის შუა ღორის
თავი ძევს და თვითონ დატვირთულს ხონჩას გარშემო წმინ-
და სანთლები უნთია, — აი ეს არის აბრამიანი“...¹

არა ნაკლებ ორიგინალური იყო ფშაური საახალწლო
ხონჩა, რომელსაც დიასახლისი კარის ზღურბლთან მექვლეს
მიაგებებდა ხოლმე. მასზე ჩვეულებრივად ალაგებდნენ: ხილს,
ხარის გოგას (საახალწლო „ბედის კვერი“). თაფლიან ჯამს,
პურს, ყველს, ხინკლებს, თეთრ მატყულს და სხვ.²

იმისათვის, რომ „საბოსლობო“ შესაწირავების მავიური
ძალა საქონელზედაც გადასულიყო, ოჯახის უფროსი კაცი შე-
საწირავებით სავსე გობს თავზე შემოავლებდა ყოველ ხარს,
ძროხასა და ხბოს.

„ბოსლობა“ დღეს შესაწირავები მიეძღვნებოდა არა მარ-
ტო საქონლის, არამედ დედამიწის ღვთაებასაც.

დედამიწის ღვთაებისადმი შესაწირავების მიძღვნის ჩვეუ-
ლება საგანგებოდ მიწის მოსავლიანობის დასაბევებლად იყო
განკუთხნილი და იგი ვენახში სრულდებოდა. ღვინის უხვი
მოსავლისათვის დედამიწის ღვთაებას „ვაზის განატეხი“ და
ერთი ხელადა ღვინო ეწირებოდა, ხორბლის უხვი მოსავლი-
სათვის — პურის „კორომი“ („კოროლი“), რომელსაც სარ-
ზე ჩამოაცობდნენ ხოლმე.

შეწირულ, ანუ საზედაშე ღვინოს ვაზის ძირში მიუქ-
ცევდნენ, რაც ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამო-
წებული „მიწის გაჯერიების“ ჩვეულების საკმაოდ ორიგინა-
ლურ ვარიანტს წარმოადგენს. ამ ჯადოქრული ჩვეულების
მეოხებით რაჭველი მეურნე ღვინის უხვი მოსავლის მიღე-
ბას ლამობდა, რომელიც, მისი აზრით, მიწის ღვთაებისგან ან
ღვთაებად წარმოდგენილი მიწის ნაყოფიერებისაგან იყო და-
მოკიდებული.

¹ 6. ხიზანიშვილი. ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940 წ.,
გვ. 147.

² 6. გაკალათია, ფშავი, ტფ., 1944, გვ. 161.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ დედამიწის ფლონიჭული „კოროლად“ წოდებული თავთავიანი პურის ღეროშის ღული ნოსთან ერთად ვენახში მიეძღვნებოდა და არა ყანაში. ეს შესაძლებელია იმის გამო ხდებოდა, რომ მიწისა და ცა-ლრუბელთა (ტაროსის) ღვთაებასთან დაკავშირებული საკმაოდ რთული რიტუალი აუცილებლად ვენახში უნდა შესრულებულიყო, იმ განსაკუთრებული ეკონომიკური მნიშვნელობის გამო, რომელიც მევენახეობას ჰქონდა მინიჭებული რაჭის ვენახიან ზონაში მოქცეულ სოფლებში და, მაშასადამე, ყანაში ცალკე რიტუალის შესრულება საჭირო აღარ უნდა ყოფილიყო.

„ბოსლობა“ დღეს საქონლის გამრავლების და უხვი მოსავლის მიღების მიზნით რაჭელები ლოცვა-ვედრებასაც იყენებდნენ. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ლოცვის რამდენამე ნიმუშს: 1) „ღმერთო, ამრავლე ჩვენი საქონელი“, 2) „ღმერთო, აქანა ოთხფეხს ნუ გამოლევ“, 3) „ღმერთო, ნუ მრავლებ შენს წყალობას მიწის მუშას და მის ოჯახს“.

„ბოსლობის“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენდა საქონლის გასუქების მიზნით შესრულებული მოქმედება. ამ მოქმედებას რაჭელი გლეხი ახორციელებდა რიტუალური საგნებისა და მაგიური ფორმულების საშუალებით.

რიტუალური საგნების ხსენებული მიზნით გამოყენების ერთ-ერთ ნიმუშს წარმოადგენს „საბოსლობო“ შესაწირავების საქონლის თავზე შემოვლება, რომელიც აგრეთვე საქონლას გამრავლებისა და დაცვის საქმეს ემსახურებოდა.

რაჭელები შესაწირავებიდან სიმსუქნის გამოწვევის უნარს განსაკუთრებით ღორის ქონსა და ქათმის კვერცხს მიაწერდნენ. კერძოდ, ღორის ქონზე ამგვარ რწმენას ცხადად ავლენდა ის ფაქტი, რომ ზემო რაჭის ზოგიერთ სოფლებში ოჯახის უფროსი კაცი რიტუალის შესრულების დროს საქონელს შებლზე და ზურგ-გავაზე ქონიან ღორის ნაჭერს უსვამდა და თან შემდეგ სიტყვებს ამბობდა: „სუქდებოდე, კეთდებოდე, ნადირს მოერიდებოდე“, „დათვი მჭლე და შენ სუქანი“ (სამჯერ იტყოდა).

კვერცხს, ისევე როგორც ქონს, ოჯახის უფროსი საქო-



ნელს ტანზე გადაუსვამდა. ასევე იქცეოდა ქართლში უფრო მარტივი უფროსი კაცი ახალწელიშად დილასი. ადგილობრივ მოსახლეობას სწამდა, რომ ამ აქტის მეოხებით კვერცხი თავის თვისებებს — სიმრგვალეს, სისავსეს და სითეთრეს გადასცემს ცხოველის სხეულს, რის შედეგად იგი „ხორცს შეიბამს“, ე. ი. გასუქდება და გახდება ისევე მრგვალი, როგორც კვერცხი. როგორც უკვე ოღნიშნული გვაქვს, ამ შემთხვევაში კვერცხის სიმრგვალე და სითეთრე ასოცირებული იყო ცხოველის სიმრგვალესა და მისი ქონის სითეთრესთან, რასაც აშკარად ადასტურებს აქტის შესრულების დროს წარმოთქმული შემდეგი სიტყვები: „გაიზარდეთ, გაიზარდეთ და გახდით, ისე სავსე, როგორც ეს კვერცხიაო“, „ასე გამრგვალდი“, „დათვი მჭლე და შენ მსუქანი, ასე თეორად გასუქდები“, „ასე სუქდებოდეთ, ასე კეთდებოდეთ, აგცილდეთ ჭირი და ყოველივე ტკივილი“.

აშკარაა, რომ ამ სიტყვების, ანუ მაგიური ფორმულების დანიშნულებას ფიზიკური მეთოდით განხორციელებული მაგიური აქტის ეფუძნება გაძლიერება შეადგენდა.

ზემოთქმულის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ განხილული აქტი კონტაგიოზური და მიმბაძველობითი მაგის გამოულენას წარმოადგენს.

როგორც აღნიშნული გვქონდა, ოჯახის უფროსი ზოგჯერ საქონელს კვერცხის ნაცვლად სალეს ქვას (ქვასანაყს) გადაუსვამდა ტანზე და თან ეტყოდა: „სალა, სალა, სალა, ასე სალე სივით იყოს ჩემი ხარებიო“. აშკარაა, რომ ეს მოქმედებაც კონტაგიოზური და მიმბაძველობითი მაგის პრინციპზე იყო დაფუძნებული.

როგორც აღნიშნული გვაქვს, ბოსლობის ძირითად დანიშნულებას, გარდა საქონლის გამრავლებისა, მათი ავი ძალებისა, ავადმყოფობისა და ყოველგვარი ხიფათისაგან დაცვა შეადგენდა. დღეობის ამგვარ დანიშნულებაზე ცხადად მიგვითოვებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ოჯახის უფროსი კაცი ქვარსახიან განატეხს საუკეთესო ხარს თავზე შემოავლებდა და ასე



შეულოცავდა: „საქონლის ანგელოზო, ააშორ ე ჩვენს ცხოვა
ქონელს ყველაფერი გაჭირვება, სახადი და შრომი-
რიო“. ზოგჯერ განატენს ოჯახის უფროსი ხარის რქებზე
ჯვრულად გადაამტვრევდა და იტყოდა: „გფარავდეს ჯვრის
ძალიო“.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ საბოსლობო შესაწირა-
ვებით სავსე გობის საქონლის თავზე შემოტარების ჩვეულე-
ბაც მათი (საქონლის) ავი ძალებისა და - ავადმყოფობისაგან
დაცვის საქმეს ემსახურებოდა. შესაძლებელია საქონლისა და,
კერძოდ, ხარების დაცვის მიზნითვე სრულდებოდა მათი რქე-
ბის ღორის ქონით გაპოხვის ჩვეულებაც.

შესაწირავების საქონლის თავზე შემოვლების ჩვეულებას
ბოსლობა დღეს ლეჩხუმელებიც იცავდნენ. „დალამებისას, —
გვაუწყებს გარ და ფხადე — სანამ ვახშამს დაიწყებდნენ,
უფრო მამაცი და შეძლებული ვაუკაცი წაილებდა ხარების სა-
ლოც ტაბლებს, ერთ ჭიქა ღვინოს, იმდენ უმ კვერცხს, რამდე-
ნი ხარიც იყო თჯახში და ანთებულ სანთელს ბოსელში მიი-
ტანდა მუშა ხართან, რამდენიც არ უნდა ჰყოლოდა ხარები,
ყველას წალმა შემოავლებდა თავზე და ასე იტყოდა: „მუშა
ხარის გამჩენო, მიმყოფე კარგად ჩემი ხარები, ნუ რაფერს
გაუჭირვებ, დეიფარე ჭირისა გან, ყოველი ფათე-
რაკისა გან, ამყოფე ჯანზე და ღონეზე“¹.

ოჯახის ბოროტი ძალების და ფათერაკისაგან თავდასაცა-
ვად ლეჩხუმში „ბოსლობა“ დღეს შემდეგი წესიც სრულდე-
ბოდა: „კაცი რომ ხარებს ულოცავდა, იმავე ღრის უფროსი
ქალი საოჯახო ტაბლებს გობზე დააწყობდა, სანთელს აა-
თებდა, ღვინოს ჭიქით გობშივე ჩადგამდა, ამ გობს კერიას-
თან მარჯვნივ — წალმა შეატრიალებდა“² და ილოცებოდა:
„ღმერთო და გამჩენო ძალა, ჩემი ოჯახი მიმყოფე გარ გად,
ჯანიერად, დეიფარე ჩემი ქმარ-შვილი ბოროტისაგან“, ღვი-
ნოს დალევდა, ბოლომდე დასცლიდა, ჭიქას დააპირქვავებდა
და იტყოდა: „როგორც ეს დავცალე, ისე გაჭირვები -

¹ ფ. გარ და ფხადე. ლეჩხუმური ხალხური დღეობები, 1937, 83.
36. ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განკ.

საგან დასცალე და დეიფარე ჩემი ოჯახის-ო.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ კვერცხს რაჭველები „ბოსლობა“ დღეს საქონლის გასუქების მიზნით ტანზე უსვამდნენ. მაგრამ ირკვევა, რომ ამ მოქმედების მიზანდასახულობას საქონლის ავადმყოფობისა, ნადირისა და ბოროტი ძალებისაგან დაცვაც შეადგენდა. მაზე აშკარად მიუთითებს ის სიტყვები, რომლებსაც ოჯახის უფროსი ამ მოქმედების შესრულების დროს წარმოთქვამდა: „გამრავლოს, გაშოროს ნადირი და სხვა ჭირი“.

როგორც ვხედავთ, საქონლის დასაცავად რაჭველები, გარდა შესაწირავების მიძღვნისა, მაგიური აქტებისა და ფორმულებისა, იყენებდნენ ლოცვა-ვედრებასაც. დამატებით მოვიტან რამდენიმე ნიმუშს: 1) „ღმერთო შენ ააშორე ჩევნს საქონელს ჭრი ჭინა, თუ რქული და ასე, კვერცხი ვით ამყოფე მთელი წელიწადი“, 2) „ასე კვერცხის გულივით ყოფილა ჩემი საქონელი“, 3) „ხარები კარგად გვეყოლოს კარგი ბლავილი იცოდეთ“, 4) „ღმერთო, ამრავლე ჩევნი საქონელი, არიდე ჭირი და სხვა უბედურება“, 5) „ღმერთო, დაიფარე, ამრავლე ჩევნი საქონელი“.

ამგვარ ლოცვა-ვედრებას საბოსლობო წესჩვეულებათა კომპლექსში მაგიური აქტებისაგან და შესაწირავთა მიძღვნისაგან დამოუკიდებელი მნიშვნელობა თითქმის არ გააჩნდა, ვინაიდან იგი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხსენებული აქტების დამატებას წარმოადგენდა და; მაშასადამე, მიზნის განხორციელების მთავარ საშუალებად არ ითვლებოდა.

რაჭველები „ბოსლობა“ დღეს ლოცვა-ვედრებას იყენებდნენ აგრეთვე იმისათვის, რომ დაეცვათ ყანა-ვენახები ელვაჭექისა და კოხისაგან, ვაზი და მისი ნაყოფი სხვადასხვა დაავადებისაგან. ასე, მაგალითად, სოფ. ბარეულში ხსენებულ დღეს ვენახში მყოფი ოჯახის უფროსი მაგიური რიტუალის შესრულების შემდეგ „ღრუბელთა ბატონს“, თუ „წინამძღვარს“ ასე შეევედრებოდა: „ელია, ღრუბელთა წინამძღვარო,

¹ ფ. გარდაფხაძე. დასახლებული ნაშრომი, გვ. 36.



აშორე ჩვენს ვენახებს ელვა-ჭექა და ყურძნის ტევნების გამოცდა
რის მოყრაო¹.

ჩვენი ნაშრომის II თავში ნათქვამია, რომ საქონლისა და
შინაური ცხოველების გამრავლების ერთ-ერთ საშუალებად
რაკველები წყალში დასველებულ ქატოს იყენებდნენ, რო-
მელსაც ოჯახის რომელიმე წევრი რიტუალის მონაწილეებს
გულზე და სახეზე აყრიდა, მაგრამ ადგილზე მუშაობის დროს
დადასტურდა, რომ ამ ჩვეულების მიზანდასახულობას აღნიშ-
ნულის გარდა ავი, ანუ მაცდური სულებისაგან თავდაცვა
შეადგენდა.

საზოგადოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ქადოქრული წე-
სების შესრულების დროს წმინდა და შელოცვილ (მოჯადოე-
ბული) ნივთიერებათა საქონელზე ან ადამიანზე მიყრა-სხურე-
ბა და განსაზღვრულ არეში მიმობნევა ფართოდ იყო გავრცე-
ლებული ქართველ მოსახლეობაში და მას იყენებდნენ რო-
გორც დადებითი, ისე უარყოფითი მოვლენების გასახორციე-
ლებლად. ასე მაგალითად, „ბარბალობა“ ან ახალწელიწად
დღეს ქართველი დიასახლისი ფეტვს იატყაზე მიმოაბნევდა იმი-
სათვის, რომ შინაური ფრინველების გამრავლება გამოეწვია,
მაგრამ ამავე დროს ხალხს სწამდა, რომ იმავე ფეტვის სა-
შუალებით, თუ იგი მოჯადოებული იყო, ბოროტგანმზრახ-
ველს საქონლის ან ადამიანისათვის შეიძლება რაიმე ევნო.
ფეტვზე ასეთი შეხედულება სხვათაშორის ასახულია ხალხურ
„ეთერიანში“. ამ თქმულების თანახმად, ვეზირმა მურმანმა მე-
ფის ვაჟის, აბესალომის ცოლს—ეთერს მოჯადოებული ფეტვი
შეაყარა, რის შედეგად მას (ეთერს) ტანზე აუარებელი კბე-
ნარი გაუჩნდა, რომელსაც ვერავითარი საშუალებით ვერ
აშორებდნენ.

განხილული აქტების ანალიზის საფუძველზე საბოლოოდ
დასტურდება, რომ „ბოსლობის“ წესჩვეულებები მართლაც,
ადამიანის, შინაური ცხოველების და მცენარეულის გამრავ-
ლების, განაყოფიერების და დაცვის საქმეს ემსახურებოდა.
მაგრამ ამ დღეობის თავისებურება მარტო ამით არ ამოიწუ-

¹ „ნაცარი“ ყურძნის ერთგვარ დაავადებას ეწოდება რაჭაში.

რება; მასში გარდა განხილულისა, ისეთ აქტებსაც ვაღდეს რებობის, რომლებიც ადამიანის უზენაეს ღვთაებებთან თანაზიანების, მათთან დანათესავების მისწრაფებას გამოსახავს.

ამგვარი აქტებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია საბოსლობო „განატეხის“ ან „განატეხების“, „ბოსლობის“ მონაწილეთა შორის განატილება და მათი ბოსელში ჭამა. ირკვევა, რომ „საბოსლობო“ „განატეხები“ გაიგივებული იყო მოსავლიანობის, ადამიანის, შინაური ცხოველების და ფრინველების გამამრავლებელ და მფარველ ღვთაებათა სხეულთან და, მაშასადამე, მათი შეჭმა მორწმუნესათვის ღვთაებათა სხეულის შეჭმას მოასწავებდა. ამგვარი მოქმედების მეოხებით ადამიანი ლამობდა, რომ ღვთაებათა დამახსაიათებელი ატრიბუტები — უზენაესი „სიწმინდე“ და ზებუნებრივი მაგიური ძალა მასზე გადასულიყო. მას ლრმად სწამდა, რომ ამის შემდეგ იგი წარმატებით შეასრულებდა ყოველგვარ საქმეს, შეუვალი გახდებოდა მავნე ძალებისაგან და ა. შ.

მეტად საგულისხმოა, რომ „განატეხის“ ოჯახის წევრებს შორის განატილება და მისი საიდუმლოდ შეჭმის წესი რაჭული შობა-ახალიწელიწადის დამახსაიათებელ ნიშანსაც წარმოადგენდა. ასე, მაგალითად, რაჭველი დიასახლისი ახალწელიწად დილას ყველიან დიდ საახალწლო „განატეხს“ იქნენ თანაბარ ულუფად ანატილებდა, რამდენი წევრიც იყო ოჯახში¹ და მათ კერიას წინ შეექცეოდნენ. ასევე ნაწილდებოდა და იჭმებოდა ის განატეხიც შობის მეორე დღეს, რომელსაც „ბზის“, ანუ „ბზის დედა“ ეწოდებოდა. წესის თანახმად, ამ „განატეხის“ ულუფა ოჯახიდან გასულ გათხოვილ ქალსაც აუცილებლად უნდა შეხვედროდა. „განატეხის“ განატილების ამგვარი წესის მეოხებით ადგილობრივი მოსახლეობა ცდილობდა, რომ მისი ღვთაებრივი ძალა და თვისებები გადასულიყო ოჯახის ყოველი წევრის სხეულში თანაბარი ოდენობით.

¹ „საბოსლობო“ განატეხი კი მხოლოდ ოჯახის იმ წევრებს შორის ნაწილდებოდა, რომელიც ბოსლობის რიტუალის მთავარ აქტის შესრულებაში იღებდნენ მონატილეობას.

თავი 80 თხ60

პლავეთხები

„საბოსლობო“ აღკვეთების მიზანდასახულებას, როგორც
 ჩვენს განკარგულებაში მყოფი მასალის საფუძველზე ირკვევა,
 საქონლის, შინაური ფრინველების, ოჯა-
 ხის წევრებისა და ყანავენახების ყოველ-
 გვარი საფრთხისაგან დაცვა. შეადგენდა.

ეს აღკვეთები არსებითად სამი სახისა იყო, რომელთაგან
 ერთი დაკავშირებული იყო ადამიანის საკვებ პროდუქტებთან,
 მეორე — შრომის პროცესებთან, ხოლო მესამე — სხვა ხა-
 სიათის ზოგიერთ მოქმედებასთან.

ადამიანის საკვებ პროდუქტებთან, ანუ
 აჭმელ-სასმელთან დაკავშირებული იყო ადამიანის თმობას, ანუ მარხულო-
 ბას განსაზღვრული დროის განმავლობაში.

ირკვევა, რომ ეს წესი, თუ უფრო ადრე არა, XIX ს. შუა
 წლებიდან რაჭის ყველა სოფელში დაცული არ იყო და არც
 ერთნაირად სრულდებოდა.

ასე მაგალითად, გ. ჯაფარიძის 1896 წლის ცნობის თა-
 ნახმად, რაჭის რიგ სოფლებში „ბოსლობა“ დღეს, დილიდან
 სალამონდე, მხოლოდ მამრობითი სქესის ბავშვები მარხუ-
 ლობდნენ, არც სჭამდნენ რაიმეს და არც სვამდნენ, როგორც
 ხალხი ამბობდა, „ნერწყვის მეტს ვერაფერს გადაყლაპავდნენ“.

ვ. პერევალენკოს ცნობით, „ბოსლობა“ დღეს მარხუ-
 ლობდა ოჯახის უფროსი შვილი, რომელიც საქონლის მოვლა-
 პატრონობის საქმეს განავებდა. სოფელ ხვანჭერაში „საბოს-
 ლობო“ მარხვას უფროსი ქალები ინახავდნენ.

უნდა ვივარაუდოთ, რომ თავდაპირველად „საბოსლობო“ მარხულობის წესს იცავდნენ რაჭის ყოველ სოფელში და იგი, გარდა განსაზღვრულ ასაკს მიუღწეველი ბავშვებისა და ავად-მყოფებისა, სავალდებულო იყო ოჯახის ყოველი წევრისათვის. ჩვენს ვარაუდს სავსებით უნდა ამართლებდეს შემდეგი არგუ-მენტები:

1. შეუძლებელია, რომ რაჭველ მოსახლეობაში, როგორც საქმაოდ მცირე ეთნიკურ წრეში, ერთი და იმავე ხასიათისა და დანიშნულების მქონე დღეობასთან დაკავშირებით თავიდანვე შემუშავებულიყო საჭმელ-სასმელის თმობის არაერთგვაროვანი წესი.

2. „ბოსლობას“ ისეთი დანიშნულება გააჩნდა, რომელიც უშალოდ დაკავშირებული იყო ოჯახის მთელი შემადგენლობის საარსებო ინტერესებთან. მაშასადამე, ამ დღეობასთან დაკავშირებით საჭმელ-სასმელის თმობა, როგორც კოლექტივის მიზნის განხორციელების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა, სავალდებულო უნდა ყოფილიყო რიტუალში მონაწილე ოჯახის ყოველი წევრისათვის.

3. პირველყოფილ ხალხთა ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებული მრავალი ფაქტის საფუძველზე აშკარად მტკიცდება, რომ თავდაპირველად „ბოსლობის“ მსგავს მნიშვნელოვან დღეობებთან დაკავშირებით საჭმელ-სასმელის თმობა სავალდებულო იყო გარკვეული კოლექტივის ყოველ წევრისათვის. გამონაკლისი შეიძლება დაშვებულიყო მხოლოდ იმ მხრივ, რომ ავადმყოფებს, სუსტი ჯანმრთელობის მქონე პირებს, განსაზღვრულ ასაკს მიუღწეველ ბავშვებს და ზოგჯერ ქალებსაც ნება ეძლეოდათ სამარხეო დღეებში ხანგამოშვებით ეთმოთ საჭმელ-სასმელი.

თუმცა ირკვევა, რომ „ბოსლობასთან“ დაკავშირებით საჭმელ-სასმელის თმობის წესი დროთა ვითარებაში შეცვლილა. დაუკარგავს თავდაპირველი სიმკაცრე და რაჭის რიგ სოფლებში სავსებით აღმოფხვრილა, მაგრამ რაჭველი მოსახლეობის ერთ ნაწილში კიდევ დიდხანს ცოცხლობდა რწმენა, რომ გარკვეული პირების თუ პირის მიერ ამ წესის არშესრულება სანიჭათოა.



ხსენებული წესის ცვლილება და მისი მოსპობა არა გვიჩვლია
რიგში და უმთავრესად ქრისტიანობის, რომელიც ჩვენში
მძღვრად ფეხმოკიდებული რელიგია იყო, ზეგავლენით უნდა
მომხდარიყო. გადამწყვერი მნიშვნელობა ამ შემთხვევაში იშ
ფაქტს უნდა ჰქონდა, რომ საკულტო კალენდრის მიხედვით
ბოსლობა ორც დღესასწაული იყო და ორც სამარხვო დღე.

საგულისხმოა, რომ საჭმელ-სასმლის თმობის, ანუ მარხუ-
ლობის წესს ვადასტურებთ არა მარტო რაჭულ ბოსლობასთან,
არამედ საქონლის კულტის ამსახველ სხვა ქართულ დღეობებ-
თან დაკავშირებითაც.

ასე, მაგალითად, რაჭაში „ბოსლობის“ წინა დღეს, ანუ ყვე-
ლიერის წინა პარასკევის, „ღორების პარასკევი“ (იგივე „კათ
პარასკევი“), ანუ „ღორების მილოცვის დღე“ ეწოდებოდა. ამ
დღეს გარკვეული სახის რიტუალს ასრულებდნენ, რომელიც
ღორების გამრავლებისა და მათი კეთილდღეობისათვის იყო
განკუთვნილი. ჯაფარიძის ცნობის თანახმად, „ღორების პა-
რის უწყობას“ უწოდებდა, ვინაიდან იგი სამარხვო დღედ ითვ-
ლებოდა ბავშვებისათვის. ამ დღეს, ისივე როგორც ბოსლობის
შემთხვევაში, ბავშვებს აღკვეთილი ჰქონდათ ჭამა-სმა დილი-
დან საღამომდე. 99 წლის ტ. ჭელიძის გადმოცემით, „ბოსლო-
ბის“ წინა დღეს სოფ. ნამანევში მხოლოდ მწყემს ბავშვს ამარ-
ხულებდნენ „ღორების გულისათვის“. საღამოს დიასახლისთ
ამ ბავშვს კვერს გამოუცხობდა და პირს აუხსნიდა. პირიქით,
რაჭის რიგ სოფლებში, როგორც ეს ვეიდენბაუ მის ცნო-
ბის საფუძველზე ირკვევა, ხსენებულ დღეს მარხვას ოჯახის
უფროსი კაცი ინახავდა (ავრეთვე დილიდან საღამომდე).

საქონლის კულტის ამსახველ ქართულ დღეობებთან და-
კავშირებული საჭმლის თმობის წესის გასათვალისწინებლად
განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სათანადო რიგის იმ უხვ
და მრავალფეროვან მასალას, რომელიც მოპოვებულია სვანე-
თის ეთნოგრაფიულ ყოფაში. ამ მასალიდან პირველ რიგში
ყურადღებას იპყრობს დღეობა ლიფკუშარში დამოწმებუ-
ლი წესჩვეულება. ლიფკუშარი ყველიერის წინა პარასკევს
ეწოდებოდა. „ამ დღეს უქმობდნენ და ასრულებდნენ გარკვეუ-



ლი სახის რიტუალს, რომელიც მოსახლეობის ჩწმენით, მომზადებით და საქონლის, საგანგებოდ ძროხის და თხის გაშრობის საწინააღმდეგოდ იყო განკუთვნილი¹.

„ლიფკური დღეს დილიდან საღამომდე ოჯახის ერთ-ერთი წევრი მიწაზე ფეხს არ დაადგამდა, ლოგინში იწვა და მსტმე იყო, ე. ი. არც სჭამდა რაიმეს და არც სვამდა. საღამოს დიასახლისი გამოაცხობდა ხაჭაპურს ან ხორცის გულიან კვერს (კუბალს) და სახლის აღმოსავლეთ კედლის მარჯვენა სარკმელთან შესწირავდა. შემდეგ შენაწირს მატმე-ს შეაჭმევდა და ამით პირს აუხსნიდა“.

მეტად საგულისხმოა, რომ სვანური „ლიფკური“ და რაჭული „ღორების“ მილოცვა ერთსა და იმავე დღეს, ყველიერის წინა პარასკევს ეწყობოდა და ორივე დღეობაში საჭმელ-სასმლის თოთქმის ერთნაირ წესს ვადასტურებთ, რაც მათი გენეტური კავშირის მაჟღავნებელია, მაგრამ ამ საკითხზე ყურადღებას არ შევაჩერებთ, რადგანაც იგი ჩვენი თემის ფარგლებს შორდება.

გარდა „ლიფკურისა“ ძროხების, სახელზე და წველის ბარაქისათვის სვანებს დაწესებული პქონდათ აგრეთვე „ფურების მარხვა“ (ფურჩე ჭიჭმ), რომელიც სული წმინდის მოძევნო ორშაბათიდან შაბათამდე გრძელდებოდა. ამ ხნის განმავლობაში აკრძალული იყო რძისა და მისი პროდუქტების ჭამა. „ამ მარხვის დამწესებლად ხალხს ლეთაება ბარბოლი მიაჩნდა“².

მესაქონლეობასთან დაკავშირებით რძისა და მისი პროდუქტების აღკვეთის ჩვეულებას მეგრელებიც იცავდნენ. მათ პირველი მაისიდან დაწყებული ერთი კვირის განმავლობაში ეკრძალებოდათ ძროხის ნაწვევლისა და მისი პროდუქტების ჭამა, ვინაიდან ეს აკრძალვა საქონლის ნადირისაგან დაცვისათვის იყო დაწესებული. დანაზოგი რძისაგან ამოყვანილ ყველს მეგრელები სპეციალური დანიშნულების მქონე კვერებში ურთავდნენ, რომელსაც ტყეში წაიღებდნენ და „ტყაში პა-

¹ ვ. ბარ დავით ძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბილისი, 1941, გვ. 10 — 11.

² იქვე, გვ. 14.

ტონ“-ს, „ტყის ბატონს“ შესწირავდნენ ხოლმე. ეს ჩვეულება ცნობილი იყო „ისკიოდობის“ სახელით¹.

გამრავლება-განაყოფიერების ამსახველ წარმართულ საკულტო ცერემონიალებში დამოწმებული სასმელ-საჭმლის თმობას წესი მარტოოდენ ქართველი ტომების ეთნოგრაფიული ყოფის მახასიათებელ ნიშანს არ წარმოადგენდა. ზოგადი ეთნოგრაფიული ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მაგიური რწმენის მქონე ადამიანი სასმელ-საჭმლის სრულ ან ნაწილობრივ თმობას, გამრავლება-განაყოფიერების, საკვების მოპოვების და მავნე ძალებისაგან დაცვის მიზნით შესრულებული ოპერაციების დროს ხშირად მიმართავდა. ასე მაგალითად, ჯემს ფრეზე გვაუწყებს: „მექსიკაში ინდიელები კაკტუსის ერთ სახეს, რომელსაც მისი საკვებად მომხმარებელი ექსტაზის მდგომარეობაში შეჰყავს, უყურებენ, როგორც ნახევრად ლოთაებას. ამ მცენარის მოპოვება არც ისე ადვილია. მამაკაცები ყოველ წელს დიდ დროს კარგავენ მის ძებნაში. ვადა, რომელიც კაკტუსის მომპოვებელ ექსპედიციას ეძლევა, 43 დღით განისაზღვრება. მთელი ამ ხნის განმავლობაში შინ დარჩენილი ქალები, რომელნიც მოწადინებულნი არიან უზრუნველყონ გარეთ გასული ქმრების მშვიდობიანობა, ჩქარ სიარულსაც კი ერიდებიან. ისინი თავის მხრით აკეთებენ ყველაფერს, რაც კი შესაძლებელია იმისათვის, რომ წარმატებით შესრულდეს კაკტუსის მოპოვების აუცილებელი პირობა“. მკაცრად იცავენ სხვადასხვა აღკვეთებს. „მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ მოეწყობოდეს კაკტუსის დღეობა, არც კაცები და არც ქალები ხელ-პირს არ იბანენ.... მარხულობა, მკაცრი უბიწოება, თმობა² მარილისა“ — აი მოთხოვნილება, რომლის დაცვა ერთხაირად სავალდებულოა ამ ხნის განმავლობაში, როგორც ქალებისა, ისე კაცებისათვის“³.

თუ რატომ უნდა ყოფილიყო აუცილებელი „ბოსლობის“ დილიდან სალამომდე საჭმელ-სასმლის აღკვეთა ოჯახის ერ-

¹ ს. მაკალათია. სამეცნიელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი, 1941, გვ. 229—230.

² Д. Ж. Фрезер, Золотая ветвь, вып. I, 1928, стр. 49.

თი, რამდენიმე ან ყველა წევრისათვის, გასაგები გახდება¹, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯერ კიდევ პირველყოფილ სამშენებლო
დოებაში შემუშავებული რწმენის თანახმად, ადამიანის
საქვებად ვარგისი ყოველი პროდუქტის
ჰამას ან სმას შეუძლია, განსაზღვრულ
შემთხვევაში, გამოიწვიოს არასასურველი
შედეგები: ადამიანის და შინაური ცხო-
ველების დაავადება, სიკვდილი, მეწველი
საქონლის გაშრობა, საქმის ცუდად წარ-
მართვა, ღვთაებათა განრისხება და ა. შ.
ამის დამადასტურებელი ფაქტები მეტად მრავალია.

ასე მაგალითად, კუნძულ ვეტარის (ახალ გვინეასა და ცე-
ლებესს შუა) მცხოვრებლებს თავიანთ წინაპრებად ლორი,
გველი, ნიანგი და კუ მიაჩნდათ. ამიტომ მათ აღკვეთილი
ჰქონდათ ამ ცხოველების ხორცის ჭამა. ამ აღკვეთის დარღვე-
ვა ადგილობრივი მოსახლეობის რწმენით იწვევდა ადამიანის
სიგუესა და კეთრით დაავადებას².

ჩრდილო ამერიკის ომას ინდიელებში, რომელთა ტოტემად
ითვლებოდა, მაგალითად, გედი, აკრძალული იყო ამ მფრინვე-
ლის ხორცის ჭამა; წინააღმდეგ შემთხვევაში მათი სხეულის
სხვადასხვა ნაწილები, ვითომც თეთრი ლაქებით ან ძირმაგარე-
ბით დაიფარებოდა. „ამავე ტომის იმ წევრებს, რომელთა ტო-
ტემად ითვლებოდა წითელი მაისი, სჭეროდათ, რომ თუ ისი-
ნი შეჭამენ წითელ მაისს, მაშინ მთელი პირის ლრუ დაუავად-
დებათ ანთებით“³.

სურინამელი ნეგრების ერთ-ერთ ტომში — ბუშებში, —
გვაუწყებს ფრეზერი — გავრცელებულია რწმენა: თუ ისი-
ნი შეჭამენ ლორის მსგავსი ცხოველის, კაპიაის ხორცს, დაავად-
დებიან კეთრით. ალბათ, ეს ცხოველი ოდესლაც მათ ტოტემად
ითვლებოდა³.

ძველი ასურელები თევზს წმინდა არსებად სოვლიდნენ, ამი-

¹ Д. Ж. Фрэзер. დასახ. ნაშრ., III, 1928, ვ. 188.

² იქვე,

³ იქვე.



ტომ მათ სწამდათ, რომ მისი ხორცის ჭამა იწვევს სულულებას და ფეხებისა და მუცლის გასივებას¹.

ქველი ეგვიპტელების ჩრდენით, ღორის რძის სმა იწვევს კეთრს. ეს გარეშოება ფრენების აზრით, გვაფიქრებინებს, რომ ღორი ოდესლაც ეგვიპტეში, ისევე როგორც ასურეთსა, პალესტინასა და წინააზიაში, საკრალურ ცხოველს წარმოადგენდა², რის გამო, როგორც მისი რძის, ისე მისი ხორცის ჭამა სასტიკად უნდა ყოფილიყო აღკვეთილი.

სვანეთში, ბალს ქვემოთ, „კაცები ვერ იგემებდნენ ორშაბათ დღეებში ამოყვანილ ყველს საზოგადოდ... ხალხის ჩრდენით ამ აღკვეთის (უწონაშ-ის) დარღვევა მაშინვე წველს დაეტყობოდა, იგი კლებულობდა, ხოლო მამაკაცს, რომელიც ნებსით თუ უნებლიერ დულ-ს იგემებდა ავიზნე (ბ ს ნ ა ბ-ი) დაემართებოდა“³.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ სამეგრელოში, პირველი მაისიდან მოყოლებული, ერთი კვირის განმავლობაში ძროხის ნაწველი და მისი პროდუქტები არავის ეჭმებოდა, ვინაიდან ეს აღკვეთა საქონლის ნადირისაგან დაცვის სახელზე იყო განკუთვნილი, ის, ვინც ამ ჩვეულებას დაარღვევდა, ე. ი. „ტყის ბატონისათვის“ განკუთვნილ ნაწველს და ყველს არ დაზოგავდა, მის საქონელს, მეგრელების ჩრდენით, ნადირი შეჭამდა ან დააზიანებდა⁴.

იბადება კითხვა — რატომ უნდა ყოფილიყო მიჩნეული „ბოსლობასთან“ დაკავშირებით საჭმელ-სასმლის ართმობა ცუდი შემთხვევების გამომწვევა მიზეზად?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელი არ იქნება, თუ გავიცნობით იმ არქაულ კონცეპციას, რომელიც ჭერ კიდევ პირველ-ყოფილ საზოგადოებაში იყო შემუშავებული საგანთა სიწმინდის შესახებ.

ამ კონცეპციის თანახმად, ყოველი საგანი არის წმინდა ან უწმინდური. საგნების გაუწმინდურებას იწვევენ ივი ან დე-

¹ Д. Ж. Фрэзер. დასახ. ნაშრ., III, 1928, გვ. 188.

² იქვე, გვ. 187 — 188.

³ ვ. რ. დ ა ვ ; ლ ი ა ე. დასახ. ნაშრ., გვ. 17.

⁴ ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა. დასახ. ნაშრ., გვ. 329—330.



ქონიური (არაწმინდა) ძალები და მავნე ნივთიერი ელემენტების გადაცემა
ში! მათი ზემოქმედების შედეგად აღამიანის ჩვეულებრივი,
ანუ „განუწმენდავი“ საჭმელ-სასმელი ყოველთვის გაუწმინდუ-
რებულია მეტ-ნაკლებად. ასეთ საჭმელ-სასმელს შეუძლია
გააუწმინდუროს არა მარტო აღამიანის სხეული, არამედ ყოვე-
ლი შესაწირავი საკვები პროდუქტი, თუ ეს უკანასკნელი მას-
თან (გაუწმენდავ საჭმელ-სასმელთან) ერთად მოექცა კუჭში.
შესაწირავი საკვები პროდუქტების გაუწმინდურება კი იწვევს
იმ ღვთაების გაუწმინდურებას, რომელსაც ეს პროდუქტები
მიეღლვნება, ვინაიდან მორწმუნეს აზრით, ღვთაების სხეული
(ხორცი და სისხლი) იგივეა, რაც სხენებული პროდუქტები.

რა თქმა უნდა, ასეთ მოქმედებას აღამიანი უნდა მორიდე-
ბოდა. მას სწამდა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ღვთაება
ღასჯიდა: დაავადებდა ან მოკლავდა, გაუწყვეტდა საქონელს
და ა. შ.

ცრუუმორწმუნე აღამიანი არა მარტო ღვთაების, არამედ
ხაյუთარი სხეულის გაუწმინდურებასაც ძალზე ერიდებოდა,
ვინაიდან არქაული მსოფლმხედველობის თანახმად, უწმინდუ-
რი სხეულის მქონე სუბიექტს დადებითი ჯადოქრული მოქმე-
დების უნარი, ან სავსებით არ გააჩნია, ან შესუსტებული აქვს.
მაშისაღამე, ასეთი სუბიექტის მონაწილეობა სერიოზულ ოპე-
რაციებში ძალზე საფრთხილოა. ამგვარ მოქმედებას შეიძლება
საბედისწერო შედეგი მოჰყვეს არა მარტო იმისათვის, ვინც
სხეულის სიწმინდე არ დაიცვა, არამედ მთელი კოლექტივი-
ნათვის.

ეს შეხედულება „ბოსლობის“ რიტუალის ყოველ მონაწი-
ლეს უკარნახებდა განეწმინდა სხეული „ჩვეულებრივი“ საჭ-
მელ-სასმლის მავნე ზეგავლენისაგან, ე. ი. არც ეჭამა რაიმე
და არც დაელია რიტუალის შესრულებამდე განსაზღვრული
დროის განმავლობაში.

კულტურის დაბალ საფეხურზე მდგომ მთელ რიგ ხალხებ-
ში სხეულის რაღიკალური განწმენდის მიზნით კუჭის ამორეც-
ხასაც კი მიმართავდნენ სხვადასხვა სასაქმებელი სითხეების



მიღების საშუალებით. ასე იქცეოდნენ, მაგალითად, კურაკებით
და სემინოლები.

კრიკები (ამერიკა) — გვაუწყებს ფრეზერი — „პირ-
ველ ნაყოფთა დღეობას“, რომელსაც მათ ენაზე „ბჟეია“
ეწოდება, სოვლიდნენ წლის მთავარ ცერემონიად. „ეს დღეო-
ბა იმართებოდა ივლისში ან აგვისტოში, როცა მწიფებოდა
პური“. დღესასწაულის წინ ორი დღისა და ერთი ღამის გან-
მავლობაში მქაცრად იცავდნენ მარხულობის წესს. ის, ვინც
ყველაზე მართლმორწმუნედ სოვლიდა თავს, სვამდა ერთ-
ერთი მცენარის „Buton Snake“-ს ძირებისაგან შემზადებულ
მწარე ნაყენს, რათა გამოეწვია პირის ლებინება და გაეწმინდა
სხეული ცოდვებისაგან!

„ამ საერთო მარხულობის დროს ჭამის უფლება ეძლეოდა
მხოლოდ ქალებს, ბავშვებს და სუსტი ჯანმრთელობის მქონე
პირებს, მაგრამ არა ყოველთვის, არამედ მხოლოდ შუადღის
შემდეგ“.

ისე როგორც კრიკები, სემინოლებიც (ფლორიდა, კრიკე-
ბის მოდგმის ხალხი) აწყობდნენ „ყოველწლიური გაწმენდის
დღეობას“, რომელსაც ისინი უწოდებდნენ „მწვანე პურის
ცეკვას“. ამ დღეობის დროს სჭამდნენ ახალ პურს. დღეობის
წინ დღით ადგილობრივი მოსახლეობა მარხულობდა და სვამ-
და საზიზღარ ნაყენს, ეგრეთ წოდებულ „შავ სასმელს“. ეს
ნაყენი ერთსა და იმავე დროს მოქმედებდა. როგორც საფა-
ლარათო და პირის სასაქმებელი. ეს ჩვეულება ითვლებოდა
სხეულის გაწმენდის, მისი მავნე ზეგავლენისაგან განთავი-
სუფლების მძლავრ საშუალებად².

ამგვარი ფაქტების საფუძველზე ირკვევა, რომ საჭმელ-
სასმლის თმობა კუჭის გაწმენდასთან ერ-
თად ითვლებოდა მძლავრ მაგიურ-პროფი-
ლაქტიკურ საშუალებად, რომელსაც მორწ-
მუნე ადამიანი იყენებდა იმისათვის, რომ
შეეძინა მავნე ძალების საწინააღმდეგო
იმუნიტეტი, ანუ შეუვალობა.

შრომის პროცესებთან დაკავშირებულ

¹ Д. Ж. Фрезер. დასახ. ნაშრ., IV, გვ., 16 — 17.

² იქვე, გვ. 17.



¤ ღ კ ვ ე თ ე ბ ი გულისხმობდა საქმის არკეთებას, უძნებელობას უქმად ყოფას განსაზღვრული დროის განმავლობაში.

ირკვევა, რომ თავდაპირველად ამ აღკვეთებს ჩაჭის ყოველ სოფელში მეცრად იცავდნენ „ბოსლობის“ მთელი ქვირის განმავლობაში.

ვ. პ ე რ ე ვ ა ლ ე ნ კ ო წ ე რ ს «Нужно заметить, что за неделю до наступления этого праздника, как мужчины, так и женщины оставляют всякия работы и сидят праздными»¹.

დროთა ვითარებაში „ბოსლობას“, ქრისტიანობის ზეგავლენით, რაჭის რიგ სოფელებში დაუკარგავს დიდი საუქმო დღის მნიშვნელობა. ამას სხვათა შორის მოწმობს გ. ჯ ა ფ ა-რიძის შემდეგი ცნობა: „ამ დღეს — წერს იგი ბოსლობის შესახებ — მუშაობა არ იქრძალება, თუმცა ბევრი მას თავს არიდებს“-ო.

„ბოსლობის“ თავდაპირველი მნიშვნელობის შესუსტების აშკარა მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტიც, რომ თუ ერთ სოფელში მუშაობა იკრძალებოდა „ბოსლობის“ მთელი კვირის განმავლობაში, მეორე სოფელში მხოლოდ „ბოსლობა“ დღეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ხსენებული დროის განმავლობაში რაჭველებს აღკვეთილი ჰქონდათ არა ყოველგვარი, არამედ ზოგიერთი სამუშაო. მაშასადამე, არც „ბოსლობა“ და „ბოსლობის კვირის“ არც ერთი დღე არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო აბსოლუტური უქმობის დღე, ვინაიდან ისეთი გვერდაუვლელი სამუშაოები, როგორიცაა საქონლის მოვლა, ცეცხლის დანოება, შეშის მოტანა უშეშობის შემთხვევაში, შესაწირავთა გამზადება და სხვა, ვერ აღიქვეთებოდა. ყოველ შემთხვევაში ცდილობდნენ, რომ ბევრი არ ესაქმათ, ვინაიდან „ბოსლობის კვირა“ კვირას კვირად ითვლებოდა. ადგი-

¹ ამ ცნობის მიხედვით გამოდის, რომ რაჭველები „საბოსლობო“ უქმეს ინახავდნენ „ბოსლობის“ წინა შაბათიდან დაწყებული. მასწ. ქსენია მიქეაშვილი — სოხაძის ცნობით, კი ეს უქმე გრძელდებოდა ორშაბათიდან ორშაბათამდე (ამ უკანასკნელი დღის ჩაუთვლელად), რაც უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია.



ლობრივ მოსახლეობას სწამდა, რომ ყველაფერი, რაც განვითარებული იყო მოსახლეობის და წინააღმდეგ შემთხვევაში, თვით უმნიშვნელო მოქმედებასაც კი შეიძლება მოყვეს უბედურება: სახადი, საქონლის გაწყვეტა, მოუსავლიანობა და ა. შ.

მუშაობას ბოსლობა დღეს განსაკუთრებით ქალები ერიდებოდნენ.

საქალო სამუშაოებიდან „ბოსლობა“ დღეს ან „ბოსლობის“ კვირის განმავლობაში განსაკუთრებით აღკვეთილი იყო რთვა, ძახვა, ნართის გრეხა, ქსოვა, კერვა¹ და ყოველგვარი ხელსაქმე. ამ აღკვეთების შესახებ ადგილობრივ მოსახლეობას შემუშავებული ჰქონდა გარკვეული შეხედულება.

რთვა და ძახვა აღკვეთილი იყო იმის გამო, რომ თითისტრის ტრიალი მიჩნეული იყო გოჭების ტრიალისა და თავბრუდახვევის, ხოლო ბეჭვებისა და ნართის გრეხა წიწილებისა და გოჭების კისრის მოგრეხის მიზეზად. ამგვარი რწმენა მიგვითითებს, რომ რთვისა და ძახვის აღკვეთის ჩვეულება ემყარებოდა მიმბაძველობითი მაგის პრინციპს და მის მიზანდასახულობას გოჭებისა და წიწილების ფიზიკური დამახინჯებისაგან დაცვა შეადგენდა.

უქმე-დღეობებთან დაკავშირებით რთვის აღკვეთას გარდა რაჭველებისა სხვა ქართველ ტომებშიაც იცავდნენ. ასე მაგალითად, ლეჩეუმში, როგორც აღნიშნული იყო თავის ადგილზე, „ბოსლობა“ დღეს ქალს აღკვეთილი ჰქონდა რთვის უფლება. როგორც დღეობის, ისე ამ აღკვეთის დამწესებლად ადგილობრივ მოსახლეობას ღვთაება „ბოსლობ-კოტრო“ მიაჩნდა, რომელიც ვითომც აღკვეთის დამრღვევს აფრთხილებდა: „ქალო ნუ სტავ ჩერიასა, მე შეგახმობ ხელიასა, ზე დაგაკლავ კერიასა“-ო².

1 კერვა რაჭაში არც ძალიას პარასკევს შეიძლებოდა. ძალის პარასკევი, ნათქვამია ამ დღეობის აღწერილობაში, „განსაკუთრებული უქმება ქალებისათვის; ნემსის აღებაც ან შეიძლება ამ დღეს“. (ფ. გარდაფხაძე, რაჭული ხალხური დღეობები, 1938 წ., გვ. 12—13, ისტორიის ინსტ. ეთნოგრაფიის განყოფილება).

2 ფ. გარდაფხაძე. ლეჩეუმში ხალხური დღეობები, 1937 წ., გვ. 36. ისტორიის ინსტ. ეთნოგრ. განყ-ბა.

სვანეთში, ისევე როგორც რაჭა-ლეჩხუმში, ხსენებული
აღკვეთას იცავდნენ ჭირნახულისა და საქონლის დასაცავად.

ჭირდობ დღეს (8 ან 10 დეკემბერი), რომელიც ფეტვის
მოსავლიანობისა და მისი ღვთაების თან ი-სადმი იყო გან-
კუთვნილი, ეცერელი და ცხუმარელი ქალები არ ართავდნენ¹.
ალბათ ფიქრობდნენ, რომ ამ აღკვეთის დარღვევა იწვევს
ფეტვის ღეროების დაგრეხას და გაფუჭებას.

სხვათა შორის, ანალოგიურ მოსაზრებაზე იყო დაფუძნე-
ბული ანტიყურ იტალიაში ხელისუფლების მიერ გამოცემული
ერთი მეტად საინტერესო კანონი, რომელიც გზად მიმავალ
ქალს უკრძალავდა როგორც რთვას, ისე თითისტრის ხელში
დაჭრას. ამ კანონის დარღვევას მოსახლეობა ერიდებოდა
იმიტომ, რომ არ გამრუდებულიყო პურის ღეროები, რაც
განსაკუთრებით იმ შემთხვევაში იყო მოსალოდნელი, თუ
ქალი, რომელსაც ხელში თითისტრა ეჭირა, გაივლიდა იმ
გზაზე, რომელიც პურის ყანების მახლობლად მდებარეობდა
ან მათ შორის გადიოდა².

ქსოვა, ისევე სასტიკად იყო აკრძალული რაჭაში „ბოსლო-
ბის“ კვირაში, როგორც რთვა. ეს აღკვეთა მიმბაძველობითი
მაგიის პრინციპზე უნდა ყოფილიყო დამყარებული. ალბათ,
მოსახლეობა ფიქრობდა, რომ ქსოვა, როგორც ძაფების გა-
ხლართვის პროცესი, იწვევს პურის ღეროებისა და შინაური
ცხოველების ნაწლავების გადახლართვას, რაც თავის მხრივ
დაკავშირებულია თავთავების გაფუჭებისა და საქონლის გა-
წყვეტის ფაქტთან.

ქსოვის, ისე როგორც რთვისა და კერვის აღკვეთის ჩვეუ-
ლება, სვანეთშიაც იყო გავრცელებული. მაგალითად, სოფ.
თენაშში შობიდან ახალწლამდე, ერთი კვირის განმავლობაში,

¹. გ. ბარდაველი ძ. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი.
თბილისი, 1, 1939, გვ. 29.

² დ. ჯ. ფრეზერ. დასახ. ნაშრ. I, გვ. 46.



ანუ „ჩარტნესგა“-ში იმ ქალს, რომელსაც „ჩანტი“-ის აშშალთხუა
ცავში „ლიდბა“-ში („სალოცავის კარზე ფევილით ან ცომით
მისვლა და იქ ქვერების გამოცხობა და შეწირვა“) არ ჰქონდა
გადახდილი, სასტიკად ეკრძალებოდა როგორც ქსოვა, ისე
როვა, კერვა და სხვა საქალო სამუშაოს შესრულება¹.

ასეთივე ჩვეულება დამკვიდრებული იყო ს. ეცერში.
ეცერლებს სწამდათ, რომ, ვინც ამ ჩვეულებას დაარღვევს,
მას წერილფეხა საქონელი არ შერჩება².

რაჭველებს სწამდათ, რომ „ბოსლობის“ კვირაში კერვა და
საზოგადოდ ნემსთან დაკავშირებული ყოველგვარი ხელსაქმე
იწვევს საქონლისა და შინაური ფრინველების დაბრმავებას
(„თვალების აკერვას“) და თვალების ტკივილს.

რაჭველების მსგავსად ლეჩხუმელებიც კაი პარასკევს
უქმობდნენ. ამ დღეს კერვა, ქსოვა და რეცხვა აკრძალული
იყო. „ყველა ამ საქმემ თვალდაფსებული გოჭის მომრავლება
იცისო“ — ამბობდნენ ისინი³.

რაჭის ზოგიერთ სოფელში „ბოსლობა“ დღეს, დილიდან
სალამომდე, ჭაღის და პურის გამოცხობაც აღკვეთილი ყოფი-
ლა. ამ აღკვეთას იცავდნენ იმისათვის, რომ საუღლე ხარებს
კისერი არ გაფუჭებოდათ. ალბათ ფიქრობდნენ, რომ ცხობა
და პურის აფუქება ხარების კისრის ახურებასა და გასივებას
იწვევდა.

მამაკაცებს „ბოსლობის“ კვირაში აღკვეთილი ჰქონდათ
ყოველგვარი სამუშაო, რომელიც რკინეულის, განსაკუთრე-
ბით ნაჯახისა და წალდის ხმარებას მოითხოვდა.

ხსენებული კვირის განმავლობაში აგრეთვე აღკვეთილი
იყო: ფეხსაცმელების შეკერვა ან შეკეთება და ბაწრის შე-

¹ ვ. ბარდავე ლიძე. დასახ. ნაშრ., 1, გვ. 85.

² იქვე, გვ. 62.

³ ფ. გარდაფხაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 33.



გრეხა! რაჭველებს სწამდათ, რომ პირველი აღკვეთის შედეგად
რღვევა იწვევს ხბოების დაბრმავებას (თვალების აკერვას),
ხოლო მეორის მახინჯი — (კისერმოგრეხილი). ხბოების
დაბადებას.

საგულისხმოა, რომ სოფ. მოტყიარში (ალბათ, ზოგიერთ
სხვა სოფლებშიც) ბოსლობის კვირაში აღკვეთილი ყოფილა
წერა-კითხვაც. სამწუხაროდ, ამ ცნობის მომწოდებელს აღარ
ახსოვდა რატომ ერიდებოდნენ მოტყიარელები ამ აღკვეთის
დარღვევას.

მესამე ჯგუფში გაერთიანებული „საბოს-
ლობო“ აღკვეთებიდან, პირველ რიგში, აღსანიშნა-
ვია რკინეულის გამოჩენისა და ხმარების აღკვეთა. ამ აღკვე-
თასაც რაჭველები იცავდნენ ბოსლობის კვირის განმავლობაში
ან ბოსლობა დღეს. რკინეულიდან ამ ხნის განმავლობაში
განსაკუთრებით აღკვეთილი იყო მჭრელი იარაღების (ნაჯახი,
წალდი, დანა) ხმარება. ამ აღკვეთის დარღვევის ერთ-ერთ
მიზეზს წარმოადგენდა იმის შიში, რომ მახრას სიმინდი არ
აეჭრა. უნდა ვითიქროთ, რომ რაჭველები ამ აღკვეთის და-
რღვევას უნდა მორიდებოდნენ საზოგადოდ იმ კულტურული
მცენარეების დაცვის მიზნით, რომლებსაც მახრა აფუჭებს.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მახრა სიმინდის
ყანებს დიდ ზიანს აყენებს და მის გასანადგურებლად რაჭველ
მიწათმოქმედს აგროტექნიკური საშუალებები არ გააჩნდა,
მაშინ აშკარა გახდება, თუ რაოდენ სერიოზული მნიშვნელობა
მიენიჭებოდა მახრის საწინააღმდეგოდ დაწესებულ აღკვეთას
რაჭაში მეჩვიდმეტე საუკუნის შემდეგ, როცა სიმინდი რაჭვე-

1 თუ რაოდენ ძეელი წარმოშობისა უნდა იყოს ეს აღკვეთა და
რაოდენ ფართოდ უნდა ყოფილიყო იგი გავრცელებული მსოფლიო
ხალხებში, ამას საუცხოოდ იდასტურებს ფრეზერის შემდეგი ცნობა:
„ინოსებში, კუნძულ სახალინზე, ორსულმა ქალმა“ არც უნდა დაართოს
საბაწრე მასალა და არც უნდა შეგრიხოს ის ბაწრად, უკანასკნელი ორი
თვის განმავლობაში მშობიარობამდე. თუ ის ამას გააკეთებს, მაშინ ბავშვის
შეგნეულობა გამრუდდება, დაიგრიხება ნართის მსგავსად“ (Дж. ფრეзер
დასახ. ნაშრ. 1. გვ. 46).



ლი მოსახლეობის უმეტესი ნაწილისათვის მარცვლეულთაგან
ყველაზე ძირითად საკვებად იქცა.

„ბოსლობა“ დღეს, ან „ბოსლობის“ მთელი კვირის გან-
მავლობაში სასტიკად იყო აკრძალული. როგორც ნაჯახის,
წალდის, მაკრატლისა და სხვა რეინის მჭრელი იარაღების,
ისე წვერმახვილი იარაღების (განსაკუთრებით ნემსისა და
სადგისის) ხმარება.

უნდა ვითქიქროთ, რომ ამ იარაღების ხმარება და გამოჩენა
ბოსლობის კვირაში აღკვეთილი იყო არა მარტო იმიტომ, რომ
მათი მეოხებით სახიფათო შედეგების გამომწვევი საქმიანობა
ხორციელდებოდა, არამედ იმიტომაც, რომ ისინი წვერმახვილ
იარაღებს წარმოადგენდნენ, რაც, ალბათ, მაგიური მსოფლ-
მხედველობის მქონე აღამიანს აფიქრებინებდა, რომ მათი
გამოჩენა და ხმარება ზოგიერთ შემთხვევაში გამოიწვევს
საქონლის დაზიანებას აგრეთვე წვერმახვილი საგნების მეო-
ხებით.

წვერმახვილი იარაღებისა და საზოგადოდ რეინეულის ხმა-
რების აღკვეთის ჩვეულებას, უქმე დღეობებთან დაკავშირე-
ბით, სვანეთის ეთნოგრაფიულ ყოფაშიაც ვადასტურებთ.

ასე, მაგალითად, „შობის წინა დღეს სოფელ ბარშის, ჭი-
ლარისა და ქურაშის მცხოვრებნი მთელი კვირის სამყოფ
შეშას დასჭრიდნენ და მოიმარაგებდნენ, რის შემდგომ ნაჯახს,
ცულსა და სხვა რეინეულს მთელი კვირის განმავლობაში
ხელს აღარ მოჰკიდებდნენ“¹.

„ზამთრის ხარუნესგა-ს განმავლობაში ლენჯერის თემის...
ერთი გვარის ხალხს, ხიფთანებს, რომლებიც სოფელ სოლში
ცხოვრობენ, აღკვეთილი ჰქონდათ ნემსისა და საზოგადოდ
ყოველგვარი რეინეულის ხმარება. ამას გარდა ისინი უქმობდ-
ნენ კიდეც. ეს აღკვეთა და უქმობა მათ დადებული ჰქონდათ
ბეჩის ხატის მეზრა თარგლეზერ-ის სახელზე და ამიტომ ამ
აღკვეთა-უქმების დროს თარგლეზერიშ კერბ-ს ეძახდნენ.
ხიფთანები ძალიან უფრთხოდნენ კერბ-ის გატეხას — საქო-
ნელი აღარ გადავირჩება ხიფათისაგანო“².

¹ ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 35.

² იქვე, გვ. 69—70.



„ორი-სამი დღე ახალწლის შემდეგ კვიმატიან დღეებზე მოი მიჩნეული. ამ დღეებში სვანები რეინეულს ხელს არ ახლებდნენ და მუშაობასაც ერიდებოდნენ“¹.

უნდა ვივარაუდოთ, რომ რეინისა და საზოგადოდ ლითონის იარაღების ხმარების აღკვეთა ამა თუ იმ უქმე დღეობასთან დაკავშირებით გაჩენილი უნდა იყოს ქვის ხანიდან ლითონის ხანაზე გადასვლის პერიოდში, ანუ იმ ეპოქაში, როცა ქვის იარაღები ნაწილობრივ იყო ხმარებიდან გამოსული და ლითონის (ბრინჯაოსა და რეინის) იარაღებს ადამიანი პირველად ეცნობოდა².

რეინის შესახებ ფრენერი წერს, რომ ეს ახალი მეტალი, იმის გამო, რომ პირველყოფილი ადამიანი მის თვისებებს კარგად არ იცნობდა, მისდამი უსიამოვნებისა და უნდობლობის გრძნობას აღძრავდა, მას იჭვის თვალით უყურებდა იგი და ამიტომ ხშირად ერიდებოდა რეინისაგან გაკეთებული იარაღების ხმარებასო³.

რეინის თვისებების უცოდინარობით გამოწვეულ შიშს რომ მისგან დამზადებული იარაღების მიმართ არსებული აღკვეთების დაწესებაში დიდი როლი უნდა ეთამაშნა, განსაკუთრებით მათი გამოყენების აღრინდელ საფეხურზე, ამის უარყოფა არ შეიძლება, მით უფრო იმ მდიდარი მასალის გაცნობის შემდეგ, რომელსაც ფრენერი ეხება, მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ რეინისა და რეინის იარაღების თვისებებს ადამიანი დროთა ვითარებაში სულ უფრო და უფრო უკეთესად გაეცნობოდა, მაშინ აშკარა გახდება, რომ ყოველთვის ამ იარაღების ხმარების აღკვეთის დაწესება მარტო აღნიშნული მიზეზით არ შეიძლებოდა ყოფილიყო გამოწვეული. ამ ვითარებას ჩვენს მიერ განხილული ფაქტებიც ცხადყოფს. ასე მაგალითად, რაჭულ ბოსლობასთან დაკავშირებით რეინის მჭრელი იარაღების (წალდი, ნაჭახი) ხმარება იმიტომ კი არ იყო განსაზღვრული დროის განმავლობა-

¹ ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 170.

² Дж. Фрезер, დასახ. ნაშრ. 11, გვ. 68.

³ იქვე, გვ. 68.



ში აღკვეთილი, რომ რაჭელი რკინისადმი შიშის, უნდა გადასა გრძნობდა, არამედ იმიტომ, რომ მიმბაძველობითი მაგი-ის შესაბამისად, მათი (იარაღების) თვისება, სახელდობრ მცრე-ლობა, განსაზღვრული ღროიდან მახრას მიერ სიმინდის აჭრის მიზეზად იქნა გამოცხადებული.

ამგვარი ფაქტების გაცნობის საფუძველზე იჭვმიუტანლად დასტურდება, რომ რკინის იარაღების ხმარების აღკვეთა დაკავშირებული იყო ნაირი სახის მოტივებთან, რომლებსაც განსაზღვრავდა მეურნეობის, შრომის პროცესებისა და თვით რკინის იარაღების თავისებურება.

ვ. პ ე რ ე ვ ა ლ ე ნ კ ო წერს: „ბოსლობის“ კვირაში „მიწის-მოქმედნი თავს არ ივარცხნიან, რათა ყანებში ნათესი არ დალპეს და პურის ყანა არ გამოვიდეს მეჩხერი“.

თუ რატომ მიიჩნევდნენ რაჭელები თმის ვარცხნას ნათე-სის გაფუჭებისა და პურის ყანის სიმეჩხერის მიზეზად, ამის შესახებ, ჯერჯერობით, არაფრის თქმა შეგვიძლია.

რაჭული ბოსლობის რიტუალთან დაკავშირებით ერთ მე-ტად საინტერესო აღკვეთასაც ვადასტურებთ, რომელსაც რაჭის რიგ სოფლებში იცავდნენ იმისათვის, რომ საქონელს ზამთარში საკვები არ შემოკლებოდა. ეს უკანასკნელი (აღკვე-თა) მდგომარეობდა იმაში, რომ ოჯახის წევრებს ბოსლობამდე ერთი თვის განმავლობაში არ ჰქონდათ უფლება ქალამნები-დან დაძველებული თივა (ფეხსაგები) ახალი თივით შეენაცვ-ლათ, ვინაიდან ასეთი მოქმედება საბძლის დაცალიერებასთან, საქონლის საკვების მოულოდნელ გამოლევასთან იყო ასოცი-რებული, რასაც ძალზე უფრთხოდა რაჭელი გლეხობა, განსა-კუთრებით ქვემო რაჭის ბარის სოფლებში, სადაც სათიბების სიმცირის გამო თვისი მარაგის რაოდენობა მეტად განსაზღვ-რული იყო, ხოლო ჩალისა და თივის შემოკლება ზამთრის გახანგრძლივების ან მოუსავლიანი წელიწადის გამოისობით იშვიათი არ იყო.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ რაჭის რიგ სოფლებში (მა-გალითად მიქარწმინდაში, აბანოეთში, ბარეულში) „ბოსლო-ბამდე“ რამდენიმე ხნის განმავლობაში, სასტიკად იყო აღკვე-თილი გახდილ ქალამნებში თივის ჩატოვება. მთხრ. მ. სოხაძემ



(სოფ. მიქარწმინდის მცხოვრები) გადმომცა, რომ ჩემი უდიდესი მთილი, როცა დავიძინებდით, ყველას ქალამნებს გასინჯავდა — თივა ხომ არ არის რომელიმეში ჩატოვებულიო. ადგილობრივ მოსახლეობას სწამდა, რომ ამ აღკვეთის დარღვევა იწვევს წიწილების კვერცხის ნაჭუჭუში ჩარჩენასა და გამოხრიობას.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე საბოლოოდ დასტურდება, რომ რაჭულ „ბოსლობასთან“ დაკავშირებული აღკვეთები მაგიურ-პროფილაჭრი ღონისძიებებს წარმოადგენდას ადამიანისა და მიზანდას ასახულობას ადამიანისა და მისი მეურნეობის ყოველგვარი ხიფათისაგან დაცვაშეაღგენდა.

თ ა ვ ი გ ე ნ ს თ ხ

**გოსლობაში ასახული ღვთაებები და ხარის
კულტის პროგლობა**

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ბოსლობა ფალიური დო დღეობა იყო და მის არსებით მიზანდასახულობას საქონლის გამრავლება და მფარველობა შეადგენდა, მაშინ ცხადი გახდება, რომ იგი პირველყოვლისა იმ ღვთაებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა საქონლის გამრავლება-განაყოფიერებისა და მფარველობის ფუნქციას მიაწერდა.

ბოსლობის ჩენოვის ცნობილ ვარიანტებში ამ ფუნქციის მქონე ღვთაების აღმნიშვნელ შემდეგ სახელებს ვადასტურებთ: საქონლის ონგელოზი, ბოსელი, ბოსლა, ბოსლო, ოსლო, ბოსლე, ბოსლე პატიოსანი, ბოსლა-კოტრა, ბოსლო-კოტრო, საქონლის ბატონი, მუშა ხარის გამჩენი, ბომბლა, ბამბლუ და ბემბლუ.

დღეობის ანალიზი ცხადყოფს, რომ დროთა ვითარებაში საქონლის ღვთაება, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ მსხვილფეხა ჩეიანი საქონლის ღვთაება უნდა ყოფილიყო, ყველა შინაური ცხოველისა და ფრინველის ღვთაებაც გამდარა. უფრო მეტი: საბოლოოდ ამ ღვთაებისათვის ხალხს საზოგადოდ ნაყოფიერება-გამრავლებისა და მფარველობის ფუნქციაც მიუწერია. იგი, როგორც ბოსლობის აღწერილობის გარიანტებიდან ირკვევა, ნაყოფიერებას ანიჭებდა და ამრავლებდა საქონელს, შინაურ ფრინველებსა და აღამიანებს. მისგანვე იყო დამოკიდებული მიწის ნაყოფიერება, მოსავლის სიუხვე, ოჯახის ბარაქა, კაცთა მშვიდობა, საქონლისა და შინა-



ური ფრინველების სისალე, შათი ყოფელგვარი საფრთხეს დაცვა¹.

საგულისხმოა, რომ ქართველ ტომებში საქონლის ღვთაების ამ მრავალფეროვან ფუნქციას ბასილი სახელშოდებით ცნობილ ღვთაებასაც მიაწერდნენ. ეს იმით აიხსნება, რომ ქრისტიანობის ხანაში წმ. ბასილი („ბასილა“) ბოსლობაში ასახულ ღვთაების ბოსელის, ანუ ბოსლას კულტის თანაზიარობა გამოეწვია ქრისტიანული წმინდანის სახელის (ბასილი) მსგავსებას წარმართული ღვთაების სახელთან (ბოსელი). ამჟამად ჩვენ მეტის თქმა შეგვიძლია: ახალწლის ციკლის დღეობებში ეს უძველესი ითიფალური ღვთაება ბასილის სახელს ატარებს და, მაშასადამე, ღვთაება ბოსელ-ბომბალას კულტი ბასილის კულტად არის აღიარებული².

ლიტერატურაში დადგენილია, რომ ბოსლობაში ასახული მთავარი ღვთაება (ბოსელი || ბოსლა ბოსლ ბლა), რომელიც ახალწლის ციკლის დღეობებში მამრობითი სქესის უზენაეს ღვთაებად გვევლინება, გარდა ქრისტიანობის გავლენით შერქმეულ სახელისა — ბასილი || ბასილი (|| კაც-ბასილა), ატარებდა შემდეგ სახელებს: ბერი, ბერა, კერია — ბერია || კერია — ბერა || კერია — ბერი, ბერიკა, ბებერა (|| ბებერა, იგივე ბებერი), ბაბუა, პაპა-ჯვარა (|| პაპა-ჯვარი || ბაბა-ჯვარა || ბაბა-ჯვარი (იგივე პაპა-[ლმერთი])|| მამა- [ლმერთი], ყველა ღმერთის გამჩენი, დიდი ღმერთი (სვან. ხოშა ღერმეთ), მორიგე ღმერთი³.

1 ა. სოხაძე, ქართველთა სამეურნეო ყოფის ისტორიიდან (რაჭული ბოსლობა), 1953, გვ. 305 (ხელნაწერი).

2 ვ. ბარდაველიძე. ქართული (სვანური) საწესო ხელ. ნიმუშ. გვ. 104.

3 იხ. ვ. ბარდაველიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 115—118, ა. სოხაძე დასახ. ნაშრ., გვ. 320—333, ქ. რუხაძე. ძველი ქართული აგრარული დღესასწაულის მთავარი პერსონაჟი ბერი-ბერა, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. IX, თბ., 1957.

„ბოსლობასთან“ დაკავშირებული ღვთაებებიდან ხაქობლის ღვთაების შემდეგ ყურადღებას იპყრობს მიწის ღვთაება. როგორც აღნიშნული გვაქვს, ამ ღვთაებას ბოსლობა დღეს „განატეხი“, ღვინო და პურის „კოროლი“ მიეღვნებოდა.

მიწის ღვთაებას, ანუ „მიწის“ დედას“ („დედამიწა“) რაჭველები ქრისტიანობის ზეგავლენით მიწათა ანგელოზს, „ყანა-ვენახების ან გე ლოზს“¹ უწოდებდნენ და „ბოსლობა“ დღეს ასე ევედრებოდნენ: „ყანა-ვენახების ანგელოზო, ააშორე ჩვენს ვენახებს ელვა, ჭიქა, კოხი, ნაცრის მიყრა და ღვარი; ნუ დაგვიზიანებ, გვაპატივე ჩვენი ნამუშევარიო“².

რაჭულ „ბოსლობაში“ ცა-ღრუბელთა, ანუ ტაროსისა და ავდრის ღვთაების კულტის გაღმონაშოთსაც ვადასტურებთ. ცნობილია, რომ ტაროსისა და ავდრის, წვიმა-სეტყვის მბრძანებლად ქართველებს ქრისტიანობის გავრცელების განსაზღვრული ხანიდან მოყოლებული, ძველი, წარმართობის დროინდელი ღვთაების ნაცვლად ელია წინასწარმეტყველი მიაჩნდათ³. ამიტომ იყო, რომ ბოსლობა დღეს რაჭველები მას ევედრებოდნენ: „ელია, ლრუბელთა წინამძღვარო, აშორე ჩვენს ვენახებს ელვა, ჭიქა და ყურძნის ტევნებს ნაცრის მიყრაო“.

ამ ვედრებიდან ჩანს, რომ რაჭველი მოსახლეობა „ღრუბელთა წინამძღვარს“, ანუ „ღრუბელთა ბატონს“ არა მარტო ელვა-ჭიქისა და, საზოგადოდ, ავი და კარგი დარისა, არამედ ყურძნის მტევნებზე „ნაცრის მიყრის“ მიზეზადაც სახავდა. ეს ფაქტი მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ ხსენებული ღვთაების ერთ-ერთი ჩვენთვის უცნობი ფუნქციის გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა⁴.

რატომ მიაჩნდათ რაჭველებს ელია ყურძნის დანაცრიანების მიზეზად გასაგები გახდება თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ავადმყოფობა ხანგრძლივი ღრუბლიანობის და ბურუსია-

1 ა. სოხაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 52—53.

2 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, 1, თბილისი, 1960, გვ. 43.

3 ა. სოხაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 348.

ნობის (განსაკუთრებით კი ლამის ბურუსიანობის) და ნექტარის ნობის შედეგად ვრცელდება, ხოლო ბურუსისა და წვიმიანუსის ტიანობის გამომწვევ მიზეზად ელია მიაჩნდათ.

რიგი მონაცემების საფუძველზე დასტურდება, რომ ქართველ ტომებში „ლრუბელთა ბატონი“, ანუ ტაროსის ღვთაება (ბოჩი || ვაჩი, ხეთების თეშუბის ანალოგი), რომელსაც ქრისტიანობის ზეგავლენით ელია, ანუ ილია წინა-სწარმეტყველი ჩაენაცვლა, ბოსლა-ბასილას თანაზიარი დიდი ღვთაება ყოფილა¹ და ამ ღვთაების პროტოტიპს მამა-ლი თხა (ვაცი) წარმოადგენს.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ ბოსლობის ვარიანტებში ხშირადაა მოხსენიებული ტერმინი „ღმერთი“.

ეს ტერმინი განსაზღვრული დროიდან ქრისტიანულ ღმერთს — „ყოვლის შემოქმედს“ აღნიშნავს, რომელიც დროთა ვითარებაში ენაცვლებოდა ღვთაებათა სხვა სახელებს. სწორედ ამ ვითარებით უნდა აიხსნას, რომ ბოსლობის ზოგიერთ ვარიანტში საქონლის გამამრავლებელი ღვთაება ღმერთად იწოდება.

ირკვევა, რომ ღმერთი (სვ. ღერმეთ) თავდაპირველად ქართველთა ერთი უზენაესი ღვთაების (მთვარის ღვთაების) სახელი იყო, რომელიც შემდეგ წარმართულ ღვთაებათა ზოგად სახელად იქცა. საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების დამკვიდრების წყალობით ეს სახელი მონოთეისტურად გაგებული ღმერთის ერთ-ერთ, ყველაზე ხშირად ხმარებულ სახელად დარჩა.

ღმერთის იდენტურია ქართულში გამჩენი, ვინაიდან ღმერთი ქრისტიანულ და, საერთოდ, მონოთეისტურ რელიგიაში ყველაფრის გამჩენად, ანუ უზენაეს შემოქმედათაა მიჩნეული. მაგრამ ეს სიტყვა, რომელიც იგივეა, რაც დამბადებელი, ანუ შემჯმნელი², ქართული წარმართული,

1 ა. სოხაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 363—375.

2 ქართველებში ტერმინების — ღმერთი, გამჩენი, შემჯმნელი ერთმნიშვნელოვანი გამოყენების უმცველი მაჩვენებელია, მაგალითად, აუგად მოსახსენებელი სიტყვების — „ღმერთძალლი“, „გამჩენძალლი“, „შემჯმნელძალლი“ შინარსობრივი იგივეობა.



ღვთაებების ალსანიშნავადაც იხმარებოდა. ამიტომ ღვთაებების რი ბოსლობის გარიანტში მოხსენიებულ „მუშა ხარის გამჩენში“ შეიძლება ქრისტიანული ღმერთიც ვიგულისხმოთ და წარმართულიც.

თუ ვიმსჯელებთ იმ მოქმედების მიხედვით, რომელიც ამ ღვთაების მიმართ სრულდებოდა ბოსლობა დღეს ღეჩეუმში, მაშინ ცხადი გახდება, რომ მის (სახელშოდების) ქვეშ საქონლის გამამრავლებელი და მფარველი წარმართული ღვთაება უნდა ვიგულისხმოთ და არა ქრისტიანული ღმერთი, ვინაიდან საქმე იმაში კი არაა, რა სახელით აღინიშნება რომელიმე ღვთაება, არამედ იმაში, როგორაა იგი გააზრებული და რა ხასიათის მოქმედება სრულდება მის მიმართ.

დაბოლოს, ამ საყითხთან დაკავშირებით ერთ გარემოება-საც უნდა მივაჭიოთ ყურადღება: ღეჩეუმურ ბოსლობაში მოხსენებული „მუშა ხარის გამჩენი“ თითქოს იმაზე მიგვითითებს, რომ ყველა საქონლის გამჩენენ ღვთაებაზე ღეჩეუმელ მეურნეს წარმოდგენა არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ შეუძლებელია, რომ „მუშა ხარის გამჩენი“ ამავე დროს ძროხების გამჩენადაც არ ყოფილიყო მიჩნეული, ვინაიდან ხარის გაჩენა ძროხის გაჩენისა და განაყოფიერების გარეშე შეუძლებელია. თუ ამის მიუხედავად ძროხისა, ხარისა და, საზოგადოდ, საქონლის გამჩენი ღვთაება ღეჩეუმურ ბოსლობაში მუშა ხარის გამჩენად იწოდებოდა, ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ღეჩეუმში მეურნეობის ძირითად დარგს ხართან, როგორც სახვნელი იარაღის ერთადერთ გამწევ ძალასთან, დაკავშირებული მიწათმოქმედება წარმოადგენდა, რაც იმდენად ზრდილა ხარის საკულტო მნიშვნელობას ძროხასთან და სხვა საქონელთან შედარებით, რომ საქონლის ღვთაება ღეჩეუმელს არსებითად „მუშა ხარის გამჩენად“ ესახებოდა ან, სხვა გვარად რომ ვთქვათ, მუშა ხარის გაჩენას ამ ღვთაების მთავარ ფუნქციად სთვლიდა და ამიტომ არ არის გასაკვირველი, თუ მას ამ ფუნქციის შესატყვისი სახელით აღნიშნავდა.

იმ განსაკუთრებული სამეურნეო და საკულტო მნიშვნელობით, რომელიც ხარს საზოგადოდ და, კერძოდ, მუშა ხარს (იგივე „მხვნელი ხარი“) გააჩნდა ღეჩეუმსა და საქართველოს სხვა



კუთხეებში, უნდა აიხსნას, რომ საბოსლობო რიტუალი როგორიცაა
რულებისას ყურადღება განსაკუთრებით ამ ცხოველის მიმართ
იყო გამახვილებული.

ვ. პერევალენკო წერს: ბოსლობა საღამოს „გლეხი
ბოსელში შესვლისთანავე ბავშვებს ძირს სვამს და იწყებს სა-
ქონლის ჩამოვლას. პირველი მიღის ხარებთან
და ცხენებთან და აჩვენებს მათ კვერცხს, თან (რომელიც ამ
შემთხვევაში გადაეცემა უფროს ბავშვს), ამბობს: „ყოვლად
ძლიერი უფალი ღმერთი მოგცემთ დიდ ძალასა და გამყოფებო
ისე მთელადა და კარგად, როგორც ეს კვერცხია“. საქონლის
ჩამოვლას რომ მოათვებს, „კვლავ მოდის იმ ხართან,
რომელიც თავისი სიდიდით და ღონით გამო-
ირჩევა და იწყებს ჩუმად ლოცვას: „ო, ღმერთო... შენი
წყალობით ვხვდებით ამ სასიხარულო დღეს ჩვენ მუშა
საქონე ლთან ერთად, რომელთა შემოწმებით ვსაზრ-
დობთ და ვასაზრდოვებთ ჩვენს ცოლშვილს. ღმერთო, ნუ
მოაკლებ შენს წყალობას მიწის მუშას და მის ოჯახს, მის
საქონელს, მის ხარებს, ცხენებსა და ძროხებს, ნუ გამო-
ულევ მათ საკვებს, ამრავლე ისინი და ამყოფე მუდამ ჯან-
მრთელად. ღმერთო, შენი ნებითა და წყალობით მიეცი მიწას
ბარაქა და ნათესს კარგი ნაყოფი!

ბოსლობის რაჭული ვარიანტების მიხედვით „საბოს-
ლობო განატეხს“ ან ყველა, ან საუკეთესო საქო-
ნელს შემოვლებდნენ (ზოგჯერ თავზე გადაატეხდნენ)². ამ
საუკეთესო საქონელს კი ჩვეულებრივ საუღლე
ხარი წარმოადგენდა.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ლეჩეუმში ბოსლობა საღა-
მოს, ვახშმობის წინ იმდენ უმ კვერცხს წაიღებდნენ ბოსელ-
ში „რამდენი ხარიც იყო ბოსელში“. ამ კვერ-
ცხებს, საბოსლობო ტაბლებს და ანთებულ სანთელს
ვაჟკაცი „მიიტანდა მუშა ხართან, რამდენიც არ უნდა
ყოლოდა ხარები, ყველას წალმა შემოავლებდა
თავზე და ასე იტყოდა: „მუშა ხარის გამჩენო, მიმ-

¹ В. Переваленко, Бослоба, «Кавказ», 1850, № 25.

² ა. სოხაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 32, 50.



ყოფე კარგად ჩემი ხარები, ნურაფერს გაუჭირებ, დამატებით ჭირისაგან, ყოველი ფათერაკისაგან, ამყოფე ჯანზე და ონეზე“. ამ ლოცვას რომ გაათავებდა, ხმამაღლა დაიძახებდა: „მამაჩემო, რომელს ურქინო?“ „ნიკორას ურქინე, შვილო, ნიკორას“ — სახლიდან გამოსძახებდა მამა ან სხვა და ეს კაცი მარჯვენა მუხლს წაუჭირიანებდა ნიკორას და თან ეტყოდა: „ჩემო ნიკორა, ჯანიერად მეყოლეო“¹.

ამ ჩევულებიდან ნათლად ჩანს, რომ ლეჩუმში ნიკორა ხარის მიმართ, სხვა მუშა ხარებისაგან განსხვავებით, დამატებითი მაგიურ-ტელიგიური რიტუალი სრულდებოდა, რაც იმას მოწმობს, რომ ნიკორა ხარს ლეჩუმელი მიწათმოქმედი „მუშა ხარის გამჩენი“ ღმერთის, ანუ „დიდი ღმერთის“ მიერ ნიშანდებულ ცხოველად მიიჩნევდა².

ყურადღებას იძყრობს ის გარემოებაც, რომ რაჭული ბოსლობის ერთ-ერთ მთავარ აქტში, რომელიც დიასახლისის და მამასახლისის დიალოგის სახით იყო წარმოდგენილი, შინაურ ცხოველებთან დაკავშირებული კითხვა-პასუხი პირველად ხარებს შეეხებოდა („ხარებმა რა შემოსთვალეს? სახენელულელი მოამზადეთ და ხვნა ჩენა ჩენზე იყოსო“), შემდეგ დანარჩენ შინაურ ცხოველებს: ძროხებს, ცხვრებს, თხებს, ღორებს, ცხენებს. ეს პრიორიტეტი ხარისა სხვა შინაურ ცხოველებთან ჭიმართებაში აიხსნება უმთავრესად იმ ფუნქციის განსაკუთრებული მნიშვნელობით, რომელსაც იგი (ხარი) მიწათმოქმედებაში ასრულებდა.

ასეთი ფუნქციის არსებობის გარეშე, ცხადია, მიწათმოქმედს არ შეეძლო მიწა მოეხნა; ამ სამუშაოს წარმატებით შესრულებისათვის საჭირო იყო მუშა. პირუტყვის ჯანღონის გაძლიერება, რისთვისაც რაჭველ გლეხს საკმარისად არ მიაჩნდა მისი (მუშა პირუტყვის) კარგი მოვლა-პატრონობა. ამ მიზნით იგი ირაციონალურ საშუალებებსაც იყენებდა — წარმოთქვა-მდა მუშა ხარების ხვნისათვის მზად ყოფნის სურვილის გამომხატველ ლოცვებს, მაგიურ ფორმულებს (მაგალითად, მამა-

¹ ფ. გარდაფხაძე. ლეჩუმური ხალხ. დღეობები, გვ. 36.

² „ნიშანდებული“ ხარის საკულტო მნიშვნელობის შესახებ იხ. ა. სოხაძე, დასახ. ხაშჩ., გვ. 340—342.

სახლისი ხარების სახელით ამბობდა: „სახვნელ-უღელი გნაშემომათვა
ზადეთ და ჩვენ მზად ვართო“ ან „ხვნა ჩვენზე
იყოსო“) და აკეთებდა პურის ცომისაგან უღელიანი ხახვ-
ნელი იარალის გამოსახტლებას.

ბოსლობის რიტუალში ხარისადმი განსაკუთრებულ
ყურადღებას, ზემოაღნიშნულის გარდა, ისტორიულად, უეჭ-
ველია, ისიც განაპირობებდა, რომ შინაური მსხვილფეხა რქო-
სანი ცხოველებიდან ხარს ქართველ ტომებში უმნიშვნელოვა-
ნესი საკულტო არსების მნიშვნელობა—ჰქონდა მინიჭებული.
ამის ცხადსაყოფად მცირედი მნიშვნელობა არ აქვს იმის დად-
გენას, რომ ბოსლობა ამ დღეობაში ასახული იმ ღვთაები,
სახელობაზე იყო დაწესებული, რომელიც თავდაპირველად
ხარის სახის არსება იყო!

¹ ვ. ბარდიველიძე. ქართული (სვანური) საწ. გრაფიკული ხელ-
ნიშვნები, გვ. 103.

თ ა ვ ი ა ვ ი დ ა ს ი

ზარმართული რელიგიის გადმონაჭთვები
 საქართველოში და მათი აღმოცხვების
 მაცნიერული მთოლემი

ბოსლობა, ისევე როგორც XIX ს. მიწურულამდე, ნაწილობრივ კი XX ს. ოციან წლებამდე მოღწეული სხვა მრავალი ქართული ხალხური საკულტო დღესასწაული (ღორების, მილოცვის დღე, გოჭის ხუთშაბათი, ჩიტფაფობა, ყენობა, თეღორობა, წიფეთელიობა, ისპანახობა და სხვ.) დიდი ხანია მოისპო. მათ შესახებ მხოლოდ მოვრნებალა, ხშირად მეტად ბუნდოვანი, დარჩა შუა ხნის, უპირატესად კი მოხუც ქართველებში. ასეთივე ბედი ეწვია მრავალ ადგილობრივ საეკლესიო, ანუ სატრაპეზო-ქრისტიანულ დღესასწაულს. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში, მოქმედი ეკლესიების უქონლობისა და ადგილობრივი მოსახლეობის შეგნების მაღალი დონის წყალობით, საეკლესიო დღესასწაულები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მათ მცირერიცხოვან და მკრთალ გადმონაშთებს, რომელებიც აქ კიდევ ცოცხლობს, უკლებლივ მოისპო.

საქართველოში დღემდე შემორჩენილი ხალხური საკულტო დღეობებიდან (იხინჭობა, კადისჯვრობა, გუდანის ჯვრის დღესასწაული, ხახმატის ჯვრის დღესასწაული, ლიქოვის ჯვრის დღესასწაული, დიდგორის ჯვრის დღესასწაული, პირიმზე ფუძის ანგელოზის დღეობა (აჯობა), ლაშარობა, კალუბნობა, იახსარობა, რკონისობა, კოხიჯვრობა, ხალარჯობა, თამარობა და სხვ.) უმეტესი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ეწყობა. ამ დღეობების ნაწილი, მათი ხალხურობისა და მეტ-ნაკლებად (ზოგჯერ არსებითად) არაქრისტიანუ-



ლი ხასიათის მიუხედავად; საქართველოს ეკლესიის გამოცხადებულია საუქმო დღეებად და მათი სია შეტანილია ამ ორგანიზაციის კალენდარში „ხალხური კალენდარი“-ს სახელწოდებით¹. 1963 წლისათვის სიაში დასახელებულია 47 ხალხური დღეობა შემდეგი თანრიგით:

„1. ა რ ბ ო ო ბ ა — გიორგობა. მარიამობის (აგვისტოს 15) შემდეგ სამ კვირა დღეს, სოფ. არბოში და გერში (ქართლი).

2. ა ტ ო ც ო ბ ა — გიორგობა-ქაშვეთობა. იწყება სექტემბრის უკანასკნელ კვირა დღიდან და გრძელდება დეკემბრის პირველამდე, განსაკუთრებით კვირაობით. იმერეთიდან გაღმოდიან მარიამობიდან (აგვისტოს 15) და სწყვეტენ დინებას ქვაშვეთობას, ე. ი. სექტემბრის უკანასკნელ კვირა დღეს (ქართლი).

3. ა ხ ა ლ ჯ ვ რ ო ბ ა — ჯვარპატიოსნობა. მაისის 7, ხიდის-თავში (ქართლი), ახმეტაში (კახეთი).

4. ბ ა რ ბ ა რ ო ბ ა — კვირაცხოვლობის (აღდგომის შემდეგ კვირის) ორშაბათს და მის სწორზედ, გარდატენში (ატენის ხეობაში, ქართლი).

5. გ ე რ ი ს თ ო ბ ა — იხილე არბოობა.

6. გ ო რ ი ს ჯ ვ რ ო ბ ა — გიორგობა, აპრილის 23 და ნოემბრის 10, გორის ზემოთ.

7. დ ა მ ა ს ტ უ რ ო ბ ა — აღდგომის ღამეს მატანში (კახეთი).

8. დ ი დ ბ ა ტ ო ნ ო ბ ა — გიორგობა, ნოემბრის 10, მატანში (კახეთი).

9. დ ი დ გ ო რ ო ბ ა — მაისის 7 დიღმის ზემოთ და აგვისტოს 15 შემდეგ პირველ კვირას ქვათახევის მონასტრის ზემომთაზე (ქართლი).

10. ვ ა რ დ ო ბ ა — მაისში (ქიზიუში) და პეტრე-პავლობის მარხვის პირველ ორშაბათს (ზემო იმერეთში).

11. ზ ღ უ რ დ ო ბ ა — განჩრდვეულის (აღდგომიდან მეოთხე) კვირის ორშაბათს კახეთში, ხოლო ქართლში სამარიტელის (აღდგომიდან მეხუთე) კვირის ორშაბათს.

¹ იხ. „საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1948 წლისათვის“, თბილისი, გვ. 67—68 და იგივე კალენდარი 1963 წლისათვის, გვ. 67—69.



12. თ ე ლ ე თ ო ბ ა — ქრისტეს ამაღლების დღეს, სამართლისა
სის ახლოს სოფელ თელეთში, სადაც მიდიან უმეტესად კახე-
თიდან.

13. ი ა ხ ს ა რ ი ბ ა — შემოღვომაზე მატანში (კახეთი).

14. კ ა ლ ი უ ბ ნ ი ბ ა — სამარიტელის (აღდგომის მეხუ-
თე) კვირას, მცხეთის ზემოთ, ზემოხანდაქში (კახეთი).

15. კ ო ხ ი ჯ კ რ ი ბ ა (კოხიობა) — მენელსაცხებლის (აღდ-
გომიდან 3) კვირის წინა-პარასკევს ერედვაში (ქართლი), კვი-
რირში და დვალიშვილებში (იმერეთში) და ალაზნის გაღმა მაი-
სის 7.

16. ლ ო მ ი ს ი ბ ა — გიორგობა, სული წმიდის მოფენის
შემდეგ ორშაბათს (ქართლში).

17. მ ა ც ხ ი ვ რ ი ბ ა — სამარიტელის (აღდგომიდან მე-
ხუთე) კვირის ხუთშაბათს ბელოთში, ვანთაში (ქართლი).

18. მ თ ა ვ ა რ ა ნ გ ე ლ ო ზ ი ბ ა — აღდგომის ხუთშა-
ბათს საჯავახოში (იმერეთი).

19. მ თ ა ვ ა რ მ თ წ ა მ ე თ ბ ა — გიორგობა, ივლისის 3,
ხორხელში (კახეთი).

20. ნ ა ჭ ა რ მ ა გ თ ბ ა — ღვთისმშობლობა, აღდგომის
მეორე დღეს კარალეთში (ქართლი).

21. ო ქ რ ი კ ა რ ი ა ნ ი ბ ა — გიორგობა მარიამობას
(აგვ. 15), დუშეთის რაიონში (ქართლი).

22. ო ქ ო ნ ი ს ი ბ ა — ღვთისმშობლობა, აღდგომის მეორე
დღეს ქართლში.

23. ჩ კ ო ნ ი ს ი ბ ა — გიორგობა, მარიამობას (აგვისტოს
15) თემის ხეობაში (ქართლი).

24. ს ო ღ ი დ ა შ ე ნ ი ბ ა — გიორგობა, მარიამობას (აგ-
ვისტოს 15) ქართლში.

25. ს ხ ვ ი ლ ი ს ი ბ ა — გიორგობა, აპრილის 23 ქართლ-
ში.

26. ტ ბ ე თ ი ბ ა — გიორგობა ქიზიყში ოქტომბრის 26,
ზემო იმერეთში ოქტომბრის უკანასკნელ ორშაბათს.

27. უ ს ა ნ ე თ ი ბ ა — სული წმიდის მოფენის პირველსა
და მეორე დღეს, მეჯვრისხევში (ქართლი), კოლოთოში (კახეთი).

28. ქ ვ ა შ ვ ე თ ი ბ ა — გიორგობა მენელსაცხებელთა



(აღდგომის მესამე) კვირას ტფილისში, საციციანოს სოფ. შევეთში, მუხრანში, ქემერტში (ქართლი), გურჯაანში, ზიარში, აწყურში (კახეთი), ფარცხანაყანებში, დიდგიხაიშში, კვახჭირში, კურსებში, ნიგოზეთში (იმერეთი), ლენჯერის საზოგადოების სოფ. ქვაშვეთში (სვანეთი), ქურმუხში (საინგოლო).

29. ხალარჯობა — სულის წმიდის მოფენის წინა შაბათს, მიცვალებულების „ხარჯებისათვის“ (მოსახსენებლად). თუშეთში და ფშავეთში, ხოლო ზემომერეთში სოფელ ვერტყვილის — ჭალაში, სული წმიდის მოფენის მეორე დღეს, ორშაბათს.

30. ციხისჯვრობა — აღდგომის საშაბათს მატანში (კახეთი).

31. წამებულობა — გიორგობა, პპრილის 23, ქარდანახში (კახეთი).

32. ყარყარობა — ამაღლება, ზემონიქოზში, თორტიზაში (ქართლში).

33. ჭვარპატიოსნობა — მაისის 7, ქართლში, კახეთში.

34. ლავრობა — აღდგომის ორშაბათს ლავრისხევში (ქართლი).

35. კავთობა-თავკავთობა — გიორგობა, პპრილის 23 და ნოემბრის 10, კავთისხევში, პარატისში და ქვათახევის შონასტრის ზემოთ, მარცხნივ (ქართლში).

36. კვართობა — გიორგობა მენელსაცხებელთა, აღდგომის მესამე კვირის შემდეგ ხუთშაბათს, ხოვლეში (ქართლი).

37. გარეგნობა — აღდგომის მეორე დღეს — ქვემი იმერეთში და გურიაში.

38. ლომისობა და ჭვარპატიოსნობა — სული წმიდის მოფენის შემდეგ ორშაბათს.

39. ზღუდრის გიორგობა — აღდგომიდან მეოთხე შაბათს.

40. გომარეთის გიორგობა — სული წმიდის მოფენის დღეს.

41. თეთრი გიორგობა — (აწყურში, კახეთში), მარიამობას.



42. ს ხიერის გიორგობა — მარიამობის შემდეგული
ორ მომდევნო კვირას რაჭაში — სხიერში.

43. კვირტობა — ამაღლების შემდეგ ორშაბათს ლეჩ-
ხუმში (სოფ. ქვიშარში).

44. ელიობა და სამღვთო თობა — აღდგომიდან ამაღ-
ლებამდე ყოველ ორშაბათ-ხუთშაბათს რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთ-
ში.

45. სამღვთო თობა — აღდგომის შემდეგ ყოველ ორშა-
ბათ-ხუთშაბათს ყოველთა წმიდათა კვირიაკემდე, რაჭაში.

46. კვირიკობა — (15 ივლისს), ქართლში სოფ. ლა-
მის-ყანაში; კახეთში სოფ. ახმეტაში და რაჭაში სოფ. კვირიკე-
წმინდაში.

47. ხვამლობა — (გიორგობა-ელიობა) — ხვამლის
მთაზედ ლეჩხუმში, სადაც სალოცავად სული წმიდის მოფენის
წინა დღეს, შაბათს მთელი ლეჩხუმ-სვანეთი და სამეგრელო
მოდიოდა.

48. ერთაწმიდობა — სოფელ ერთაწმინდაში, ქასპის
რაიონში, 20 სექტ. (ძვ. სტილით)¹.

ქართული ხალხური დღეობები, იმის მიუხედავად, რომ
ქრისტიანულ ელემენტებსაც შეიცავენ და ხშირად ქრისტია-
ნულ წმინდანთა სახელების ან ქრისტიანული რელიგიისათვის
შესაბამისი სხვა სახელების მიხედვით იწოდებიან (მაგალითად,
გიორგობა, ელიობა, ბარბალობა, მაცხოვრობა, მთავარანგე-
ლოზობა, წამებულობა, კვარპატიოსნობა, კვართობა და სხვ.),
არსებითად წარმართულ ხასიათს ატარებენ, რაც მათ წინა-
ქრისტიანულ ხანიდან მომდინარეობაზე მიგვითითებს. ეს გან-
საკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა და სვანე-
ბის ხალხურ დღეობათა შესახებ ითქმის.

1 ამ დღეობებიდანაც ზოგიერთი (მაგ., კვირტობა ან ელიობა და სალვ-
თობა რაჭა-ლეჩხუმში) გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან მათ
წესჩვეულებებს ან არავინ ასრულებს, ან შეიძლება მთელ სოფელში ორი
თუ სამი პირი ასრულებდეს, და ისიც მაქსიმალურად შეკვეცილ ფორმაში,
რაც დღეობის თვისობრივობის თითქმის არ ივლენს.

ზოგიერთ ხალხურ რელიგიურ დღეობაში მონაწილეობას
იღებს სხვადასხვა ადგილებიდან მოსული მრავალი ასეთი მოქალაქე. ასეთი დღეობაა, მაგალითად, ლომისობა¹ ძთიუ-
ლეთში (მოძრავი დღეობაა, იმართება ივნისში). ამ დღეობაში
მონაწილეობის მისაღებად ლომისას სამლოცველოში ხალხი
თითქმის იმავე რაოდენობით იყრის თავს, როგორც ძველად.
მაგრამ აქ მორწმუნების გვერდით თქვენ ნახავთ არამორწმუ-
ნებსაც, ხანში შესულებსაც და დიდი რაოდენობით ახალგაზ-
რდობასაც. თუ ძველად ლომისას ხატში ხალხი თავს იყრიდა
სარწმუნოებრივი წესების შესასრულებლად (ლოცვა, მსხვერ-
პლის შეწირვა და სხვ.), ახლა „უფრო მიღიან გასართობად
(იქ თოფის სროლაა მიზანში, ქალების „გაჩერევა“ (საპატარ-
ძლოებად შერჩევა) ხდება, ლხინი, ცეკვა-თამაში ეჭყობა). ბევ-
რი ისე მოვა და წამოვა, რომ არავითარ ყურადღებას არ მიაქ-
ცევს ლომისას².

ეს და სხვა ამგვარი ნიშნები საერთოდ ქართული ადგი-
ლობრივი რელიგიური დღესასწაულების თვისებრივი მხარის
განსაზღვრული ზომით ცვლილებების უტყუარი მაჩვენებე-
ლია და აიხსნება ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი უდი-
დესი, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ძრებით.
საბჭოურ ათეისტურ ლიტერატურაში კარგა ხანია აღინიშნა,
რომ „ადგილობრივმა რელიგიურმა დღესასწაულებმა ვერ
აიცილეს ცხოვრების სიახლის ზეგავლენა. ზოგიერთი მათგანი
კვლავ შემორჩა, მაგრამ გამოიყურება შეცვლილი ფორმით,
ახლადშექრის სპეციფიკურობით. ეს სპეციფიკურობა გა-
რეგნულად, უწინარეს ყოვლისა, რაოდენობრივი მაჩვენებლე-

1 ლომისა, ანუ ლომისას ხატი ითვლება მთიულებისა და გუდამაყრე-
ლების მფარველ „სატომო“ ღვთაებად (B. B. Бардавелиձ զ.
Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искус-
ство грузинских племен, Тбилиси, 1957, გვ. 5). ლომისას ხატში
მლოცველები მოღიოდნენ მთიულეთის სოფლებიდან, გუდამაყრიდან,
ფშავიდან, ერწო-თიანეთიდან, ქართლიდან, კახეთიდან, ქსნის ხეობიდან,
ქართველობა ქ. ორჯონიქიძედან მათთან დაახლოებული ზოგიერთი რუ-
სის თანხლებით.

2 ეს ცნობა, ზოგიერთ სხვა ცნობასთან ერთად, მოგვაწოდა ეთნოგრაფ-
მა მ. კედელაძემ, რისთვისაც უღრმესი მაღლობა მოგვიხსენებია.

ბით გამოიხატება”¹. წინანდელთან შედარებით ძალზე შემცირ-
და დღეობების დროს სამსხვერპლო შესაწირავთა რაოდენობაშე
გამარტივდა, ზოგიერთ შემთხვევაში შეირყვნა კიდეც, ღვთის-
მსახურების წესი; „იშვიათობად იქცა ქალაგად დაცემა და
სხვა მისტიკურ-რელიგიური მოქმედება”.

„შეირყა და გარკვეული აზრით შეიცვალა ადგილობრივი
ქრისტიანული დღესასწაულების თვისებრივი მხარეც. რელი-
გიურ დღესასწაულებს შეემატა სხვა ელემენტი, რომელიც,
მართალია, ერთი მხრივ, ახლებურ ვითარებასთან შეგუების
მაჩვენებელიცაა. ეს ელემენტი ადგილობრივ დღესასწაულებ-
ში შეიტანა ადამიანთა იმ მნიშვნელოვანმა ნაწილმა, რომელ-
საც არ სწამს ღმერთი, მაგრამ მორწმუნე ადამიანების გვერ-
დით მონაწილეობას იღებს რელიგიულ დღესასწაულებში.
არამორწმუნეთა მონაწილეობა რელიგიურ დღესასწაულებში
გამოწვეულია ან გაუცნობიერებელი ტრადიციის ძალით, ან
სანახაობაზე გასვლის მიზნით. უფრო ხშირად არამორწმუნე
ადამიანები, განსაკუთრებით კი ახალგაზრდები ადგილობრივი
ქრისტიანული დღესასწაულების, სხვადასხვა კუთხის ხალხთა
თავის მოყრის ფაქტს იყენებენ მხოლოდ გართობის მიზნით:
ურთიერთს ეცნობიან, მღერიან, ცეკვავენ, აწყობენ სხვადა-
სხვაგვარ სპორტულ შეჯიბრებას. ბევრი მონაწილე ამ დღესას-
წაულებით სარგებლობს როგორც დროსტარების დამატები-
თი შემთხვევით”².

ეთნოგრაფ მ. კედელაძის ცნობით, ლომისობას ხალხ-
მრავლობით არ ჩამორჩება აქობა, ანუ პირიმზე ფუძის ანგე-
ლოზის დღეობა (ეწყობა გუდამაყარში აგვისტოს თვეში). ამ
დღეობაში მონაწილეობის მისაღებად მღლოცველი მოდიოდა
მთიულეთ-გუდამაყრიდან, ხანდო-ჭართლიდან, ფშავიდან, მან-
გლისიდან, ერწო-თიანეთიდან, ბაზალეთ-მუხრან-წილკნიდან,
შირაქიდან და ნაწილობრივ კახეთის სხვა ადგილებიდან.
აქობას უფრო შენარჩუნებული აქვს თავის პირვანდელი სახე,

1 მ. კედელაძე. ადგილობრივი ქრისტიანული დღესასწაულები და
მათი მავნე ხასიათი, თბილისი, 1958, გვ. 17.

2 იქვე, გვ. 18.



ვიდრე ლომისობას, მაგრამ ამ დღეს პირიმზეს საბრძანებელი შეცვლა ხალხი უფრო გასართობად მოდის და არა სალოცავად.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის დიდმნიშვნელოვან საკულტო ადგილებში დღესასწაულების დროს მცირე რაოდენობით მოჰყავთ შესაწირი ცხოველები — ცხვარი და კურატი (დაუკოდავი ხარი). საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჯვარ-ხატებში ბევრად მეტი საკლავი გროვდებოდა, ვიდრე ახლა. მაგალითად, მაღალი შიო ბურილის (ხევისბერი) ცნობით, ლომისას მისი სახელობის დღეობაზე ძველ დროს (რევოლუციამდე) მსხვერპლად სწირავდნენ 1000—1500 სულ ცხვარსა და ხარს, ახლა კი დაახლოებით 150—200 სულამდე ეწირება! (ჩაწერილია მ. კედელაძის მიერ).

შესაწირავი კურატი შეიძლება იყოს 1, 3, 5 ან 7 წლისა, თუმცა 7 წლის კურატი იშვიათია. ცხვარი მამალიც შეიძლება შესწირონ და დედალიც.

გუდამაყარში ჩაწერილი ცნობის თანახმად, „სამი წლის ხარი კურატია. როგორც სამი წელი შეუსრულდება, უნდა წაიყვანო ხატში, იქ უნდა დაიკლას. კლავს დეკანოზი“². ოჯახი შეიძლება რამდენიმე კურატს ზრდიდეს. მაგალითად, ს. კა-

1 მ. ლუტიძე აღნიშნავს, რომ „ქრისტიანული დღესასწაულების დროს ადგილი აღარა აქვს წინანდებურად მასობრივ სამსხვერპლო შესაწირავებსო“ (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 17). მაგრამ ჩენწი უკეთ უკელავი კრისტიანული დღესასწაულის დროს ასე არ არის. მაგალითისათვის შეიძლება მივუთითოთ მცხეთის სვეტიცხოველზე, სადაც სატაძრო დღეობის („სვეტიცხოვლობა“) დროს ნადგურდება უამრავი საქონელი — განსაკუთრებით ცხვარი, შესაწირავის სახით. ასევე ხდება კალოუბნობა დღეს მცხეთის ზემოთ, ალავერდობას კახეთში, ილორობას და სხვ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ავტორი ყველა ქართულ ადგილობრივ რელიგიურ დღეობას ქრისტიანულ დღეობად მიიჩნევს, რაც სწორი არაა, მაშინ უფრო აშკარა განდება მისი შეხედულების მცდარობა, ვინაიდან მოტანილი ცნობიდან ჩანს, რომ ისეთ მნიშვნელოვან ხალხურ დღეობაზე, როგორიც ლომისობაა, ადგილი ჰქონია „მასობრივ სამსხვერპლო შესაწირავებს“³ თუმცა არა იმ რაოდენობით, როგორც წინათ — რევოლუციამდე.

2 ა. სოხაძე. გუდამაყარში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალები, 1962 წ., დუშეთის მხარეთმცოდნების მუზეუმი.

წალხევში (ფშავი) მცხოვრები ერთ-ერთი წიკლაურის 1962 წელს 3 კურატი ჰყავდათ, რომლებსაც „ამზადებდნენ თეთრი გიორგისათვის.

შესაძლებელია შესაწირავი, ანუ „შეთქმული“ ხარი დაკოდილი, საულლე ხარი იყოს (მას ზორა ეწოდება), მაგრამი იგი არა ხატში, არამედ სახლში უნდა დაიკლას. მისი გაყიდვა არ შეიძლება!

ღვთაებებს (ჯვარ-ხატებს) მსხვერპლს სწირავენ სხვადასხვა მოტივით წულის მიცემისათვის, ავადმყოფობის განკურნებისათვის, კარგი ამინდის დაყენებისათვის, მიცვალებულთა სულების მოხსენიებისათვის და სხვ. მაგალითად, გუდამაყრის სოფ. თორელანში (გუდამაყრი) ფიქსირებული ცნობით, ბავშვს რომ ერთი წელი შეუსრულდება, მორჩმუნე მშობელი ხატში წაიყვანს, თან საკლავს (ცხვარს) წაიყოლებს მის (ბავშვის) სახელზე შესაწირავად. ამ საკლავს დეკანოზი დაკლავს და სისხლს შუბლზე წაუსვამს ბავშვს, „უნდა გაუკეთოს ჯვარი“. ამ წესს, რომელიც წარმართულ განათვლას წარმოადგენს, „ხატში გარე ვა“ ეწოდება.

საქართველოში ცხვრის სახით „შეთქმული“ საკლავი მლოცველებს ხშირად მიყავთ მოქმედ ეკლესიებშიც, სადაც იგი მღვდელმა უნდა აკრთხოს². საკლავის კურთხევამდე 1. ა. სოხაძე. გუდამაყრში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალები, 1962-წ., ღუშეთის მხარეთმცოდნების მუხეუში.

2 დაუქმებულ ეკლესიებსა და მათ ნანგრევებსაც არ ივიწყებენ ღრმაღ მორჩმუნები. ასე მაგალითად, საგურამოს ზემოთ მდებარე ბზანგორის სახურავჩამონგრეულ ეკლესის, რომელიც მრავალი ათეული წლის წინათ (შესაძლებელია ქართლში ლეკების თარეშის დროს) უნდა იყოს დაუქმებული, მლოცველები კვირაცხოვლის დღეს. საკლავით (ცხვარი, ქათამი) და სხვ. შესაწირავებით (ერთი ქილა „საზედაშე ერბო“, ფული და სხვ.) იშვევიან ხოლმე. ქ. მცხეთაში წმ. ბარბარეს ეკლესის ნანგრევებს მხოლოდ ქათმები ეწირება, რომელთა ბუმბულით მოფენილია ძეგლის შემოგარენი; მრავალად ყრია შეწირული ბამბის ნართის ნაგლეჭებიც. შენაწირი ქათმის თავ-ცეხს ფრთხებითურთ ზოგი ეკლესის კედლის ღრმულში შეაწყობს შინ დაბრუნებისას. ამ ქალაქის მიდამოებში მდებარე წმ. გიორგის სახელმბის კალოუბნის ეკლესის კალოუბნობა დღეს უამრავი ხალხი მიაწყდება ხოლმე სალოცავად, თუ დროს სატარებლად (საოვალებიროდ). წირვას მცხეთის ტაძრის ხუცესი პ. აფციაური ატარებს (სხვა დროს ეკლესია დაუქმებულია). სისხლიანი შესაწირავებიდან აქ მხოლოდ ცხვარი იკვლება; რომელთა ტყავებს ეკლესიაში დაგროვებენ ხოლმე.



ზოგჯერ რთული პროცედურა სრულდება, რომელშიც რამდენიმე ნიმე აღამიანი იღებს მონაწილეობას. სანიმუშოდ ერთ შემთხვევას აღვწერთ.

1956 წ. 23 ივლისს (ფერისცვალების წინა დღე), საღამოს უამს, სვეტიცხოველის ეზოში 11 მლოცველი (5 კაცი, 5 ქალი და 1 ბავშვი) შემოვიდა. მლოცველები მოსული იყვნენ გორის რაიონის ს. არაშენდადან. მათ ეკლესიას საჯერ შემოუარეს და ბამბის ძაფიც (ერთი მორგვი ჰქონდათ) შემოაყოლეს. შესაწირავად მოყვანილი ჰყავდათ ვერძი და მამალი. გარშემოვლა ამ ცხოველებითურთ მოხდა. მლოცველთაგან უხნიერესმა დედაკაცმა, რომელიც ფეხშიშველა იყო, ტაძარს ჭერ ოთხით, ხოლო შემდეგ ზეზე მდგომა ორჯერ შემოუარა. გამოირკვა, რომ ეს ქალი დიდხანს ავად ყოფილა და ღმერთისათვის ფიცი მიუცია, მომარჩინე და სვეტიცხოველს ვეახლები შესაწირავებითო.

მის ქალიშვილს (ისიც ფეხშიშველა იყო) ხელში შესაწირავი მამალი ეჭირა; წელი, მქერდი და ზურგი წითელი ლენტით (სარტყლით) ჰქონდა შექრული და მარლის წინსაფარი ეკეთა. ამ ქალის ძმას მკლავზე შემოჭერილი ჰქონდა სხევადასხვა ფერის (წითელი, ლურჯი და თეთრი) სამი ბაფთა.

მლოცველები ყოველ შემოვლაზე ტაძრის კუთხეებს და კართა ნაპირებს ჰქონიდნენ. შემოვლა რომ დამთავრდა, მამალი ზემოთ შეაფრინეს, რომელიც ერთმა მცხეთელმა ბავშვმა მათი (მლოცველების) ნებართვით დაიჭირა და სახლში წაიყვანა. შემდეგ მღვდლის თანხლებით ტაძარში შევიდნენ. გადმოგვცეს, რომ მლოცველები ცხვარს ამაღამ დაჰკლავენ, ლამეს აქვე გაათევენ და ლხინს გადაიხდიან.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ჩვენში კულტმსახურების ზოგიერთი წესი დროის შესაბამისად გადასხვაფერდა. მაგალითად, ცნობილია, რომ „ხატში“ შესაწირავი ცხოველი მხოლოდ ხევისბერს ან დეკანოზს უნდა დაეკლა, მაგრამ ამჟამად ეს წესი დარღვეულია. კერძოდ, ზემოხსენებულ ლომისას ხატში სამსხვერპლო ცხოველს, მ. კ მ დ ე ლ ა ძ ი ს ცნობით, კლავს ხევისბერის გვარიდან (ბურდული) ყველა მამაკაცი — „ყველა ბურდული“. ის წესიც შეცვლილია, რომ ძველად, რომელ



ცხოველსაც აიყვანდნენ „მწვერვალზე“ (იქ ლომისას მოკვეთის სამლოცველოა, მას „ტაძარს“ ეძახდნენ), აუცილებლად აქ უნდა დაეკლათ. ახლა წვერზე აყვანილ ზოგ ხარს ყურის წვერს მოჭრიან, ჩამოიყვანენ ძირს და ჰალაში (აქაც ლომისას სახელობის სამლოცველოა, მაგრამ ეს უფრო ქრისტიანული ეკლესიაა, აქ მღვდელი სწირავდა) თავს მოჭრიან“.

გუდამაყრელთა ხევისბერი გიორგი წიკლაური, რომელიც „ხევისბერობასაც იჩემებს და ქრისტიანული — სარწმუნობის მიმდევრობასაც იჩენს (მცხეთის არქიმანდრიტის პ. აფციაურის მეგობარია, ხატში მოყვანილ საკლავს არ კლავს), ისევე როგორც მღვდელი, მხოლოდ დაილოცება, საკლავს კლავს წიკლაური და ბეჭაური“ (არასასულიერო პირები)!

კულტმსახურების ტრადიციული წესების გადასხვაფერება, რაც მათ შეკვეცა-გამარტივებას ან ძველი ელემენტების ახლით ჩანაცვლებას გულისხმობს, იშვიათ მოვლენას არ წარმოადგენს საქართველოს ეკლესიის მსახურთა მიერ შესრულებულ საკულტო ჩვეულებათა სისტემაშიც.

ამ ვითარების ცხადყოფი ფაქტებიდან შევეხებით ნათვლის წესს, რომელსაც საქართველოს კათედრალური ტაძრის — სვეტიცხოვლის მოძღვარი პ. აფციაური ასრულებს.

ეს პირი ბავშვს ოჯახში არ ნათლავს. ამიტომ, ვინც გადაწყვეტს ბავშვი მცხეთელ მოძღვარს გაანათველინოს, სვეტიცხოველში ცხადება ბავშვითა და ნათლიერით (ერთ ხანს სანათლავი ოთახის მოვალეობას ასრულებდა ტაძრის საკურთხეველის მარცხნივ მოქცეული მცირე სათავსო, სადაც ზამთრობით ძალზე ცივა. ამჟამად ნათვლის წესი სრულდება ტაძრის ეზოში, მღვდლის ბინის გვერდზე მყოფ შენობაში).

ზოგიერთი ცრუმორწმუნე მშობელი იმდენად გონებაბნელია, რომ დარის სივესაც არ ერიდება და მოსანათლავად მოჰყავს ბავშვი სვეტიცხოველში. მაგალითად, 1960 წლის 22 იანვარს მცხეთის რაიონში ძალზე ციოდა, მიწა თოვლით იყო დაფარული, ქარიც ქროდა. მიუხედავად ამისა, საგურამოდან ორი ბავშვი მოიყვანეს მოსანათლავად. ბავშვების მოყვან-

¹ ცნობა პ. კედელაძე მოგვაწოდა.



თავან ერთმა მამაკაცმა, რომელსაც არყით სავსე ბოთლი შედგა ჯიბეში და შეზარხოშებული იყო, გვაუწყა, რომ ნათლიერი თიანეთელები არიანო. იგი ჩქარობდა და კითხულობდა როდის მორჩება მღვდელი წირვასო.

წლის განმავლობაში სვეტიცხოველში მონათლულ ყრმათა რაოდენობა ამ ეკლესიის მღვდლის პ. აფციაურის ცნობით უმნიშვნელოა და სინამდვილეში ერთეულებით განისაზღვრება (ამის შესახებ ზუსტი მონაცემები არ არსებობს, ვინაიდან გარკვეული მოტივებით მონათლულთა აღრიცხვის წიგნში გატარება არ ხდება. აღსანიშნავია, რომ ასეთ მოქმედებას მხარს უჭერენ მონათლულთა მშობლებიც და ნათლიერიც, რადგანაც არ სურთ ყველამ მოახერხოს მათი ვინაობის დადგენა. გადაწყვეტით შეიძლება ითქვას, რომ მეტწილად ამ ადამიანთა შეგნებაში რელიგია თითქმის ან სავსებით უარყოფილია, მაგრამ ყალბი მორიცხებულობის ან იმის გამო, რომ არ სურთ მორწმუნე მშობლებისა და მათი მახლობლების განაწყენება, ნათლავენ ბავშვებს).

არის დღეები, როცა სვეტიცხოველში ერთ ბავშვზე მეტი ინათლება. საგულისხმოა, რომ ზოგჯერ მოზრდილები და 18 წელს გადაცილებული პირებიც (40 წლამდე) ინათლებოდნენ.

ნინო მამულაშვილის ცნობით, 1921 წ. 28 ოქტომბერს სვეტიცხოვლის ხუცესმა მონათლა ს. ოქამიდან (კასპის რაიონი) მოსული რამდენიმე ოჯახის (განაყოფების) წევრები: რძლები, შვილები, შვილიშვილები, სულ 11 სული. მათგან უმეტესი 25, 28, 30 და მეტი ხნისა იყოთ. ამავე წლის 29 ოქტომბერს კი 40 წლის პირებიც მონათლულან შვილებით და შვილიშვილებით.

ნათელის დროს მღვდელი კითხულობს „კურთხევანს“ და ასრულებს სხვა ხასიათის რელიგიურ პროცედურებს. ყრმათა ჯგუფურად განათვლის შემთხვევაში ეს პროცედურები სრულდება ერთდროულადაც (მაგ., ზოგიერთი ლოცვის წარმოთქმა) და ცალ-ცალკე, განაყოფით (მირონის ცხება, განბანა, ცალქე სათქმელთა წარმოთქმა და სხვ.). თითოეული ყრმის მიმართ მათი თანამიმდევრობა ასეთია: ზეთის ცხება განსაზღვრულ ნაწილებზე, განბანა, მირონცხება (იმავე ნაწილებზე, რომლებზეც ყრმას ზეთი სცხეს), ლოცვათა წარმოთქმა, ლრუბლით



გაწმენდა, კვლავ ლოცვები და ომის შეკვეცა წმ. სამცხოვრისა ხელზე.

ამ პროცედურებიდან „განბანა“ მართლმადიდებური ეკლესიის დაკანონებული წესით ითვალისწინებს მოსანათლავი პირის წყალში სამგზის ჩაფვლას (მთელი ტანის წყლით დაფარვას), რაც სრულდება იმ დოგმის შესაბამისად, რომ თითქოს ქრისტე სამი ღლე-ღამე მიწაში იყო დაფლული. ამავე წესით სავალდებულოა წყალში ყოველი ჩაფვლისას წარმოითქვას წმ. სამების სახელთა შემცველი ლოცვა განყოფით: „სახელითა მამისათა ამინ; და ძისათა ამინ; და სულითა წმინდისათა ამინ“. ამის მიუხედავად, სვეტიცხოველში „განბანა“ სრულდება სიმბოლურად; ნამდვილი განბანის ნაცვლად, მღვდელი ყრმას თავზე სამჯერ წყალს ასხამს (აწვეთ თებს) ნახევარლიტრიანი ჭურჭლით და ყოველ დასხმაზე ზემოხსენებულ ლოცვას წარმოიქვამს. წესის ასეთი გამარტივება გამოწვეულია იმით, რომ მღვდელი ვერ ახერხებს მრავალი ბავშვის ემბაზში განბანას, რომელიც ცალკე უნდა შესრულდეს მისი ტევაღობის სიმცირის გამო, ვინაიდან ეს დიდ ღროსა და შრომას მოითხოვს (საჭიროა წყლის დიდი რაოდენობით გაცხელება, მისი პერიოდულად შემოზიდვა სანათლავში, ნაბანი წყლის გამოცვლა რამდენჯერმე — ერთსა და იმავე წყალში ბავშვების განბანას კი მღვდელი ერიდება, ამან შეიძლება მათი დაავადება გამოიწვიოსო. ამასთან გაზაფხულზე, შემოდგომაზე და ზამთარში ნათლობამ წყალში განბანით შეიძლება ბავშვის გაციების მიზე-ზიც გახდეს. ყოველივე ამას სასულიერო პირები ჩვენში კარგად ითვალისწინებენ).

ამრიგად, ცხადი ხდება, რომ სვეტიცხოველში ნათვლის ტრადიციული წესჩვეულებიდან გამოთიშულია მისი არსებითი მხარე ნამდვილი, ანუ სრული „განბანის“ სახით და იგი შეცვლილია სიმბოლური მოქმედებით, რომელიც ნაწილობრივ ჩამოგავს კათოლიკურ და ლუთერანულ ნათლობის წესს (კათოლიკები ნათვლას წყლის გადასხმით, ხოლო ლუთერანები სხურების მეშვეობით ასრულებენ). რა თქმა უნდა, ასეთი

მოქმედება მკაცრად დაკანონებული რელიგიური წესრიგების საფუძვლიან შერყვნას მოასწავებს.

ამგვარი მაგალითების საფუძველზე იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ამჟამად სოციალისტურ სინაზ-დვილები რელიგიური წესჩვეულებები ხშირად ვეღარ ინარჩუნებენ სახეს, იფიტებიან. საკუთარ არსებაშივე, შობენ თავის-სავე უარყოფას. ამ ვითარებასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს შემდეგი ფაქტებიც:

სვეტიცხოველში მლოცველთა კონტიგენტი შედგება ქართველებისა, სომხებისა და რუსებისაგან.

თავდაპირველად მცხეთელ სომხებს საკუთარი, ანუ გრიგორიანული (სომხური) ეკლესია ჰქონდათ, სადაც 1929 წლამდე სომხები ხუცესი სწირავდა. ვინაიდან ეს ეკლესია 1946 წლიდან აღარ არსებობს, მცხეთელი მორწმუნე სომხები წირვა-ლოცვის მოსამენად სვეტიცხოველში მიღიან. ასევე იქცევიან ყოფ. მცხეთის რაიონის სოფლებში მოსახლე მორწმუნე სომხები, როცა მათ ამის საშუალება აქვთ, ვინაიდან დასახლებულ რაიონში სვეტიცხოველი ერთადერთი მოქმედი ეკლესიაა. ადგილობრივ სომხებ მლოცველებს, რომლებსაც მეტწილად დედაენა დიდიხანია დავიწყებული აქვთ, ქართული ენის ცოდნა და დროთა ვითარებაში ქართული ტრადიციების შესისხლხორცება ხელსაყრელ პირობას უქმნით იმისათვის, რომ წირვა მოისმინონ და კულტმსახურების სხვა მრავალი წესიც შეასრულონ ქართულ ეკლესიაში. ამისათვის არავითარ დაბრულებას არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ ქართულ და სომხურ ქრისტიანულ კულტმსახურებასა და საეკლესიო დოგმებში ზოგიერთი განსხვავება არსებობს. VII საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული¹.

¹ ზოგიერთ დოგმებში შეუთანხმებლობის საბაბით ქართველთა და სომხეთა ეკლესიების მესვეურთა შორის სრული და საბოლოო განხეთქილება მოხდა 607 თუ 608 წელს, როცა სომხეთა კათალიკოზმა აბრამშა რგვლივმოსავლელი ეპისტოლე გამოაქვეყნა, რომლის ბოლოში ნათქვამი იყო: „ჩეენ ბერძნების შესახებ პირველ მოძღვართა გამოტანილი დაგე-

განსაზღვრულ ვითარებაში მორწმუნეთა მიერ რელიგიურ შეხედულებათა განსხვავების უგულებელყოფის კიდევ უფრო საინტერესო მაგალითს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მცხეთის რაიონშივე მოსახლე მუსულმანები კულტმსახურების (მსხვერპლის შეწირვა, ლოცვა-ვეღრება და სხვ.) შესასრულებლად ქვემოთ მდებარე „ციხის ეკლესიაში“ დადიან.

ასეთი ფაქტები, რომელთა ფიქსაციას განსაკუთრებულა მნიშვნელობა აქვს ჩვენს რესპუბლიკაში ამჟამად არსებულ რელიგიურ რწმენა-წარმოადგენათა და წესჩვეულებათა სპეციფიკის შესაცნობად, მიგვითითებენ იმაზე, რომ რელიგიურ მიმართულებათა შორის განსხვავებას მორწმუნეთა თვის იმდენი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენიც მსგავსებას (იგოვეობას), რომელიც განსაზღვრულ პირობებში ამ მიმართულებათა დაახლოებისა და შერწყების მიზეზად გვევლინება. ამას ის გარემოებაც უწყობს ხელს, რომ მორწმუნეთა დიდი უმრავლესობის მიერ იმ დოგმატიკის შინაარსი, რომელიც სარწმუნოებრივ თვალსაზრისითა შორის მიჯნებს აწესებს, არასოდეს ყოფილა ხეირიანად გაგებული და არც ამჟამად არის:

• ცვლილებები სარწმუნოებრივი წესებისა, ზემო აღნიშნულს გარდა, თავს იჩენს ისეთი ხასიათის მოვლენებშიც, რომელთა ხასიათს უმთავრესად განსაზღვრავს მორწმუნეთა და არამორწმუნეთა ურთიერთობის რთული კომპლექსი სა-

ნილების... ქართველებზეც გავრცელებას ვძრდანებთ, რომ მათთან სრულებით არავითარი დამოკიდებულება არ პქონდეთ არც ლოცვაში, არც კამა-სტაციი, არც მეგობრობაში, არც შვილების აღზრდაში, რომ მცხეთისა და მანგლისის ჯვრების კარზე სალოცავად აღარ გაემგზავრნონ ხოლმე და ჩვენ ეკლესიებში არ შემოუშვან, ერთმანეთ შორის ჯვარისწერასაც სრულებით თავი დააწებონ. ნებადართულია მათგან მხოლოდ ყიდვა-გაყიდვა, ვითარცა ებრაელთაგან“. (იხ. ივ. ჭავახიშვილი. ქართვ. ერ. ისტ. I, 1960, გვ. 388). მართალია, ამ სახით ეს განკარგულება არასოდეს განხორციელებულა, მაგრამ ორ მეგობარ ხალხს შორის კეთილმეზობლურ ურთიერთობას რამდენადმე მაინც აუარესებდა.



ზოგადოებრივი წყობის სოციალისტურ სისტემაში. მორწმუნებულია იძულებულია ზოგიერთი სარწმუნოებრივი წესი და მასში მომდინარეობა დაკავშირებული ჩვეულება შეასრულოს იმრიგად, რომელიც შეესატყვისება დღეობებსა და სხვა ცერემონიებში (ნათვლა, ქორწინება, დაკრძალვა და სხვ.) მორწმუნეთა და არამორწმუნეთა თანამონაწილეობიდან გამომდინარე აუცილებლობას. სანიმუშოდ შეიძლება შევეხოთ დღესასწაულის დროს ხატში წასვლისა და იქ დროსტარების წესს.

მ. კედელაძის ცნობით, ძველად ლომისაში, ისევე როგორც სხვა ხატებში, დღეობის დროს „სალოცავად ოჯახი უნდა წასულიყო. თუ გამონაჯლის შემთხვევაში ოჯახიდან ერთი პიროვნება წავიდოდა, იგი თავის თანასოფლელს, ვინმეს ოჯახს უნდა მიჰკედლებოდა და თავისი საჭმელი და სასმელი უნდა წაელო, თუ საქლავსაც არ წაიყვანდა. ახლა ეს წყობილებიდან გამოსულია. ლომისაში მოსული ხალხის 50 პროცენტს ხარჯი არაფერი მიაქვს, ის სხვის ხარჯზე გამოდის“. წინათ ლომისაში „ყველა სოფელს თავის ბინა (ადგილი, სადაც თანასოფლელები ბანაკდებოდნენ) ჰქონდა. თანასოფლელებს გაერთიანებული ჰქონდათ საჭმელ-სასმელი. წინათ მეჩემს ბინაზე მივიყვანდი ნაცნობს და გავუმასპინძლდებოდი, შემდეგ მას უნდა მივეპატიუნე თავის ბინაზეო“. ახლა ამ წესიდან შენარჩუნებულია გამასპინძლება და მასთან დაკავშირებული დროს ტარება, როგორც ქართული ტრადიციის ურყევი ნიშანი, ხოლო მისი სხვა ნიშნები შეცვლილია. აქ საერთო სუფრაზე თავს იყრის არა მარტო ნათესავები, მეზობლები, მოქეთეები და ძველი ნაცნობ-მეგობრები, არამედ ახლად გაცნობილი პირებიც. ასეთი თავშეყრილობისას არავის არ აინტერესებს ვინაა მორწმუნე ან ურწმუნო, ვისი პურარილი იხარჯება და ა. შ.

დღეობებში მორწმუნეებთან ერთად არამორწმუნეთა მნაწილეობას, მართალია, ზოგჯერ სარწმუნოებრივი წესების შელახვაც მოსდევს, მაგრამ ეს მორწმუნეთა შორის ისეთ აღშფოთებას აღარ იწვევს, როგორც ძველად. ასე მაგალითად, ამ რამდენიმე წლის წინათ ლომისაში ვინმე ლადო ბუთხუზმა ლომისას „ბორაყს“ თოფი ესროლა, რაც დღეობის მონაწი-

ლეებს მძიმე დანაშაულად არ მიუჩნევიათ. ქველადაკორსუფი საქციელისათვის წესის დამრღვევს ჩაქვოლავდნენ. ამის შემსრულებელად ლადოს შვილის მოკვლა (1961 წ. მომხდარა) მორწმუნე მეზობლებმა ლომისაში მამის ჩადენილი „დანაშაულით“ ახსნეს: „ლომისამ უყო ეს ამბავიო“.

ქართველ მორწმუნეთა ყოფაში ქრისტიანულ გადმონაშთებთან ერთად ჯერ კიდევ მრავლადაა შემონახული წარმართული რწმენის გადმონაშთები, რომელიც ვლინდება არა მარტო სახატო და საეკლესიო დღეობებში, არამედ მორწმუნეთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. მათგან ერთი ნაწილი პირველყოფილი რელიგიის ფორმების (ფეტიშიზმი, მაგია, ანიმიზმი, ტოტემიზმი), ხოლო მეორე პოლითეზმის გადმონაშთების ჯგუფს განეკუთვნება.

რელიგიის ერთ-ერთ უძველეს ფორმას წარმოადგენს ფეტიშიზმი, ანუ „საგნობრივი რელიგია“, რომელსაც საფუძვლად უდევს ადამიანის მცდარი წარმოდგენა თითქოს „უგრძნობელი ნივთს“ შეუძლია შეიცვალოს თავის ბუნებრივი თვისებები იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს მისი უინი¹. ასეთი წარმოდგენის საფუძველზე წარმოქმნილი ფეტიშების, ანუ „წმინდა საგნების“ გამოყენების პრაქტიკა დამოწმებულია ყოველ რელიგიურ სისტემაში.

მდიდარი არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ ქართველ მოსახლეობაში ფეტიშებად შერჩეულ საგნებს მრავალრიცხოვანი ფუნქციები ჰქონდათ დაკისრებული. მაგალითად, გახვრეტილ ქვას იყენებდნენ ვენახების, კარმიდამოს და სამეურნეო ნაგებობათა ყოველგვარი საფრთხისაგან დასაცავად. ეს ჩვეულება ალაგალაგ საქართველოში დღემდე შემონახულია.

ექვსიოდე წლის წინათ სოფ. ქვემო ბარეულში (ამბროლაურის რაიონი) დავამოწმეთ, რომ გახვრეტილი ქვა ჩამოცმული იყო ვენახის სარჩე, კარიბჭის მახლობლად, რაც იმისათვის იყო გაეთებული, რომ ვენახი „გვარწერილად ყოფილიყო, არავის „გაეთვალა“, არავის გაექურდა, არ დაესეტყვა

¹ К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. I, გვ. 194.

და ა. შ. იმის ნათელსაყოფად თუ რამდენად არქაული გვიცნდება
იყოს ეს წესჩვეულება და რაოდენ გამტლეობას იჩენენ რელი-
გიური გაღმონაშობი, საქმარისია მივუთითოთ, რომ მისი
ანალოგი G. Nassau-მ XX ს. დასაწყისისათვის აღმოაჩინა
დასავლეთ აფრიკაში, რომელიც ჩვეულებრივ „ფეტიშიზმის
კლასიკურ ქვეყნად“ იწოდებოდა. იგი თავის ნაშრომში „ფე-
ტიშიზმი დასავლეთ აფრიკაში“ (Fetischism in West Afrika)
წერს: აფრიკელის რწმენით, „ფეტიში, რომელიც ბოსტნის
ზღუდეზე ან ბაღში მცენარეთა ტოტებზე ჰქიდია“ იცავს
ბალ-ბოსტანს გაქურდვისაგან ან ქურდის დაავადებას იწვევს.
სახლის კარს ზემოთ დაკიდებული ფეტიში კი გზას უღობავს
უბედურებასათ.

ასეთივე დანიშნულების ფეტიში, აგრეთვე გახვრეტილი
ქვის სახით, ს. ზემო ბარეულში მინა ბეჩუნას ძე დვალის (გარდ.
1949 წ.) საბძლის გზისაკენ მიქცეულ კედელზე, ყურეში
მიტელილ კავშე ჰქონდა ჩამოცმული. მისი შეილის შეკითხვა-
ზე „კავშე ქვა რატომ დაჰკიდეო“? უპასუხნია: „ზოგი ადამია-
ნი კუდურია (ავი თვალის პატრონი). და ვინც ჩვენ გლახა
თვალით შემოგვხედოს ქვა ეცეს თვალშიო“.

კარმდიამოს ავი თვალისაგან დასაცავად შერჩეული ქვა
მეტწილად ჩამოცმული იყო ზღუდის სარჩე, ჭიშკართან, სა-
გულისხმოა, რომ ასეთი ფეტიში რაჭაში ზოგიერთი მოსახლის
ეზოს, დღემდე შემორჩა. 1961 წელს თ. მ. დვალიმა გვაუწყა,
რომ ზემო ბარეულში მცხოვრებ მატრონა დვალის ეზოში
ფეტიშად შერჩეული ქვა ჩამოკიდებულია ქლიავის ტოტზეო.
ამავე წელს ეთნოგრაფ კ. კახიაშვილის საჩერის რაიონის ერთ-
ერთ სოფელში უნახავს ასეთივე ქვა, რომელიც ეზოში, ჭიშ-
კრის გვერდზე მყოფი ხის ტოტზე ყოფილა ჩამოკიდებული.
იგი „თეთრი იყო, მომრგვალო (კაცის თავს ჰგავდა) და ნახვრე-
ტიანი, ორ კილომეტრ იქნებოდაო“, ამ ფეტიშის შესახებ შე-
კითხვაზე „რა არის ეს?“ სახლის პატრონს უპასუხნია: „მავნე
ხალხი რომ შემოვა (ეზოში) აბათილებს იმასკ. მაშინ აღარ
მეშინია, ჩემი ეზოკარის დამცველიაო“.



იმავე მკვლევარს 1963 წლის 11 იანვარს ბ. შენქალაძეს
მიერ მოწოდებული შემდეგი ცნობა ჩაუწერია: სამი წლის
წინათ „მანია შენგელიას (მცხ. ქ. სამტრედიაში) ეზოში, რომ
ვიყავი, დავინახე უშველებელი ქვა. სახლის გვერდზე ხე იყო
დასობილი ბარჯგად და ზედ იდვა. ჩვენ ის ქვა ავიღეთ, მოვ-
თხარეთ ბარჯგი და გადავაგდეთ, ცოტა მთვრალი ვიყავით
თორებ რა გვენალვლებოდაო“.

იმერეთში „ავი თვალისაგან“ დასაცავად ზოგი ნალსაც
იყენებს; მას ცრუმორწმუნე დიასახლისი ძროხის რქაზე ჰქი-
დებს, რომ „არავინ გათვალის“ და არ გაშრეს.

საბჭოურ სინამდგილეში კვლავ მოიპოვებიან აღაშიანები,
რომლებსაც სწამთ არა მარტო ავი თვალის, არამედ ყოველ-
გვარი ავი ძალის (კუდიანი, ალქაზი, ჭინკა, ეშმაკი და სხვ.)
არსებობა და „მოკუდიანების“ (მოჯადოების) შესაძლებლობა.
ამის ცხადსაყოფად საკმარისია მივუთითოთ 1963 წ. ჩაწერილ
შემდეგ საგულისხმო ცნობაზე:

ს. კულაშვი ცხოვრობდა ვინმე ქრისტინე შენგელია-გეგუ-
ჩაძისა, რომელსაც ზედმეტ სახელად „ტურა ქალს“ ეძახდნენ,
გარდაიცვალა 1957 წელს. იგი ერთხელ, „სამძიმრის ღროს“,
მიცვალებულის ოჯახში შესულა. ქალებს რომ დაუნახავთ
(„20 ქალი იქნებოდაო“), შეშინებიათ, სასიკეთოდ არ იქნება
მოსულიოდ და გარეთ გამოსულან (75 წ. პოლიკარპე გიორგის
ძე კიკაბიძის ნაამბობი).

ამ ქალის „საქმიანობის“ შესახებ შ. ჯოგუას უამბნია შეჭ-
დეგი: როდესაც დავსახლდით, ჩვენს ეზოში ჩამოიარა „ტურა
ქალმა“. მისი წასვლის შემდეგ ვნახეთ (ეზოში) „რამდენი სუ-
ლი ვიყავით, იმდენი შეკონილი ჭინჭი. კვერცხისხელაზე იყო
შეხვეული. რომ გავხსენი, ოთხად გამოსკვნილი იყო ჭინჭი,
ოთხი ცალი იყო სულ დაფსკვნილ-დაფსკვნილი. ამ ნაჭერში
შიგნით იყო თმა და ოთხი ნატეხი ქვის კენჭი და შიგ იყო
დაფსკვნილი აგურის ფერის რაღაცა, ავიღე და დავწვი. მას
შემდეგ ის ვერ ისაქმებდა. მე რომ ეზო ვიყიდე, ამიტომ გამი-
კეთა ეს. ეს ეზო მისი იყო, მისმა ძმამ მომყიდა, ამიტომ მან
ეს ტურაობა (მოკუდიანება) გამიკეთა. ხალხი ამბობდა, რომ



უტურა ქალი“ გზაში მოკვდებაო. მართლაც, ის ქალი მარტო მოკვდება რებელში მოკვდა, ხაშურში, გზაში რომ იყოო“.

ანგარიშგასაწევია, რომ ასეთი შეზღუდული შეხედულებები, რომლებიც თანამედროვე მეცნიერების მიღწევების გვერდით მეტისმეტად ველურად გამოიყურება¹, ვლინდება მთელ რიგ უგნურ მოქმედებებში, სწამლავს აღამიანთა თანაცხოვრების სფეროს, ჩრდილს აყენებს და ამდაბლებს მათ ღირსებას, ჯერ კიდევ ცოცხლობს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს არა მარტო სოფლის, არამედ ქალაქის მოსახლეობის განსაზღვრულ ნაწილში. ამ მხრით გამონაკლისს არც ქ. თბილისი წარმოადგენს, რომ არაფერი ვთქვათ საქართველოს რესპუბლიკის სხვა ქალაქებზე. „წვრილმანი ჯადოქრობა“, რომელიც აქ უფრო დიასახლისების წრეში იჩენს თავს, შეიძლება იმაში გამოიხატოს, რომ მეზობელმა მეზობელს კარების წინ მარილი დაუყაროს, სამზარეულოში სამზად მაგიდაზე ან ქურაზე დაუდვას „მოჯადოებული“ („შელოცვილი“, „ჩათქმული“) საგანი კარტოფილის თუ სხვათა სახით, მისი ნავთქურის ახლოს, კედელზე 9 ძნელად შესამჩნევი ჭლე-გააკეთოს და ა. შ.

დაუშვებელია შეგნებულმა ადამიანებმა ასეთ მოვლენება უყურონ გულგრილად იმის ვარაუდით, რომ მასების შეგნების ზრდა, სოციალისტური ცხოვრების პრაქტიკა, თავისთავად, ბრძოლის გარეშე, წალეკავს მათ. მართალია, საბჭოთა კავშირი წარმოადგენს მასიური ათეზმის ქვეყანას, სადაც თვითონ ცხოვრების, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას, მიჰყავს რელიგიურად განწყობილი მოსახლეობის ნაწილი სამყაროზე სწორ, მატერიალისტურ შეხედულებამდე, მაგრამ მასების ათეზისტურად აღზრდის საქმეში, ამ არსებით ფაქტორთან ერთად, გადამწყვეტ როლს თამაშობს მეცნიერულ-ათეზისტური პროპაგანდა, რომელიც დაფუძნებულია რელიგიური გადმონაშეთების ღრმა მეცნიერულ შესწავლაზე. ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ათეზისტური იდეების დაუფლების გარე-

¹ ვ. კახიანი. იმერეთის ეთნოგრაფიული მასალები, 1963 წ., ხელნაწ.



შე შეუძლებელია მეცნიერული მსოფლმხედველობის შემთხვევა
მუშავება და ათვისება.

რელიგიურ ცრუ რწმენებთან ბრძოლის აუცილებლობა
მით უფრო ნათელი გახდება თუ გავითვალისწინებთ, რომ სო-
ციალისტური საზოგადოების განვითარების ეხლანდელ ეტაპ-
ზე საბჭოთა ხალხის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს
საზოგადოების ყოველი წევრის შეგნების მაღალ დონეზე
აყვანა, კომუნისტური სულისკვეთების, ჩვევებისა და მორა-
ლის მქონე ახალი ადამიანის ჩამოყალიბება, კაპიტალიზმის
გადმონაშთების და, საერთოდ, ძველი ყოფის მავნე ტრადი-
ციების სრული ლიკვიდაცია. ამასთან, ცნობილია, რომ ძველი
საზოგადოების ერთ-ერთ უაღრესად მავნე, მაგრამ ყველაზე
სიცოცხლისუნარიან გადმონაშთს წარმოადგენს რელიგიური
ცრურწმენები, რომლებიც ჯერ კიდევ განაგრძობენ არსებობას
ზოგიერთი საბჭოთა ადამიანის ცნობიერებაში, იმის მიუხედა-
ვად, რომ ჩვენს ქვეყანაში აღმოფხვრილია რელიგიის სოცია-
ლური ფესვები. ეს ცრურწმენები აფერხებენ ჩვენს წინსვლას,
აქნინებენ ბუნებისა და საზოგადოებრივი მოვლენების სწო-
რად შეცნობისა და შეფასების უნარს; ამიტომ აუცილებელია
მათი აღმოფხვრა მორწმუნეთა შეგნებიდან.

ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის უწინარეს ყოვლისა საჭი-
როა რელიგიური გადმონაშთების ორმა და სისტემატური
შესწავლა, რაც ჩვენში ჯერ კიდევ არ დგას სათანადო სიმაღ-
ლეზე. ამის შესახებ 1960 წ. ურ. „Вопросы философии“-ს
მესამე ნომრის მოწინავეში („მეცნიერული ათეიიზმის შემო-
ქმედებითი დამუშავებისათვის“) ნათქვამია: „ჩვენი კვლევითი
მუშაობის სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს საბჭოთა
კავშირში რელიგიური გადმონაშთების შესწავლასთან დაკავ-
შირებული პრობლემების სუსტად დამუშავება. რელიგიური
ცრურწმენების არსებობის მიზეზებისა და გამოვლინების
ფორმების საკითხის ორმა გადაწყვეტა შეუძლებელია კონკრე-
ტული სინამდვილის შესწავლის გარეშე. საჭიროა ამ მიმარ-
თულებით სერიოზული კვლევა-ძიების ჩატარება. ამგვარი
კვლევა-ძიების შედეგად მიღებული მასალა საშუალებას მოგ-
ვცემს შევიმუშაოთ უფრო კონკრეტული წარმოდგენა იმის



შესახებ, თუ რას წარმოადგენს რელიგიური გადმონათ შემდებრებით საბჭოთა კავშირში¹. იქვე აღნიშნულია, რომ რელიგიური გადმონაშთების კვლევის სფეროში „არავის აქვს ისეთი ფართო შესაძლებლობები, როგორიც ეთნოგრაფებს, რომლებიც თავის მუშაობას ატარებენ უშუალოდ მოსახლეობაში, სწავლობენ მის მატერიალურ კულტურას, იდეოლოგიასა და ყოფას“².

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ რელიგიური გადმონაშთები უნდა შევისწავლოთ თანამიმდევრულად, ცალკე რაიონების, მათში შემავალი დასახლებული პუნქტებისა და მოქმედი საკულტო დაწესებულებების მიხედვით. ამასთან ეს შესწავლა უნდა ყყოს ღრმა, დამყარებული სავსებით სანდო. ზუსტ და მდიდარ ფაქტიურ მასალაზე.

რელიგიური გადმონაშთების სფეროში კონკრეტული სინამდვილის შესწავლა არა მარტო აღრმავებს და აზუსტებს ჩევნის თვალსაზრისს მათ შესახებ, არამედ, რაც მთავარია, მათთან ბრძოლის ეფექტურ და კონკრეტულ საშუალებათა გამოძებნის შესაძლებლობას გვაძლევს.

ამ საშუალებათა გამოყენება, რომელიც სისტემატურ ხასიათს უნდა ატარებდეს, წარმოადგენს მეცნიერულ ათეისტური პროპაგანდის წარმატების ძირითად პირობას, ეს წარმატება იმდენად დიდი და შესამჩნევი იქნება, რამდენადაც რელიგიურ გადმონაშთებთან ბრძოლის ხერხები შესატყვისებული იქნება ამ გადმონაშთების ბუნებასთან, მათი გამოვლინების კონკრეტულ ფორმებთან, რომლებიც იცვლება ღროის, ადგილისა და გარემოების მიხედვით.

ასეთი შესატყვისობა, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვს ხსენებული გადმონაშთების ყოველმხრივ შესწავლას ადგილზე. ბუნებრივია, რასაც ვებრძვით კარგიდ უნდა შევიცნოთ. ცხალია, ასეთი შესწავლის გარეშე ფუჭი აღმოჩნდება ქადაგება იმის შესახებ, რომ რელიგია ყალბი იდეოლოგიაა, ვნება მოაქვს ხალხისათვის და მას უნდა ვებრძოლოთ. ვ. ი. ლენინი

¹ დასახ. უურ., 1960, № 3, გვ. 4.

² იქვე, გვ. 5.

გვასწავლიდა, რომ რელიგიასთან ბრძოლის საჭიროებს ჰქონდა რება საერთოდ მატერიალიზმისა და, მაშასადამე, მარქსიზმისათვის ანბანურ ჭეშმარიტებას წარმოადგენს. მაგრამ მარქსიზმი ანბანზე გაჩერებული მატერიალიზმი როდია. იგი უფრო შორს მიდის და ამბობს: „უნდა ვიცოდეთ ბრძოლა რელიგიასთან“. ამისათვის კი საჭიროა „მატერიალისტურად“ ავხსნათ მასების სარწმუნოებისა და რელიგიის წყარო“.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ანტირელიგიური მუშაობის მაქსიმალური წარმატებისათვის აუცილებელია ათეიზმისა და რელიგიის უმნიშვნელოვანესი პრობლემების სფეროში კვლევით-სამეცნიერო მუშაობის გაფართოება და გაუმჯობესება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამეამად არსებული რელიგიური გადმონაშოების ყოველმხრივ შესწავლას ჩვენი ქვეყნის ცალკეულ კუთხეებსა და დასახლებულ პუნქტებში კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდით. აუცილებელია მომზადდეს და გამოიცეს სოლიდური ნაშრომები მეცნიერული ათეიზმის ცალკეულ საკითხებზე, რაც შესაძლებლობას მოვცემს მოვამზადოთ მაღალკვალიფიციური კადრები ამ დარგში; ანტირელიგიურ პროპაგანდის წარმოებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს პარტიულმა, პროფესიონულმა, კომერციულულმა აქტივმა და მაღალი თეორიული მომზადების მქონე ჩვენი ქვეყნის ინტელიგენციის კადრებმა. ამასთან აუცილებელია არსებობდეს რელიგიურ გადმონაშოებთან ბრძოლის მაორგანიზებელი ცენტრები. მხარეებისა და რაიონების ფარგლებში ასეთი ცენტრების ფუნქცია უპირატესად უნდა შეასრულონ მხარეთმცოდნეობისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმებმა.

ყოველმა ასეთმა ცენტრმა პარტიული, პროფესიონული, კომერციული ორგანიზაციებისა და კულტურის განყოფილებების აქტიური დახმარებით უნდა შეასრულოს შემდეგი ფუნქციები:

1. ყოველმხრივ შეისწავლოს რელიგიური გადმონაშოები თავის სამოქმედო ზონაში და შეიმუშაოს მათთან ბრძოლის მეცნიერული საშუალებები.

2. შექმნას რელიგიურ გადმონაშთებთან ბრძოლის პროგრამა და სისტემატურად კონტროლი გაუწიოს პროგრამით გათვალისწინებულ ონისტიუტითა გატარებას.

3. შეასწავლოს ათეიზმის პროპაგანდისტებს მეცნიერული ათეიზმის პრინციპები და უზრუნველყოს ისინი საჭირო ლიტერატურით. დაწვრილებით გააცნოს მათ სამოქმედო ზონაში არსებული გადმონაშთების რაობა და შეაიარალოს ისინი რელიგიასთან ბრძოლის სწორი მეთოდებით. უშუალოდ უხელმძღვანელოს მათ ამ ბრძოლაში.

4. პერიოდულად შეაჯამოს და გამოაქვეყნოს შესრულებული მუშაობის შედეგები.

ამ შედეგების საბოლოო შეფასება უნდა მოხდეს იმის მიხედვით, რამდენი მორწმუნე გახდა ათეიისტური პროპაგანდის ზემოქმედებით ათეიისტი და, მაშასადამე, რამდენად შემცირდა მორწმუნეთა რიცხვი მოცემულ მხარეში, რაიონში, სოფელში, დაბაში, ქალაქში და სხვ.

ვფიქრობთ, რომ მხოლოდ ასეთი შეიძლება იყოს რელიგიასთან ბრძოლის გენერალური ხაზი თანამედროვე ეტაპზე სოციალისტური წყობილების პირობებში.

ИЗ ИСТОРИИ ДРЕВНЕЙШИХ ВЕРОВАНИЙ ГРУЗИН И БОРЬБЫ С ИХ ПЕРЕЖИТКАМИ

Резюме

1. Грузия — древнейшая страна земледелия и скотоводства. Богатое прошлое грузинского народа в сфере этих важнейших отраслей хозяйства отразилось не только в соответствующих трудовых навыках, но и в обычаях и обрядах.

Известно, что идеологические пережитки сохраняются сравнительно дольше, нежели породившие их социально-экономические условия. Поэтому изучение этих обрядов дает возможность не только выявить древние религиозные институты, но и проследить отдельные стороны общественно-экономического быта грузинского народа в прошлом. Этого рода материал обильно содержит религиозный праздник Бослоба (устраивалось в субботу, за две недели до великого поста и занимало первое место среди народных грузинских праздников, связанных со скотоводством).

Изучая вопрос о праздновании Бослоба, наша цель заключалась в том, чтобы выявить на основе анализа составных элементов праздника его сущность и место в древнем религиозном мировоззрении грузин, установить путем привлечения соответствующего сравнительного материала их культурно-исторические связи с народами Кавказа и Передней Азии. Наряду с этим мы пытались выявить те элементы хозяйственного быта, кото-

рыми в той или иной мере были обусловлены отдельные поверья, нашедшие отражение в празднике Бослоба.

Изучение описанного праздника важно и в том отношении, что оно помогает понять действительную природу религии; неизбежность полного преодоления в сознании людей религиозных предрассудков и вредных традиций старого быта.

2. В сложном комплексе обрядов Бослоба связанное с земледелием, скотоводческое хозяйство отображено в соответствии с теми особенностями, которые свидетельствуются в экономическом быту древнейшего населения Малой Азии и родственных ему грузинских племен. На базе исследований современной науки выясняется, что характерными и важнейшими достижениями хозяйства этих народов являются следующие элементы культуры: 1. крупный рогатый скот, 2. пахотное орудие, 3. зерновые культуры, 4. культура виноградной лозы, 5. обработка металлов.

В языческих обрядах, особенно в комплексе многих народных праздничных церемоний грузин, наблюдается органическая и многократная связь этих элементов. Это обстоятельство дает нам право сделать вывод, что с определенной эпохи древнейшая религия грузин отображала животноводческое хозяйство в соответствии с особенностями, характерными для местного земледелия.

4. Одним из важных компонентов Бослоба являются запреты. В труде доказано, что бослобские запреты установлены были с целью защиты домашних животных, домашних птиц и охраны членов семьи и урожая от всевозможных бедствий. Почти все эти запреты были основаны на принципе подражательной (симпатической) магии).

Кроме этих запретов, к основным компонентам Бослоба принадлежат магические и религиозные об-

ряды. Для исполнения этих обрядов использовались ритуальные предметы, магические формулы и молитвы.

К ритуальным предметам принадлежали: бослобские пироги («ганатехеби»), ветчина («лори»), жареный поросенок, слоеные хлеба круглой формы, под названием «скадианеби», пирожки, сало, куриные яйца, вино, отруби, замешанные водой, зажженная свеча, ладан («сакмевели»), раскаленные угли, каменная ступка и нек. др.

Характерно, что эти предметы имели непосредственную связь с семейным бытом грузинского крестьянина и его хозяйством. Почти все эти предметы являлись продуктами этого хозяйства.

Этот факт доказывает, что правила подбора ритуальных предметов при исполнении религиозных церемоний, связанных с хозяйством того или иного коллектива, определялись и определяются главным образом характером хозяйственного быта.

4. Бослоба было праздником фаллического характера. Оно главным образом устраивалось с целью оплодотворения и размножения человека, домашних животных и культурных растений. Его основной целью являлось размножение и охрана скота.

В различных вариантах Бослоба божество, обладающее этими функциями, упомянуто следующими именами: ангел скота (*sakonlis angelozzi*), босели, босла, босло, осло, босле патиосани («более благородный»), босла-котра, босле-котро, владыка скота (*sakonlis batoni*), творец рабочего быка («муша харис гамчени»), бомбга (*bombya*), бамбгу (*bambyu*), бембгу (*bembyu*).

Из этих имен древнее всех «босели», который для грузинских племен являлся общим именем божества скота, которого первоначально представляли в образе быка.

Поэтому не случайно, что лечхумцы ^{его имевшимися} творцом рабочего быка и что это животное находилось в центре внимания при выполнении обрядов в хлеве. Это явление можно объяснить только тем, что среди грузинских племен из мира домашних животных наибольшим поклонением пользовался бык, ибо это животное на протяжении веков являлось одной из главнейших сил их животноводческого и земледельческого хозяйства. При условии развитого земледелия быку придавалось исключительное значение, как тяговой силы пахотного орудия.

5. Кроме обрядов, входящих в комплекс праздника **Бослоба**, в труде рассматриваются некоторые другие обряды, выявляющие сущность древнегрузинской религии. Часть этих обрядов и верований (пережитки фетишизма, анимизма, политеизма, некоторые магические обряды, жертвоприношение, освящение детей кровью жертвенного барана санатлави, вера в существование дурного глаза, колдунов и т. д.) еще продолжают существовать в пережиточной форме в разных уголках Грузии.

Вообще религиозная идеология все еще влияет на сознание некоторой части трудящихся нашей страны. Борьбу с религиозным мировоззрением, как одним из бреднейших пережитков прошлого, необходимо усилить максимально, ибо в период развернутого строительства коммунизма задача формирования научного, марксистского мировоззрения всех трудящихся и борьба с пережитками прошлого в сознании советских людей приобретает исключительное значение.

6. Важнейшим средством преодоления религии является атеистическая пропаганда. Основные методы этой пропаганды—«терпеливое, настойчивое убеждение и просвещение»¹.

¹ Основы научного атеизма, Москва, 1961, 33. 440.

«Отсюда следует, что атеистическая пропаганда должна быть пропагандой.

— научной, то есть глубоко, аргументированно раскрывающей научные основы материалистического мировоззрения, опирающегося на всю сумму знаний о природе и обществе;

— популярной, то есть близкой и понятной широким массам трудящихся, использующей живые, образные и увлекательные формы;

— и, наконец, систематической, ведущейся повседневно, а не время от времени, кампаниями¹.

Из этих требований вытекает, что для успешной борьбы с религией одним из главных условий является систематическое и глубокое изучение религиозных пережитков; такое изучение возможно при помощи комплексно-интенсивного метода. Соответственно этому методу изучение религиозных пережитков, сбор материалов производится по отдельным микrorайонам (край, район, уголок, колхоз), населенным пунктам (город, часть города, местечка, села) и действующим культовым очагам (церковь, святынища и т. д.).

В районах и краях главными центрами организации борьбы с религиозными пережитками должны быть преимущественно краеведческие и историко-этнографические музеи. Каждый такой центр при помощи местных организаций глубоко должны изучить религиозные пережитки в своей зоне действий, создать план борьбы с этими пережитками, непосредственно руководить атеистами в этой борьбе и периодично суммировать и опубликовывать результаты проведенной работы.

С этими задачами можно справиться при активном участии таких организаций, какими являются, например, дома и клубы атеистов. Они организуются по инициати-

¹ Основы научного атеизма. Москва, 1961, 83. 440.

ве партийных и комсомольских организаций местных
делений Общества по распространению политических и
научных знаний, актива интеллигенции, студентов и др.

Эти добровольные общественные организации, кото-
рые превращаются в центры пропаганды атеизма на ме-
стах, ставят перед собой задачу активизировать научно-
атеистическую пропаганду, повысить ее научный уровень
и популярность, сделать ее систематичной и боевой, опе-
ративно откликающейся на события жизни. В советы До-
мов и клубов атеиста входят ученые, преподаватели
средних и высших учебных заведений, работники куль-
турно-просветительных учреждений, представители от
партийных, комсомольских и профсоюзных организаций.

შესავალი	
თავი I	
ბოსლობის დანიშნულება	14
თავი II	
საბოსლობო ცერემონიის დროს გამოყენებული რიტუალები დანიშნულების საგნები და მათი კავშირი ქართველი გლეხის მეურნეობასთან	34
თავი III	
მაგიურ-რელიგიური აქტები	69
თავი IV	
აღკვეთები	88
თავი V	
ბოსლობაში ასახული ლეთაებები და ხარის კულტის პრობლემა	106
თავი VI	
წარმართული რელიგიის გადმონაშთები საქართველოში და მათი აღმოფხვრის მეცნიერული მეთოდები	114

Акакий Кондратьевич Сохадзе

Из истории древнейших верований грузин

и борьбы с их пережитками

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили 5

1964

საზოგადოებრივი რედაქტორი მ. გეგეშიძე

გამომცემლობის რედაქტორი გ. კუბლაშვილი

მხატვარი თ. ვარევარიძე, მხატვრული რედაქტორი დ. დუნდუა
ტექრედაქტორი ე. აბდუშელიშვილი, კორექტორი თ. ცინცაძე.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/VII-64 წ.

ქაღალდის ზომა 84×108¹/32.

ნაბეჭდი თაბაზი 7,38. სააღრ.-საგამომც. თაბაზი 1,6,46.

უ 00599. ტირაჟი 2.000. შეკვ. № 505.

ფასი 55 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, მარჯანიშვილის 5.

მე-4 სტამბა, თბილისი, მედებალაქი

Типография № 4, Тбилиси, Медгородок

DR. R. S. DUN
LIBRARY

